


Tbilisi
2012

ნოქალაქევის კომპლექსი

პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის
არქიტექტურულ-არქეოლოგიური კომპლექსი

მართვის გეგმა



Nokalakevi Museum

საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY FOR
CULTURAL HERITAGE
PRESERVATION OF GEORGIA

ნოქალაქევის მართვის გეგმა შემუშავებულ იქნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატ რიკსანტიკვარენთან მჭიდრო თანამშრომლობითა და მხარდაჭერით.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო მადლიერია ნორვეგიელი ექსპერტების წვლილით და განსაკუთრებულ მადლობას უხდის სამუშაო გუნდის წევრებს:

დოქტორ ანა-სოფია ჰიგენს

ოსტფოლდის მხარის საბჭოს კულტურული მემკვიდრეობის ხემძღვანელი, სარპსბორგი

პროფესორ დოქტორ კნუტ ჰელსკოგს

ტრომსიოს უნივერსიტეტი/ტრომსიოს მუზეუმი

კარინ ტანსენს

ალტას მუზეუმის კურატორი

სპეციალური მადლობა: იორგენ ჰოლტენ იორგენსენს

მრჩეველი/ საერთაშორისო განყოფილება

კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატი რიკსანტიკვარენი



შინაარსი

ნაწილი I

წინასიტყვაობა

1. შესავალი
2. მართვის გეგმის მიზნები
3. საიტის მახასიათებლები
 - 3.1. ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ
 - 3.2. ზოგადი ბუნებრივი და კულტურული გარემო
 - 3.3. ლანდშაფტი და კლიმატი
 - 3.4. მცენარეული საფარი
4. საიტის დახასიათება
 - 4.1. ნოქალაქევის კომპლექსი
 - 4.2. ნანგრევები, აღდგენილი შენობა-ნაგებობები
 - 4.3. არქეოლოგიური მახასიათებლები
 - 4.3.1 ზოგადი აღწერა
 - 4.3.2 არქეოლოგიური კვლევა
 - 4.3.3 არქეოლოგიური ფენები და ქრონოლოგია
- 5 დოკუმენტაცია
- 6 საიტის შეფასება
 - 6.3 საიტის ისტორიულ-არქიტექტურული ფასეულობა
 - 6.4 კონსერვაციის მდგომარეობა
 - 6.5 ავთენტურობა და მთლიანობა
- 7 ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ნოქალაქევის კომპლექსზე
- 8 ნოქალაქევის კომპლექსის მართვა
 - 8.3 მართვის გეგმები, მიმართულებები და განვითარების პერსპექტივები
 - 8.4 მართვის სამოქმედო გეგმები
- 9 ფუნქცია-მოვალეობანი
 - 9.3 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
 - 9.4 სააგენტოს სათაო ოფისის სტრუქტურა
 - 9.5 პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი
 - 9.6 საკუთრების ფორმა, ძირითადი პარტნიორები და დაინტერესებული მხარეები

გამოყენებული ლიტერატურა

დანართები

1. რუკები
2. ორგანიზაციული სტრუქტურა.
3. დოკუმენტაცია და საარქივო სურათები.
4. ობიექტის ფოტოილუსტრაცია
5. არქეოლოგია
6. ნოქალაქევის მუზეუმი
7. პუბლიკაციები

ნაწილი II

ორგანიზაციული სტრუქტურები

მართვის სამოქმედო გეგმა 1: დოკუმენტირება

მართვის სამოქმედო გეგმა 2: კონსერვაცია

მართვის სამოქმედო გეგმა 3: არქეოლოგია

მართვის სამოქმედო გეგმა 4: მართვა, მონიტორინგი და მოვლა

მართვის სამოქმედო გეგმა 5: პრეზენტირება, ინფორმაცია და ტურიზმი

ნაწილი I

წინასიტყვაობა

პარმენ ზაქარაიას სახ. ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ფარგლებში არსებული ნოქალაქევის კომპლექსის მართვის გეგმის შემუშავება დაიწყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით და საქართველოსა და ნორვეგიის შორის 2009-2012 წწ. თანამშრომლობის ფარგლებში. ეს თანამშრომლობა ეფუძნებოდა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ნორვეგიის სამეფოს გარემოს დაცვის სამინისტროს შორის 2008 წლის ნოემბერში ხელმოწერილ ურთიერთგაგების მემორანდუმს. ამ მემორანდუმის საფუძველზე, 2009 წლის 8 ივლისს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება.

ნოქალაქევის მართვის გეგმის ძირითადი მიზანია მემკვიდრეობის კონსერვაციისა და დაცვის მექანიზმების ეფექტურობის, სათანადო პრეზენტაციისა და ტურიზმისთვის მართვის სისტემებისა და საშუალებების გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

სააგენტოს სამსახურები ჩართულნი არიან ნოქალაქევის მართვის გეგმის შემუშავებაში. მიღებული გამოცდილება გამოყენებულ იქნება საქართველოს სხვა მუზეუმ-ნაკრძალებისა და კომპლექსებისთვის მართვის გეგმების მომზადებისას სახელმძღვანელოდ, რაც ამ სამუშაოს მნიშვნელოვან გამარტივებას გულისხმობს.

მართვის გეგმის შემუშავებაზე მუშაობა 2009 წლიდან მიმდინარეობს ეროვნული სააგენტოს მუშა ჯგუფის მიერ, ნორვეგიელ ექსპერტებთან თანამშრომლობით. ნორვეგიელი ექსპერტების მიერ წარმოდგენილი სხვა მართვის გეგმების წარმატებული გამოცდილება, იუნესკოს მიერ მომზადებული სახელმძღვანელო რეკომენდაციები, მონიტორინგის სქემები და სხვა ელემენტები გამოიყენება დოკუმენტის შემუშავების პროცესში.

ნოქალაქევის კომპლექსის მართვის გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიები და ქმედებები ინტეგრირებული იქნება ეროვნული სააგენტოს სტრატეგიულ მიზნებსა და სამოქმედო გეგმებში, რომლებიც განსაზღვრულია სააგენტოს პროგრამების დაფინანსებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სხვა პროგრამებში. სამუშაო გეგმების განხორციელების მართვას განხორციელებენ სათაო ოფისის შესაბამისი დეპარტამენტების ხელმძღვანელები მუზეუმ-ნაკრძალის მმართველთან ერთად. მუშა ჯგუფის საქმიანობა გაგრძელდება მართვის გეგმის მიღების შემდეგ, სამეთვალყურეო საბჭოს ფორმით.

1. შესავალი

ადმოსავლეთისა და დასავლეთის გასაყარზე მდებარე საქართველო უძველესი კულტურისა და მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის მქონე ქვეყანაა. შუასაუკუნეების არქიტექტურის, ფერწერის, იკონოგრაფიისა და ლითონის ქანდაკების ნიმუშებთან ერთად, გადარჩენილ იქნა არა მხოლოდ ძველი და ანტიკური

პერიოდის ცალკეული ძეგლები და კომპლექსები, არამედ გამორჩეული არქიტექტურული დიზაინისა და ქალაქური ცხოვრების თავისებურებების მქონე მთლიანი ქალაქები (საკულტო, ურბანული), როგორიცაა, ვანი, უფლისციხე, ნოქალაქევი და ა.შ.

ნოქალაქევის ნაქალაქარი წარმოადგენს ლამაზ ბიო-გეოგრაფიულ გარემოში ჩამოყალიბებულ ისტორიულ კომპლექსს. მის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაცულია ძველი ბერძენი და ქართველი მემკვიდრეობის მიერ. ამ სტრატეგიულ ადგილზე აშენებული დასავლეთ საქართველოს ძველი დედაქალაქის სამეცნიერო კვლევა გვიჩვენებს, რომ ის ასევე წარმოადგენდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურის ნაკადების შერწყმის ადგილს, რაც ასახულია მატერიალური კულტურის აღმოჩენილ ძეგლებში.

თავისი მასშტაბითა და ურბანული ინფრასტრუქტურით, სამეგრელოში, სენაკის რაიონის სოფელ ნოქალაქევში მდებარე ნოქალაქევი-არქეოპოლისის ნაქალაქარს ანალოგი არ გააჩნია იმ პერიოდის კავკასიაში. ნოქალაქევის ნაქალაქარი, რომელიც 20 ჰა ფართობის რთულ რელიეფზე იყო გაშენებული, წარმოადგენდა ეგრისის (დასავლეთ საქართველოს) სამეფოს დედაქალაქს 4-6 საუკუნეებში. ნოქალაქევი ერთადერთია უძველესი პერიოდისა და ადრეული შუასაუკუნეების საქართველოს ძველ ქალაქებს (ნაქალაქარებს) შორის, სადაც შენარჩუნებულია დაგეგმარების სრული სურათი და ქალაქის კომპოზიციური დიზაინი, ციხე-სიმაგრის კედლებითა და კოშკებით, სასახლეებით, ეკლესიებით, გვირაბით, აბანოებით და ა.შ. რაც დამახასიათებელია ამ ეპოქის ქალაქისთვის. ნოქალაქევის კომპლექსის ისტორიულ განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს 1930 წლების შემდეგ ნაწილობრივ აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნაგებობებს. რამდენიმე ძეგლის კონსერვაცია და რიგ შემთხვევებში, რეკონსტრუქცია, განხორციელდა 1970-იანი წლების ბოლოს, 1990-იან წლებში და შემდგომ პერიოდში. თუმცა, არ შექმნილა კომპლექსური მართვის რეჟიმი.

ნოქალაქევის კომპლექსი პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ფარგლებში ჩამოყალიბდა 1976 წელს, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის № 118 დადგენილებით.

ნოქალაქევის არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსის მართვის გეგმის შემუშავებისთვის 2010 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს № 2/225 ბრძანებით ჩამოყალიბდა სააგენტოს ყველა სტრატეგიული სამსახურის წარმომადგენლებისგან შემდგარი მუშა ჯგუფი:

ვანო ვაშაყმაძე – მუშა ჯგუფის თავმჯდომარე, გენერალური დირექტორის მოადგილე;

ირმა დოლიძე - რედაქტორი/მიმართულება: მუზეუმები და სამუზეუმო კოლექციები; მუზეუმ-ნაკრძალებისა და სამუზეუმო კოლექციების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;

ლეილა თუმანიშვილი - მიმართულება: საარქივო მასალები და დოკუმენტაცია; საინფორმაციო სისტემების სამსახურის უფროსი;

დავით ლომიტაშვილი - მიმართულება: არქეოლოგია; პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ ანთიძე - მიმართულება: იურიდიული საკითხები, იურიდიული სამსახურის უფროსი;

გიორგი ჭიჭიშვილი - მიმართულება: განათლება; საგანმანათლებლო და საინფორმაციო მხარდაჭერის სამსახურის უფროსი;

გიორგი გაგოშიძე - მიმართულება: კონსერვაცია; ძეგლთა ატრიბუციის სამსახურის უფროსი;

მანანა ვარძელაშვილი – მიმართულება: საერთო საკითხები, იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობათა სამსახურის მთავარი კოორდინატორი;

გიორგი ტულუში - მიმართულება: მარკეტინგი და ინფრასტრუქტურა; მარკეტინგის სამსახურის მთავარი კოორდინატორი;

ცოტნე ჭანკოტაძე - მიმართულება: მარკეტინგი და ინფრასტრუქტურა; მარკეტინგის სამსახურის უფროსი ექსპერტი;

ნინო ნოზაძე – მიმართულება: კონსერვაცია; ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფროსი კოორდინატორი.

გიორგი პატაშვილი – კონსერვაცია; კოორდინატორი; ძეგლთა ატრიბუციის სამსახურის უფროსი;

გვანცა გეგეჭკორი - მიმართულება: მუზეუმები და სამუზეუმო კოლექციები; მუზეუმ-ნაკრძალებისა და სამუზეუმო კოლექციების მართვის სამსახურის უფროსი ექსპერტი;

ნინო დვალი - მიმართულება: სარეაბილიტაციო პროექტები; ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახურის უფროსი ექსპერტი.

2. მართვის გეგმის მიზნები

ძირითადი მართვის გეგმის მთავარი მიზანია მრავალი ღირებულების მქონე ნოქალაქევის კომპლექსის კომპლექსური მართვის, კონსერვაციის, დაცვისა და პრეზერვაციის წინაპირობების განსაზღვრა და აღწერა. ეს თემები მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და გავლენას ახდენს ერთმანეთზე. სტატუსის, წინაპირობების, წესების, თანამშრომლობის სტრუქტურებისა და ხელმისაწვდომი რესურსების მიხედვით, ძირითადი გეგმა უზრუნველყოფს ზოგად საფუძვლებს ფაქტიური მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიანი მართვის პრაქტიკისთვის. ასევე, ძირითად გეგმაში გამოკვეთილია კომპლექსის დაცვისა და მართვის საბაზო ინსტრუქციები და სტრატეგიები, მისი ღირებულებებისა და თვისებების და მოსაგვარებელი საკითხების განსაზღვრის საფუძველზე. გარდა ამისა, ძირითადი გეგმა განსაზღვრავს სხვადასხვა ერთობლივად მოქმედი პარტნიორების მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას, მოსაგვარებელ ამოცანებსა და საკითხებთან დაკავშირებით.

მაშინ, როცა ძირითადი გეგმა წარმოადგენს კომპლექსის მართვის, კონსერვაციისა და პრეზერვაციის უპირატეს სქემას, მართვის სამოქმედო გეგმები წარმოადგენს გეგმებს იმისა, თუ როგორ უნდა იქნას მოგვარებული საკითხები და გამოწვევები მოკლე-, საშუალო- და გრძელვადიან პერსპექტივაში, პრაქტიკულად და მიზანზე ორიენტირებულად. შესაბამისად, მართვის ხუთი სამოქმედო გეგმა იცავს და წარმოადგენს ძირითადი სამოქმედო გეგმის განუყოფელ ნაწილს. მართვის სამოქმედო გეგმებში ჩამოყალიბებული ყველა სტრატეგია, რეკომენდაცია და დაგეგმილი ქმედება ეფუძნება მდგრადობის, მინიმალური ჩარების, ობიექტის დაცულობისა და ავთენტურობის

შენარჩუნების და ობიექტის ყველა დამახასიათებელი თვისებისა და ღირებულების პატივისცემის პრინციპებსა. აქედან გამომდინარე, ძირითადი გეგმის მთავარი მიზანია ამ ღირებულებებისა და თვისებების მკაფიო აღწერა და განსაზღვრა, თუ რა გაკეთდა მათი გამოვლენის, დოკუმენტირებისა და გამოკვლევის მიზნით და პრაქტიკული განხორციელებისთვის უპირატესი სქემის ფუნქციის შესრულება.

მართვის სამოქმედო გეგმები უზრუნველყოფს საფუძვლებს ყოველწლიური სამუშაო გეგმების შესაქმნელად.

2. ობიექტის მახასიათებლები

3.1 ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ

ნოქალაქევის კომპლექსი მდებარეობს მდინარე ტეხურის ჩრდილოეთ სანაპიროზე, სამეგრელოში, სენაკის რაიონის, სენაკის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნოქალაქევის ტერიტორიაზე, ქალაქ სენაკის ჩრდილო-აღმოსავლეთით 16 კმ-ში.

კოორდინატები:

X 42 ° 35' 737 "

Y 42 ° 19' 428 "

ნოქალაქევიდან 25 კმ ფარგლებში გვხვდება კულტურული მემკვიდრეობის რიგი სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები და ძეგლები ზედა პალეოლითიდან გვიან შუასაუკუნეებამდე. ნოქალაქევი დაცულია უძველესი ციხე-ქალაქის ძეგლები და წინაისტორიული კულტურული ფენები. გალავნიანი კოშკები მდებარეობს ტერასაზე მდინარის ნაპირის გასწვრივ და ჩრდილოეთით მთის ფერდობების გასწვრივ. შორიდან მოჩანს მაღალი დანგრეული კოშკი, რომელსაც ადგილობრივები მეგრულად „ჯიხას“ უწოდებენ, რაც „ციხე-სიმაგრეს“ ნიშნავს. კომპლექსის ძეგლები შესანიშნავად ერწყმის მდინარე ტეხურის თვალწარმატებლად ლანდშაფტს.

საქართველოს ეს რეგიონი დასავლეთით ესაზღვრება შავ ზღვას, ხოლო ჩრდილოეთით - სვანეთის მაღალ მთებს, რომელიც აღსანიშნავია მრავალფეროვანი ლანდშაფტითა და კულტურული მემკვიდრეობით. აქედან გამომდინარე, ნოქალაქევის კომპლექსის მდებარეობა კარგ შესაძლებლობას უზრუნველყოფს, რათა ის გახდეს მნიშვნელოვანი ადგილი ტურისტებისთვის.

3.2 ზოგადი ბუნებრივი და კულტურული გარემო

ნოქალაქევის კომპლექსი, ისევე როგორც ტეხურის აუზის ყველა სხვა დანარჩენი პუნქტი, სადაც სხვადასხვა დროის არქეოლოგიური ძეგლებია გამოვლენილი, მდებარეობს აუზის ქვემო წელში,

რომელიც გაშლილია დასავლეთ საქართველოს ორი გეომორფოლოგიური ოლქის - კოლხეთის დაბლობისა და სერებად დანაწილებული პლატოს შესაყარზე.

ეს, ერთის მხრივ, მოსახერხებელ თავდაცვით და სამხედრო-სტრატეგიულ გარემოს ქმნიდა და იმავდროულად, თავისი ბუნებრივი ლანდშაფტით, იდეალური ადგილი იყო დასახლებათა ჩამოყალიბებისთვის რამდენიმე პერიოდის განმავლობაში. რეგიონის სიმდიდრე საშენი მასალებით - ხე-ტყით, სხვადასხვა ჯიშის ქვებით, თიხით, და ბუნებრივი რესურსებით - კვარცის ქვიშით, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი მინერალებით, (ობსიდიანი, აქატი, ქალცედონი, სარდიონი), მეტალურგიისათვის საჭირო ნედლეულით, გარკვეული რაოდენობით ოქროს მარაგით მდ. ენგურის, ცხენისწყლის, ტეხურისა და რიონის ქვიშებში, ქმნიდა საფუძველს დასახლებების არსებობისათვის. კოლხეთში სასარგებლო ბუნებრივი სიმდიდრეების არსებობა კარგ შესაძლებლობებს უზრუნველყოფდა წარმოების და ვაჭრობის განვითარებისთვის, რაც ამა თუ იმ ეტაპზე ადგილობრივი საზოგადოების დაწინაურებისა და სახელმწიფოებრიობის განვითარების პროცესებს აჩქარებდა.

კლიმატური გარემო ხელსაყრელ პირობებს ქმნის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. კოლხეთის ბარ-დაბლობი და მთისწინეთი ძირითადი ისტორიული აგრარულ-სამეურნეო რეგიონია. VI ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსის, პროკოპი კესარიელის ცნობით, კოლხეთის უმთავრეს ეკონომიკურ რაიონს მოხირისი წარმოადგენს, რომელიც არქეოპოლისიდან (დღევანდელი ნოქალაქევი) ერთი დღის სავალზეა. ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, როგორიცაა სხვაობა ნალექების წლიურ საერთო რაოდენობასა და ზედაპირულ ჩამონადენებს შორის (800-900 მმ) ჩვენთვის საინტერესო რეგიონში, მთავარი მიზეზი იყო იმისა, რომ აქ ნიადაგი იშვიათად ნესტიანდება და ჭაობდება. აგრარულ სამეურნეო ტერიტორიებს ხელოვნური რწყვა არ სჭირდებოდა წყლის დეფიციტის შესავსებად.

გეოგრაფიული და გარემო პირობების გამო, არქეოპოლისი ეგრისის სამეფოს დედაქალაქის სახით აღმოცენდა. თავდაპირველად, ძვ. წ. მე-4 საუკუნიდან მას „ციხეგოჯი“ - ეგრისის ერისთავის, ქუჯის რეზიდენცია, ეწოდებოდა. სახელწოდება „არქეოპოლისი“ მომდინარეობს ბიზანტიური წყაროებიდან ახ. წ. მე-4 საუკუნიდან. ნოქალაქევს განსაკუთრებული სტრატეგიული დატვირთვაც გამოარჩევდა, რის გამოც ნაქალაქარმა თითქმის 15 საუკუნის განმავლობაში არ დაკარგა ეს მნიშვნელობა.

3.3. ლანდშაფტი და კლიმატი

სამეგრელო, სადაც მდებარეობს ნოქალაქევის კომპლექსი, დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიასთან ერთად, ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქშია მოქცეული. სამეგრელოს ვაკე-დაბლობი და გორაკ-ბორცვიანი ზოლი გამოირჩევა ნოტიო თბილი ჰავით, უთოვლო ზამთრით და ცხელი ზაფხულით.

სამეგრელოს ტერიტორია, ისევე როგორც მთლიანად საქართველოსი, სუბტროპიკული და ზომიერი სარტყლების საზღვარზე მდებარეობს. სამეგრელოს ჰავის ხასიათზე დიდ გავლენას ახდენს შავი ზღვის სიახლოვე. ეს ტერიტორია საკმაოდ უხვნალექიანია. ნალექების წლიური ჯამი 1400–3000 მმ. საზღვრებში ცვალებადობს. ნალექების სიუხვით განსაკუთრებით გამოირჩევა საშუალოდ მაღალმთიანი რაიონები. უფრო ნაკლები ნალექიანობა ზღვის სანაპირო ზოლისთვისაა დამახასიათებელი.



მდინარე ტეხური



სამეგრელო წყლის სიუხვითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ მრავლადაა მდინარეები, ჭაობები და წყაროები. წარსულში ისინი გადაადგილების ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ საშუალებას წარმოადგენდნენ. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ჩვ. წ. II ს.რომში გამოცემული ე.წ. "პევტაგერიანის" ცხრილში დასავლეთ საქართველოს სხვა მდინარეებთან ერთად შეტანილი იყო სამეგრელოს ტერიტორიაზე გამდინარე მდინარეები: ფაზისი (რიონი), ხობოსი (ხობი), ასტელეფოსი (ენგური), გლაუკი (აბაშა), საგამი (ტეხური, რომლის პირასაც არის აგებული ნოქალაქევის კომპლექსი).

3.4. მცენარეული საფარი

მრავალფეროვანი მცენარეული საფარი გამოარჩევს სამეგრელოს რეგიონსა და ნოქალაქევის კომპლექსს. აქ წარმოდგენილია სურო, ხავსი, ბალახი და სხვა ხვიაწები, ასევე, ხე-მცენარეები და ბუჩქნარები, რომელთა თესლის გადატანა ხშირად ფრინველთა საშუალებით ხდება: ლელვი, ბროწეული, ნიგოზი და სხვა). დანარჩენ ხის ჯიშებს უმეტესად შეადგენს აკაცია, მუხა და ცაცხვი.

თუკი ნაქალაქარის ფერდობზე გავრცელებული ფოთლოვანი მცენარეები უძრავი კულტურული მემკვიდრეობისთვის განსაკუთრებულ საშიშროებას არ ქმნის, ციტადელში და ქვედა ტერასაზე სურათი განსხვავებულია. უკონტროლო მცენარეული საფარის ფესვები და ტოტები ქვის კედლებისა და ზოგადად ნაგებობების დაზიანების ძირითადი მიზეზი ხდება.

აუცილებელია მცენარეული საფარის აღწერა, რასაც მოჰყვება სპეციალური სტრატეგიული გეგმა მცენარეული საფარის კონტროლისა და მართვისთვის.

4. საიტის დახასიათება

4.1. ნოქალაქევის კომპლექსი

ნოქალაქევი-ციხეგოჯი-არქეოპოლისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლია საქართველოში. საუკუნეთა განმავლობაში ის ეგრისის/ლაზიკის სამეფოს დედაქალაქს წარმოადგენდა და მისი თავგადასავალი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებთან.

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია სხვადასხვა დანიშნულების არქიტექტურული ძეგლები: გრანდიოზული საფორტიფიკაციო ნაგებობები, აბანოები, ეკლესიები, მათ შორის, უძველესი ბაზილიკები და კედლის მხატვრობის ნიმუშები.

ქალაქი, რომელიც ეგრისის მეფეთა რეზიდენციას წარმოადგენდა, სამი ნაწილისგან შედგებოდა: მთავარი – ქალაქის ქვედა ნაწილი (აქ ცხოვრობდნენ მეფე-დიდებულებები, სამღვდლო პირები და ა.შ.), მას მოსდევდა მონაკვეთი ფერდობზე, რომელიც გარნიზონისთვის იყო განკუთვნილი და მესამე ნაწილი – მაღალი მთის პლატოზე მოთავსებული შიდაციხე, ციტადელი, აკროპოლისი. ქალაქი მრავალგზისაა გადამწვარი და დანგრეული, შესაბამისად, მოღწეულია ნაგებობათა მხოლოდ ნაწილი ნანგრევების სახით. მიუხედავად ამისა, ნაქალაქარის სტრუქტურა დღესაც მკაფიოდ იკითხება.

VI ს. ორმოცმოწამეთა ეკლესიის გვერდით შემორჩენილია ეგრისის მეფეთა IV-V-VI საუკუნეებში აგებული ორ და სამსართულიან სასახლეთა და უძველეს ბაზილიკათა (ორი ერთნავიანი, ორი სამნავიანი - IV-VI სს.) ნაშთები. უნდა გვახსოვდეს, რომ ქრისტიანობა საქართველომ მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველთაგანმა, 326 წელს მიიღო. თავდაპირველად ამ სამნავიან და მრავალგზის გადაკეთებათა შედეგად გუმბათიან ნაგებობად ქცეულ ეკლესიაში, XVI-XVII საუკუნეთა კედლის მხატვრობასთან ერთად, მშენებლობის თანადროული ანიკონური მხატვრობაცაა შემორჩენილი.

ნოქალაქევის კომპლექსში არსებული რომაული ტიპის გვიანანტიკური ხანის სამეფო და სამოქალაქო აბანოები დღესაც ნათლად მეტყველებენ ქალაქის ყოფითი კულტურის მაღალ დონეზე. ეს ფაქტი დამატებით ხაზგასმულია ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე მოწყობილი IV-VI სს. წყალსაცავით, დასავლეთ კიდეზე, მდინარის ჩრდილო ნაპირისკენ მიმავალი, კლდეში გაჭრილი გვირაბით, რომელიც წყლის ფარულად ამოტანის შესაძლებლობას ქმნიდა. საინჟინრო ნაგებობის ეს გამორჩეული ნიმუში კამაროვანი გადახურვითა და ფართო კიბეებით დღემდე სრულადაა შემორჩენილი.

ქალაქს გარს აკრავს სათავდაცვო კედლები, 70 მ ინტერვალით განლაგებული კოშკებით. გალავნის უძველესი ფენა III - IV სს. განეკუთვნება, სამხრეთით და აღმოსავლეთით პარალელურად მიმავალი სამი სათავდაცვო კედლით (IV-VI სს.). ციტადელი ორი კოშკითა და ჭიკრებით IV-V საუკუნეებში აშენდა. ასევე, ციტადელში გვხვდება VI ს. დიდი ეკლესიის ნანგრევი, ხოლო ციტადელის გარეთ - VI ს. სხვა ადგილებზე ეკლესია.

ნოქალაქევის ტერიტორიაზე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მასალა (3500 ექსპონატი) დაცულია და

ნაწილობრივ გამოფენილია ნოქალაქევის მუზეუმში 1979 წლიდან. არქეოლოგიური მასალა ნათელ წარმოდგენას ქმნის საქართველოს ამ ერთ-ერთი უძველესი ქალაქის წარსულზე და ქვეყნის უმდიდრეს კულტურულ მემკვიდრეობაზე.

სტრატეგიული ადგილმდებარეობა განსაზღვრავდა ნოქალაქევი-არქეოპოლისის მნიშვნელობას ისტორიულ წარსულში. სწორი მენეჯმენტისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გათვალისწინებით, ამ ფაქტორს შეუძლია ნოქალაქევი გადააქციოს მნიშვნელოვან რეგიონალურ ტურისტულ ზონად (სამეგრელო, იმერეთი, სვანეთი).

4.2. ნაშთები, აღდგენილი შენობა-ნაგებობები

1. ეგრისის მეფეთა პირველი სასახლე – IV-V სს.

სამხრეთ-აღმოსავლეთით სათავდაცვო კოშკის სიახლოვეს მდებარე სასახლე შემორჩენილია გეგმის დონეზე. სავარაუდოდ ეს იყო სამ-სართულიანი შენობა, სადაც მესამე სართულის ღია პლატფორმა გამოიყენებოდა გუმბაგების მიერ სათვალთვალოდ და უსაფრთხოებისთვის. კონსერვაცია ჩატარდა 1983-1986 წწ.;

2. ეგრისის მეფეთა მეორე სასახლე – V-VI სს. XVII და XX სს.

სამსართულიანი ნაგებობა, შემორჩენილია ნანგრევების სახით. მე-17 საუკუნიდან შენობის სამხრეთი ნაწილი დადიანების სამეფო ოჯახის წევრების მიერ მარნად გამოიყენებოდა. ამჟამად, დაცულია საწნახელისა და კერამიკული ქვევრების ნარჩენები. მე-19 საუკუნეში სასახლის ნანგრევებზე სკოლა აშენდა, რომელიც 1940 წლამდე ფუნქციონებდა, შემდეგ კი დაინგრა. დადიანების მარნის ნაწილში არქეოლოგიური კვლევა 1970-იან წლებში ჩატარდა. სასახლის ნანგრევების კონსერვაცია 2001 წელს ჩატარდა.

3. დადიანების სასახლე – XVII-XVIII სს.

გვიანი შუასაუკუნეებისთვის დამახასიათებელი ორსართულიანი შენობა მდინარის ქვით იყო აშენებული. მან დაკარგა თავისი ფუნქცია მე-19 საუკუნის ბოლოდან და დანგრეულ იქნა. ნაწილობრივი აღდგენა მოხდა 1980-იანი წლების ბოლოს.

4. სამნავიანი ბაზილიკა – V ს. შუა ხანები, IV ს. ერთნავიანი ბაზილიკის ზემოთ

ბაზილიკა ერთ-ერთი უდიდესი ადრექრისტიანური ეკლესიაა დასავლეთ საქართველოში. ის მისი მშენებლობიდან მოკლე ხანში იქნა დანგრეული და გადამწვარი. 1982-1985 წწ. ის 1/2-1 მ სიმაღლემდე იქნა აღდგენილი. გათხრების დროს, აღმოჩენილ იქნა ადრეული პერიოდის ეკლესიის ნახევარწრიული ფორმის საკურთხეველი, რომელიც მე-4 საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება.

5. ორმოცმწამეთა ეკლესია – VI ს.

თავდაპირველად სამნავიანი გუმბათიანი ბაზილიკა, ამავე პერიოდის ანიკონური მხატვრობის ფრაგმენტებით. ზოგიერთი ნაშთი ჩანს გარეთა აღმოსავლეთ კედელზე, თავდაპირველად ნართექსის შიგნით. ეკლესია მრავალჯერაა გადაკეთებული,

ბოლოს მოხატულია XVI-XVII საუკუნეებში. ამ პერიოდის შიდა კედლის მხატვრობა სრულადაა შემორჩენილი.

6. დარბაზული ეკლესია, VI ს.

მდენარეობს ფერდობზე ციტადელის მახლობლად, ეწოდება „გარნიზონის ეკლესია“. ის მშენებლობის დასრულებიდან მოკლე ხანში იქნა დანგრეული, 6-7 საუკუნეებში. ნანგრევი შემორჩენილია 1 ½ მ სიმაღლეზე. კონსერვაცია არ ჩატარებულა.

7. დარბაზული ეკლესია, VI ს.

მდებარეობს ნაქალაქარის ქვედა ტერასის ჩრდ. მონაკვეთზე. შემორჩენილია საძირკვლის დონეზე. კონსერვაცია ჩატარდა 1987-1988 წწ.;

8. მეფეთა უბნის ჭიშკრის კოშკი - VI ს.

თავდაპირველად იყო ორსართულიანი. შემორჩენილია კოშკის პირველი სართული თაღოვანი ჭიშკრით. კონსერვაცია ჩატარდა 1986-1987 წწ.;

9. სამეფო აბანო – V-VI სს.

რომაული ტიპის გვიანანტიკური ხანის აბანო, შემორჩენილია იატაკის დონეზე, კონსერვაცია ჩატარდა 1978-1983 წწ; აბანო იყოფოდა ხუთ ნაწილად: მოსასვენებელი ოთახი, ცხელი, თბილი და ცივი წყლის სააბაზანო ოთახები და ოთახი გამაცხელებელი სისტემით. თავდაპირველი ქვის საკონსერვაციო სამუშაოების 2010 წელს დაიწყო.

10. სამოქალაქო აბანო, IV-V სს. - რომაული ტიპის გვიანანტიკური ხანის აბანო, ცხელი აბანოს განყოფილებითა და საცეცხლე განყოფილებით. შემორჩენილია დაზიანებული და ფრაგმენტული სახით, კონსერვაცია ჩატარდა XX ს. 80-იანი წლების დასაწყისში;

11. წყალსაცავი, IV-VI სს.

მდებარეობს ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე. ნაწილობრივ შენარჩუნებულია ნანგრევების სახით. რეზერვუარი, რომელიც გორაკებიდან აგროვებდა წყალს, წყლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა ნაქალაქარში და გამოიყენებოდა აბანოებად და სხვადასხვა საწარმოო საქმიანობისთვის. ჩატარებული აქვს ნაწილობრივი კონსერვაცია 1995 წ.;

12. ქალაქის სათვადაცვო კედლები კოშკებით, III – IV და V სს.

ნანგრევები 70 მეტრიანი ინტერვალითაა განლაგებული. გალავნის უძველეს ფენას მოგვიანებით დაემატა სამხრეთით და აღმოსავლეთით პარალელურად მიმავალი სამი სათვადაცვო კედელი, რომლებიც შემორჩენილია განსხვავებული სიმაღლით. სხვადასხვა ნაწილები კონსერვირებული და რესტავრირებულია XX ს. 70-80-იან წლებში);

13. მთავარი კარიბჭე - V ს.

განთავსებულია მთავარ გალავანთან. კარიბჭე კამაროვანია. რეკონსტრუირებულია 1978-1987 წწ.;

14. გვირაბი - IV-VI სს.

გამორჩეული და სრულად დაცული საინჟინრო ნაგებობა, რომელიც ქალაქის დასავლეთ ბოლოში, კლდეშია გაჭრილი, მდინარე ტეხურის მიმართულებით,

კამაროვანი გადახურვითა და ფართო კიბეებით. გვირაბი წყლის ფარულად ამოტანის შესაძლებლობას ქმნიდა და წარმოადგენდა ნაქალაქარში უსაფრთხო შესასვლელსა და გამოსასვლელს. გამაგრებულია 1978-1980 წწ.

15. დაცვის თანამშრომლის შენობა – IV-V სს.

მცირე, მართკუთხა ზომის 5x3,5 მ დანგრეული შენობა, რომელიც ნაწილობრივ შენარჩუნებულია 1,4 მ სიმაღლეზე. შენობა განთავსებულ იქნა უშუალოდ გვირაბის შესასვლელთან უსაფრთხოების მიზნით. კონსერვაცია არ ჩატარებულა.

16. გამოსაწვავი ღუმელების ნაშთები - III - IV და V- VI სს.

ორი კერამიკული გამოსაწვავი ღუმელიდან უძველესი, დაახლოებით 1,7 მ დიამეტრის, მდებარეობს ტერასის ვაკეზე, სამეფო აბანოს მახლობლად. ის მოგვიანებით კირის გამოსაწვავად გამოიყენებოდა. უფრო გვიანი პერიოდის გამოსაწვავი ღუმელი (დაახლოებით 2 მ დიამეტრის) მდებარეობდა მთავარ შესასვლელთან და აღდგენილ იქნა 1980-იან წლებში.

17. შიდაციხე – ციტადელი კოშკებით, IV-V სს.

ციტადელი, რომელიც თავდაპირველად წარმოადგენდა დამოუკიდებელ ერთეულს ორი კოშკით, საერთო სათავდაცვო სისტემაში გაერთიანდა მე-6 საუკუნეში. მცირემასშტაბიანი არქეოლოგიური გათხრები ტარდებოდა 1970-იან და 1980-იან წლებში. კონსერვაცია არ ჩატარებულა.

18. დარბაზული ეკლესია ციტადელში – V-VI სს.

წმინდა გიორგი მოისარის სახელობის მისარონის ეკლესია აღიმართა ციტადელის ცენტრალურ ნაწილში. ეკლესია რესტავრირებულია 1985-1988 წწ. და გარემონტდა 2009 წ.

19. ოდა-სახლი - XIX ს.

დასავლეთ საქართველოსთვის ტიპური ხის საცხოვრებელი სახლი. მარტვილის მუნიციპალიტეტიდან გადმოტანილი და დადგმული იქნა 1987-1988 წწ. სახლი კაპიტალურ რემონტს საჭიროებს.

20. ნოქალაქევის მუზეუმი

1970-იანი წლების დასაწყისიდან წარმოადგენდა საბჭოური ტიპის კულტურის სახლს. გალავნების შიგნით და დასავლეთით მდებარე შენობას რეკონსტრუქცია ჩატარდა და გაიხსნა ნოქალაქევის მუზეუმის სახით 1988 წელს. ნოქალაქევის ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის ნააწილი დაცული და გამოფენილია მუზეუმში.

21. რკინის ხიდი მდ. ტეხურზე, XIX ს.

ხიდი ააშენეს ბათუმელმა არქიტექტორებმა 1895 წელს. 1960-იან წლებში ახალი ხიდის აშენებამდე ის ერთადერთ დამაკავშირებელ საშუალებას წარმოადგენდა სენაკისა და მარტვილის რაიონებს შორის. ის ცუდად იქნა აღდგენილი 1990-იან წლებში და ამჟამად ცუდ მდგომარეობაშია.

4.3. არქეოლოგიური მახასიათებლები

4.3.1. ზოგადი აღწერა

ნოქალაქევის უძველესი ურბანული კომპლექსი, თავისი მასშტაბიდან და საქალაქო ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, უანალოგოა იმ დროის კავკასიაში. ნოქალაქევის ნაქალაქარი, რომელიც 20 ჰა. რთულ რელიეფზეა გაშენებული, IV-VIII სს. ეგრისის (დასავლეთ საქართველო) სამეფოს დედაქალაქი იყო. ნოქალაქევის ნაქალაქარი საუკეთესო მაგალითია ურბანული და ურბანულ-გეგმარებითი თემების შესასწავლად ზოგადად კავკასიის რეგიონში, გვიანანტიკურიდან ადრეული შუასაუკუნეების პერიოდამდე.

მე-4 საუკუნის დასაწყისის ქრისტიანული ეკლესიის ნაგებობა, რომელიც ყველაზე ადრეულია ცენტრალურ და დასავლეთ კავკასიაში, აღმოჩენილ იქნა ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე. ამ აღმოჩენას სიახლეები შეაქვს ეგრისის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელების კვლევაში.

არსებული არქეოლოგიური მასალების (ძვ.წ. VIII - ახ.წ. VI სს.) შესწავლა ნათელყოფს, რომ სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ჩვენთვის საინტერესო რეგიონში, ნოქალაქევი უძველესი დროიდან კონკრეტული ისტორიულ-გეოგრაფიული არეალის, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურულ-ეკონომიკური ცენტრია.

ნოქალაქევი ამიერკავკასიაში უნიკალურ კომპლექსურ ნამოსახლარს წარმოადგენს, რაც ასევე დასტურდება აქ შემორჩენილი ორი დარგის - მიძივების დასამზადებელი და საოქრომჭედლო სახელოსნოების ნაშთებით. ეს ერთადერთი ცნობილი სახელოსნო ძვ. წ. 8-7 საუკუნეებით თარიღდება. ნოქალაქევის მახლობლად აღმოჩენილი სპეციფიკური საკულტო მოედანი ზოომორფული კერამიკული ფიგურებით ადასტურებს ქრონოლოგიას, რომელიც მინიმუმ ორი საუკუნით წინ უსწრებს ე.წ. „დიდ ბერძნულ კოლონიზაციას“.

ნაქალაქარის ძვ.წ. VIII-VII სს. კულტურული ფენებიდან გამომდინარე არქეოლოგიური ძეგლების შესწავლამ ცხადყო, რომ რეგიონი წარმოადგენს ხმელთაშუაზღვის აუზის, ეგეოსური სამყაროს მცირეაზიური კულტურული ნაკადების და ადგილობრივი ტრადიციების თანხვედრის ადგილს.

ძველი კოლხეთის მთელი რიგი სამეურნეო დარგების სპეციალურმა კვლევამ (მაგ. სელის კულტურა) დაგვარწმუნა, რომ რეგიონი პრიორიტეტულია იმდროინდელი ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებისათვის (ეგვიპტე, საბერძნეთი და სხვ.) კულტურულ-სამეურნეო და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით. უადრესი იმპორტი ნოქალაქევის რეგიონში ე.წ. „დიდი ბერძნული კოლონიზაციის“ ადრეულ ფაზაში იწყება და წარმოდგენილია ძვ.წ. VI ს. ბოლო პერიოდით დათარიღებული ქიოსური ამფორების სახით.

4.3.2. არქეოლოგიური კვლევები

ნოქალაქევაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალისადმი ინტერესი მე-19 საუკუნეში გაჩნდა. პირველი ადამიანი, რომელმაც აქ აღმოჩენილი არტეფაქტების შეგროვება დაიწყო,

დავით დადიანი იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში მასალა „დადიანების კოლექციის“ სახელითაა ცნობილი.

კომპლექსის არქეოლოგიური შესწავლა პირველად 1930 წელს დაიწყო ალფონს-მარია შნაიდერის ხელმძღვანელობით (გერმანია-საქართველოს კულტურული თანამშრომლობის შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე), რომლის შედეგადაც დადასტურდა ქართულ ისტორიულ წყაროებში არსებული ინფორმაცია ძვ. წთ. III საუკუნიდან აღნიშნულ ადგილას საქალაქო ცხოვრების არსებობის შესახებ. ძირითადი არქეოლოგიური მასალა კი ახ. წ. IV-VIII სს. თარიღდება.

1930 წლის შემდეგ კომპლექსის არქეოლოგიური შესწავლა მხოლოდ 1973 წელს გაგრძელდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის (ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმი) არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ.

2000 წლიდან ნოქალაქევის კომპლექსის ტერიტორიაზე არქეოლოგიურ სამუშაოებში ჩაერთვნენ დიდი ბრიტანეთის: კემბრიჯის, ოქსფორდისა და საუთჰემპტონის უნივერსიტეტები. მათი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ასევე, საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დახმარებით განხორციელდა არაერთი ღონისძიება.¹

2005-2008 წლებში ხორციელდებოდა ქართულ-შვეიცარული ერთობლივი პროექტი “ნოქალაქევი ძვ. წ. I ათასწლეულში”, რომელიც მოიცავდა კომპლექსის ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოების განხორციელებას.

ნოქალაქევის კომპლექსში მიმდინარე სამუშაოების ყოველწლიური შედეგები წარმოდგენილია ვებგვერდზე – <http://www.nokalakevi.org>.

დღეისათვის არქეოლოგიურად შესწავლილია ნოქალაქევის კომპლექსის დაახლოებით 20%. გათხრები კონცენტრირებულია ქვედა ტერიტორიაზე კედლების შიგნით, ხოლო რამდენიმე საცდელი გათხრა ჩატარებულ იქნა უზარმაზარ დასახლებულ ტერიტორიაზე არქეოპოლისის ზემო ნაწილში და მდინარის გასწვრივ კედლების გარეთა მხარეს.

4.3.3. არქეოლოგიური ფენები და ქრონოლოგია

ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალების ტოპოგრაფია გვიჩვენებს, რომ დედაქალაქობამდელი ხანის კულტურული ფენების განსაკუთრებული კონცენტრაცია მისი ქვედა ტერასის ცენტრალურ და აღმოსავლეთის სექტორებში დასტურდება.

1. ნაქალაქარზე I ქრონოლოგიური (უადრესი) ჰორიზონტი 3,5-4 მ. დაბლაა მიწის ზედაპირიდან და გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანით, უფრო ზუსტად კი ძვ.წ. VIII-VII სს.

¹ ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, 2005 წ.; ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე საველე სარესტავრაციო-საკონსერვაციო ლაბორატორიის დაფუძნება, 2006 წ.; ნაქალაქარის ქვედა ტერასის შემოღობვა, 2006 წ.; ნოქალაქევის არქეოლოგიური ბაზის რეაბილიტაცია, 2006-2007 წწ.; სენაკის რაიონის დაცული ზონების (ნოქალაქევი) დოკუმენტაციის მომზადება, 2007 წ.; ნოქალაქევის არქეოლოგიურ მუზეუმში დაცული არტეფაქტების (ნაწილი) კონსერვაცია ნოქალაქევის ექსპედიციის ლაბორატორიაში – 2008 წ.

თარიღდება. იგივე სექტორებში ამ ფენას მოსდევს ძვ.წ. VI-V სს. კულტურული ფენა. ორივე, ამ კულტურული ფენების შემქმნელი საზოგადოების სამაროვნების ლოკაცია უცნობია და მათი მიკვლევა ექსპედიციის გეგმებში უმთავრესი პრიორიტეტია.

2. ძვ.წ. IV ს. ბოლო მეოთხედიდან განვითარების ახალი ფაზა იწყება - ელინიზმის ეპოქა, რომელიც აქ ძვ.წ. II ს. ბოლომდე გაგრძელდა და წარმოდგენილია ნამოსახლარებითა და სამაროვნით.
3. ძვ.წ. I - ახ.წ. III სს. ცხოვრების ინტენსივობის დაცემა-სტაგნაციის პერიოდია. კულტურული ფენები პრაქტიკულად აღარ არსებობს.
4. ნოქალაქევი-ციხეგოჯის მნიშვნელობა გაიზარდა ახ.წ. III საუკუნის ბოლოდან, როდესაც ის გახდა ახალდმოცენებული ეგრისის (დასავლეთ საქართველოს) სამეფოს დედაქალაქი (ლაზიკა ბიზანტიურ წყაროებში). VII საუკუნემდე სამი ქრონოლოგიური ფენის გამოიკვეთა შესაძლებელი:
 - 4.1. ახ.წ. IV ს. - ინტენსიური სამშენებლო სამუშაოები ერთდროულად იწყება ქვედა ტერასაზე და ციტადელში: I სასახლე, დარბაზული ეკლესია, I გალავანი, I აბანო, გვირაბი, გამოსაწვავი ქურა. ციტადელის გალავანი, მისი დასავლეთის კოშკის ქვედა იარუსი, აღმოსავლეთის კოშკი და სხვ.
 - 4.2. ახ.წ. V ს. - II „ქონგურებიანი“ გალავანი, სამნავიანი ბაზილიკა, წყალსაცავი, II აბანო, სრულად ფორმირდება ციტადელი (ეკლესიის გარეშე);
 - 4.3. ახ.წ. VI ს. - ერთიან სისტემაში ექცევა მანამდე ცალ-ცალკე არსებული ციტადელი და ქვედა ტერასა. გალავანი ერთიანობაში აყალიბებს ქალაქს. შენდება ოთხი ეკლესია, (მათ შორის „ორმოცმოწამეთა“ ე.წ. გუმბათიანი ბაზილიკა და „ჯეგე მისარონის“ სახ. დარბაზული ეკლესია ციტადელში), სრულდება გვირაბი, II სასახლე. საერთო კავკასიურ სივრცეში იქმნება უანალოგო მასშტაბების ქალაქი - „ციხეგოჯი-არქეოპოლისი“;
5. ახ. წ. VII ს. დასაწყისიდან დედაქალაქის დაცემა აშკარაა.
6. მცირემასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოები კვლავ მიმდინარეობს გვიან შუასაუკუნეებში, როდესაც აქ დადიანთა ერთ-ერთი შტო დასახლდა. ახ.წ. XVII-XVIII სს. ქალაქი ფაქტიურად განადგურებულია.

5 დოკუმენტაცია

ნოქალაქევის კომპლექსის შესახებ არსებული დოკუმენტაცია (იხ. დანართი 2) ინახება სხვადასხვა ორგანიზაციებში.

ცალკეული ობიექტების დოკუმენტაცია - ანაზომები, არქიტექტურული პროექტები და ფოტოარქივი, რომელშიც თავმოყრილია ფოტოები 1973 წლიდან დღემდე, დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის ნოქალაქევის ფონდში.

არქეოლოგიური კოლექციები განთავსებულია ნოქალაქევის არქეოლოგიურ მუზეუმში და საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, თანდართული დოკუმენტაციით.

არქეოლოგიური ექსპედიციების ყოველწლიური ანგარიშები და დღიურები, ფოტოებისა და ნახაზების ჩათვლით, ასევე ინფორმაცია დაახლოებით 30 000 ნივთზე დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

ნოქალაქევის არქეოლოგიურ მუზეუმში დაცულია საინვენტარო ჟურნალი, რომელშიც არის ინფორმაცია დაახლოებით 3500 ობიექტზე (იხ. დამატებითი ინფორმაცია მართვის სამოქმედო გეგმაში 5).

ნოქალაქევის კომპლექსის 8 ობიექტზე (სამეფო აბანო, კოშკი, სამნავიანი ბაზილიკა, სასახლე, ორმოცმოწამეთა ეკლესია, მისარონის ეკლესია) ნახაზები, კროკი, ანაზომები და არქიტექტურული პროექტები ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში მყარი ვერსიების სახით. გარდა ამისა, რამდენიმე მეგლის ფოტო დოკუმენტაცია ასევე ინახება ეროვნულ სააგენტოში. დოკუმენტური მასალა ელექტრონული სახითაა შეტანილია ეროვნული სააგენტოს არქივის მონაცემთა ბაზაში.

ნოქალაქევის კომპლექსის შესახებ გამოცემულია არქეოლოგიური ანგარიშების 3 ტომეული, 1 მონოგრაფია, 4 დისერტაცია, 5 ბუკლეტი და 600-მდე სამეცნიერო სტატია.

ნოქალაქევის კომპლექსის შემადგენელ ობიექტებზე არსებული დოკუმენტაციის ძირითადი ნაწილი არასრულია. ის მომზადებულია 1970-80-იან წლებში, შესაბამისად არ პასუხობს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კანონით (2007 წ.) დადგენილ სტანდარტებს და არსებობს მხოლოდ მყარი ვერსიების სახით.

6. საიტის შეფასება

6.1 საიტის ისტორიულ-არქიტექტურული ფასეულობა

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არ მოგვეპოვება სხვა მეორე ნაქალაქარი, რომელიც ასე სრულად იყოს შემონახული. იგი იმდენად კარგადაა შემორჩენილი, რომ შესაძლებელია ქალაქის მთელი აღნაგობის დადგენა. ეს, მრავალფეროვან რელიეფზე განლაგებული ნაქალაქარი თავისი ზომითაც - 20 ჰექტარი - გამორჩეულია, კარგად განირჩევა ქალაქის სხვადასხვა ნაწილი; ციტადელი, რომელიც მაღალი მთის თხემზეა განლაგებული და ქვედა ტერასა – აგორა, სადაც მეფეთა სასახლეები, აბანოები და ეკლესიებია განლაგებული. ნოქალაქევი (ციხე-გოჯი - არქეოპოლისი) ეგრისის სამეფოს, ე.ი. მთელი დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრი იყო და ამდენად, აქ ყველაზე მეტადაა გამოვლენილი ამ ხანის საქალაქო ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

ნაქალაქარზე აღმოჩენილი ორი, თანადროული აბანოს არსებობა ურბანული კულტურის მაღალ დონეზე მეტყველებს. ამასთან ერთად, ეს აბანოები, განსაკუთრებით კი “სამეფო აბანოდ” წოდებული ნაგებობა ყურადღებას იპყობს თავისი არქიტექტურით. განსაკუთრებით აღსანიშნავია გასახდელი სათავსის ჯვრისებრი გეგმარება, რომელიც

შესაძლებელია გუმბათით ყოფილიყო გადახურული. ადრე შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურა არ იცნობს ამ ტიპის აბანოს. სხვა ძეგლებზე აღმოჩენილი აბანოები უმეტესად ანფილადური ტიპის ნაგებობებია, რომლებისთვისაც დამახასიათებელია სათავსოთა ერთ ხაზზე, ერთმანეთის მიყოლებით მდებარეობა.

ნოქალაქევის საფორტიფიკაციო სისტემა გამოირჩევა თავისი სირთულით, სრულყოფილებითა და მასშტაბით. სხვაგან არც ერთ ძეგლზე ასე სრულად და ავთენტურად (თუ არ ჩავთვლით უჯარმის ციხე-ქალაქს) არ არის შემორჩენილი ციხე-სიმაგრის სხვადასხვა ნაწილები, თავისი უნიკალური ელემენტებით. ქალაქის ქვედა ნაწილის სასიმაგრო კედელი ჩრდილოეთით მთის ციცაბო კალთას მიუყვება და ციტადელის კედლებს უერთდება, რაც თვალსაჩინოდ მეტყველებს ადრე შუა საუკუნეების საქართველოს მაღალ სამშენებლო ხელოვნებაზე.

ქალაქის იერ-სახეს ქმნიდნენ ასევე ის საკულტო შენობები, რომელთაგანაც განსაკუთრებით აღსანიშნავია IV ს. ერთნავიანი ეკლესია. V ს. შუა ხანებში ამ ეკლესიის ნანგრევებს სამნავიანი ბაზილიკა დააშენეს, რომლის დიდი ზომები იმ დროის ნოქალაქევის მასშტაბებზე მეტყველებს. V-VI სს. მიჯნაზე ეს ნაგებობა დაქცეულა და მის ჩრდილოეთით VI ს. დასაწყისში აშენდა ორმოცმოწამეთა ეკლესია. ამათ გარდა ნაქალაქარზე კიდევ სამი ეკლესიის ნანგრევია შემორჩენილი, რაც ქალაქის მოსახლეობის რაოდენობაზე მეტყველებს.

აღსანიშნავია ეგრისის მეფეთა სასახლის ნანგრევები, რომელიც სამსართულიანი უნდა ყოფილიყო და საქართველოში ამ დანიშნულების ნაგებობათაგან ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია.

ამგვარად, ნოქალაქევის ხუროთმოძღვრება (სასახლეები, აბანოები, საკულტო და საფორტიფიკაციო ნაგებობები) ადრე შუა საუკუნეების საქართველოს ქალაქმშენებლობის, თავდაცვის სისტემის, ყოფისა და სასულიერო ცხოვრების ცხად და ნათელ სურათს გვიხატავს.

ნოქალაქევის კომპლექსს ღირებულებას მატებს რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი უზარმაზარი არქეოლოგიური მასალა. ჯერჯერობით არქეოლოგიურადაა შესწავლილი ტერიტორიის დაახლოებით 20%. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს დიდი და დღემდე უცნობი პოტენციური ურბანულ ფაზებამდე და ამ ფაზების განმავლობაში ნოქალაქევი ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად. მე-7 საუკუნეში თავისი სტრატეგიული მნიშვნელობის დაკარგვის შემდეგაც კი უფრო გვიანი პერიოდის ნაგებობები ნოქალაქევის ყოვლისმომცველი ისტორიის მტკიცებულებას წარმოადგენს. აქტიური ცხოვრება ამ ტერიტორიაზე გრძელდებოდა გვიან შუასაუკუნეებამდე, როდესაც აქ დადიანების რეზიდენცია მდებარეობდა.

ნოქალაქევის კომპლექსი ხასიათდება არა მხოლოდ მისი ვიზუალური ძეგლების კომპოზიციითა და მრავალფეროვნებით. ის არის ადამიანთა საქმიანობის მტკიცებულება, რომელიც მოიცავს ყოველდღიურ ყოფას, კონფლიქტებსა და ომებს, წარმოებასა და სამეურნეო საქმიანობას, ხელოვნებას და ხელოსნობას, არქიტექტურას, სულიერებასა და დასაფლავების რიტუალებს გვიანი ბრინჯაოს ხანიდან თანამედროვე ეპოქამდე.

6.2 კონსერვაციის მდგომარეობა

ნოქალაქევი 1970-იანი წლებიდან მოყოლებული ინტენსიური საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისას ძირითად საკონსერვაციო ხსნარად ფართოდ გამოიყენებოდა კირთან შერეული ცემენტი. წლების განმავლობაში დამტკიცდა, რომ ცემენტი, თავისი სპეციფიკური ფიზიკური და სტრუქტურული შემადგენლობით, განსხვავდება ტრადიციული სამშენებლო მასალისგან, რომელსაც კირ-ხსნარი წარმოადგენდა. მყარ ცემენტსა და გაცილებულ უფრო რბილ, მეტად გამტარუნარიან და მოქნილ კირს შორის შეუთავსებლობა კირ-ხსნარის დაზარებას და დანაოჭებას და ქვების მორყევასა და ჩამოშლას იწვევდა. მართალია, ნანგრევების შემდგომი დაშლა შეიძლება შეჩერებულიყო ზოგიერთ შემთხვევაში, ცემენტის ხსნარით კონსერვირებული და ნაწილობრივ რესტავრირებული ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობა დღესდღეობით ცუდია. გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში ცემენტი ისე ძლიერ ეკვრის ავთენტურ სამშენებლო მასალას, რომ ძალიან რთული ხდება მისი მოცილება შენობის ქვების დაზიანების გარეშე. ამჟამად, ისტორიული ძეგლების კონსერვაციისთვის ამ „იაფი“ და „ხელმისაწვდომი“ ცემენტის ხსნარის გამოყენების მეთოდი მთელ მსოფლიოშია აკრძალული.

გასული ათწლეულების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სირთულეების გამო, საქართველო წლების განმავლობაში იზოლირებული იყო ამ სფეროში მსოფლიო გამოცდილებისგან. ცემენტის გამოყენება ნანგრევების კონსერვაციის გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენდა 2005 წლამდე.

ნოქალაქევის ტერიტორიაზე მდებარე დანგრეული ძეგლების მდგომარეობა მეტ-ნაკლებად მსგავსია. ძეგლები, რომლებსაც ჩაუტარდა კონსერვაცია და ნაწილობრივი რესტავრაცია ცემენტ-კირის ხსნარით 1970-იან და 1980-იან წლებში და შემდეგ განმეორებით, 1990-იან წწ. და 2000-იანი წლების დასაწყისში, მდებარეობს ნაქალაქარის ქვედა ზონაში, აგორას ტერიტორიაზე. წინათ კონსერვირებული ნანგრევების ვერტიკალური კედლის ზედაპირები და კედლის ზედა ნაწილების კონსერვაციის მდგომარეობა მეტ-ნაკლებად ცუდია. გარდა იმისა, რომ ის ძალიან რეალურ საფრთხეს წარმოადგენს ნანგრევების ხანგრძლივი შენარჩუნებისთვის, ძეგლების ვიზუალური მხარეც არადადამაკმაყოფილებელია.

ცემენტის ხსნარისა და კედლის ზედა კიდეების ბზარებისა და ნაოჭების, ასევე მორყეული და ჩამოცვენილი ქვების დამატებითი შედეგია ისაა, რომ ხვიანების ღეროები და ფესვები მრავალი ნანგრევის შიდა და გარეთა კედლებზე იზრდება, რაც მდგომარეობას აუარესებს.

ვიზიტებისა და ტურიზმის თვალსაზრისით, აგორას ტერიტორია ვაკე ტერასაზე ნაქალაქარის ყველაზე ხშირად დათვალიერებად ტერიტორიას წარმოადგენს, მუზეუმთან ერთად. ამგვარად, აგორაზე დანგრეული ძეგლების კონსერვაცია უახლეს მომავალში პრიორიტეტული უნდა გახდეს. ციტადელი თავისი ციცაბო დახრილი ფერდობებით და რთულად სავალი ბილიკებით ჯერ-ჯერობით განკუთვნილია მხოლოდ განსაკუთრებულად დაინტერესებული დამთვალიერებლებისთვის. ასევე, ციტადელში ზოგიერთი ნანგრევი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მორყეული ქვების ჩამოცვენის საფრთხე არსებობს, რაც სახიფათოა დამთვალიერებლებისთვის.

6.3 ავთენტურობა და მთლიანობა

ნოქალაქევის კომპლექსი შედგება 22 აშენებული ძეგლისა და ნაგებობისგან ნანგრევების სახით, რომლებიც რიგ შემთხვევებში აღდგენილი და რეკონსტრუირებულია. მდიდარი არქეოლოგიური და არქიტექტურული მასალა ცხადად ავლენს ურბანული დაგეგმარებისა და კომპოზიციური დაგეგმარების სრულ სურათს. გათხრები და არქეოლოგიური ფენების კვლევა ცხადყოფს ამ ობიექტის მნიშვნელობას გვიანი ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული.

დღესდღეობით, ძეგლი მთლიანობის შენარჩუნების უმთავრესი გამოწვევა მწვანე საფარის სიუხვეა. ბუნებრივი კლიმატური პირობების გამო, აქ მცენარეების ზრდა საკმაოდ ინტენსიურია, თავისი ფესვებით ის ღრმად იჭრება ცალკეული ძეგლის სხეულში და იწვევს კონსტრუქციებისა და სამშენებლო მასალების შლას.

წლების განმავლობაში, წინა საკონსერვაციო და სარეაბილიტაციო პროექტებში გამოყენებული ცემენტის ხსნარი დაიბზარა, ნაწილობრივ გამოიქარა, რამდენიმე ადგილას კი აბსოლუტურად გაქრა, რაც ნანგრევებიდან ქვების ჩამოყრის მუდმივი პროცესის მიზეზია დღეს.

უდავოა, რომ ნანგრევების ადრე ჩატარებული რეკონსტრუქციები და დამატებები უნდა ჩაითვალოს ძეგლების მთლიანობასა და ავთენტურობაზე ნეგატიური გავლენის მქონედ. მეორეს მხრივ, ეს ზომები შეიძლება ჩაითვალოს შექცევადად, თუმცა მდგომარეობის გამოსწორება ძვირი იქნება და მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში შეიძლება იქნას გათვალისწინებული. არსებული სიტუაციის გამოსწორებისთვის პრიორიტეტული შეიძლება და უნდა იყოს ნანგრევების ზოგადი კონსერვაციის ჩატარება. პრიორიტეტი ენიჭება იმ ნანგრევებს, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება დათვალიერებისთვის აგორას სავალი ბილიკების გასწვრივ.

ძეგლის მთლიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანი საკითხი ძეგლის დღევანდელ საზღვრებში მდებარე კერძო სამოსახლოა, რომელიც მეოცე საუკუნის შუა წლებში უკანონოდ გაშენებულა აქ არსებულ არქეოლოგიურ ფენებზე და თავისი სამეურნეო საქმიანობით მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ძეგლის მთლიანობას.

კომპლექსის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს რელიგიური ნაგებობები. ორ რესტავრირებულ ეკლესიაში გასული საუკუნის ბოლოდან აღდგა საღვთო ლიტურგია და საეკლესიო მსახურება ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ამას გარდა, ეს ორი ეკლესია მე-5 ს. სამნავიანი ბაზილიკის და მე-6 ს. ორი დარბაზული ეკლესიის ნანგრევებთან ერთად, 2003 წელს სახელმწიფოსა და საპატრიარქოს შორის გაფორმებული კონკორდატის საფუძველზე, საპატრიარქოს საკუთრებას წარმოადგენს. დღესდღეობით, ეკლესიის საქმიანობა კონტროლირებადია და ძეგლის ავთენტურობას საფრთხეს არ უქმნის.

1973 წელს კომპლექსის საზღვრებში აშენდა არქეოლოგიური ბაზა, რომელიც ამჟამად ეროვნული მუზეუმის იურისდიქციაშია. მისი ფუნქციონირება აქ მიმდინარე ყოველწლიური არქეოლოგიური გათხრების პირობებში აუცილებელია, მით უფრო, რომ აქ განთავსებულია საველე ლაბორატორიაც, სადაც ხდება აღმოჩენილი არტეფაქტების პირველადი იდენტიფიკაცია და დამუშავება. აღნიშნული შენობა, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დროებითი ნაგებობა, გრძელვადიან პერსპექტივაში კი შესამუშავებელია კომპლექსის ფარგლებს გარეთ ბაზის ახალი კონცეფცია.

ამ ტერიტორიაზე და მის ცალკეულ ძეგლებზე წინა ჩარევების მიუხედავად, საერთო ფიზიკური და ვიზუალური შთაბეჭდილება მაღალი ავთენტურობით ხასიათდება.

7. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ნოქალაქევის კომპლექსზე

1. სამართლებრივი აქტები

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში გამოიყენება რანდენიმე სამართლებრივი აქტი:

- კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის (2002)
- საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (2007)
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი (2007)
- საქართველოს კანონი მუზეუმების შესახებ (2001)

2. ნოქალაქევის ციხეგოჯისთვის მინიჭებული სტატუსი და დაცვის ზონების საკითხი

ნოქალაქევის ციხე-გოჯთან დაკავშირებით განხორციელდა შემდეგი სამართლებრივი ქმედებები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად:

ა) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის № 3/133 ბრძანებით, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის სტატუსი მიენიჭა ნოქალაქევის/ნაქალაქარის ტერიტორიაზე არსებულ შემდეგ ძეგლებს:

- ზედა ციხე
- ქვედა ციხე
- თალიანი ეკლესია
- სამრეკლო
- ეკლესია
- სხვა ნაგებობები

ბ) საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის № 665 ბრძანებულებით ნოქალაქევის საფორტიფიკაციო კომპლექსს მიენიჭა ეროვნული მნიშვნელობის მქონე ძეგლის სტატუსი მისი უნიკალური ხასიათის გამო.

გ) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად, განსაზღვრულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონები (2007, თავი 8, მუხლი 36). ამონარიდები:

- ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არელებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით.
- ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი არის ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, სადაც ნებისმიერმა ქმედებამ შესაძლოა ფიზიკურად დააზიანოს ძეგლი ან მისი მიმდებარე ტერიტორია. ფიზიკური დაცვის არეალი განისაზღვრება შემდეგი მანძილით – ძეგლის სიმაღლე გამრავლებული 2-ზე, მაგრამ არანაკლებ 50 მეტრის რადიუსით.

- ფიზიკური დაცვის არეალში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც დააზიანებს ან დაზიანების საფრთხეს შეუქმნის ძეგლს ან გააუარესებს მის აღქმას ან გამოყენებას, მათ შორის:
 - ა) იმგვარი მოქმედებები, რომლებიც გამოიწვევს მიწის მნიშვნელოვან ვიბრაციას ან დეფორმაციას;
 - ბ) ქიმიურ, ადვილად აალებად და ფეთქებად ნივთიერებათა შენახვა;
 - გ) ისეთი ობიექტების აღმართვა, რომლებიც არ ემსახურება ძეგლის დაცვას ან მისი გარემოს გაუმჯობესებას;
 - დ) მცენარეთა იმ სახეობების ან იმგვარად დარგვა, რომლებმაც ან რამაც შეიძლება დააზიანოს ძეგლი.
 - ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი არის ტერიტორია ფიზიკური დაცვის არეალის მიღმა, რომლის ცვლილებაც გავლენას ახდენს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე ან/და ძეგლის სრულფასოვან აღქმაზე. ვიზუალური დაცვის არეალი განისაზღვრება:
- ა) ძეგლებისათვის – 300 მეტრის რადიუსით;
- ბ) ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებისათვის – 500 მეტრის რადიუსით;
- გ) მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლებისათვის – 1000 მეტრის რადიუსით.
 - თუ ძეგლი ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეობს, ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული შესაბამისი მანძილი მცირდება ორჯერ.
 - ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას.
 - ამ მუხლში მითითებული არეალების განსაზღვრისათვის ძეგლის სიმაღლედ მიიჩნევა მისი უმაღლესი ნიშნული, ხოლო მანძილი ძეგლიდან დამცავი არეალის საზღვრამდე აითვლება ძეგლის გარე კონტურიდან, ძეგლის ცენტრიდან გავლებული რადიუსის მიმართულებით.

დ) საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 3 ნოემბრის № 624 ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი განისაზღვრა მისი სტრუქტურული ერთეულის სახით.

3. ნოქალაქევის ციხეგოჯის ტერიტორიის ქონება

ა) კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს საპატრიარქო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მესაკუთრეს წარმოადგენს (მუხლი 7):

- „სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული“.
- „ზემოაღნიშნულ ნაგებობათა დაცვის ზონები, მათი მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობით და ეკლესიასთან შეთანხმებით“.

კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისად, ნოქალაქევის ციხეგოჯის ტერიტორიაზე განლაგებული ეკლესიები და მათი ნანგრევები საქართველოს საპატრიარქოს კუთვნილებათ.

- ა) საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით 2010 წელს.
- ბ) ნოქალაქე მედეა გვასალია-გეგენავა, რეგისტრირებულია საკუთრებად 2011 წელს.
- გ) ნოქალაქეები აპოლონ, თამარ და ზინა გვასალია 2011 წელს.
- დ) საქართველოს ეროვნული მუზეუმი (არქეოლოგიური სადგური), 2006.

8. საიტის მართვა

8.1. მართვის გეგმები, მიმართულებები და განვითარების პერსპექტივები

ნოქალაქევის მართვის გეგმის მიზანია კომპლექსისა და ყველა მისი კომპონენტისა და ფასეულობის კონსერვაციის, დაცვის, მოვლისა და მდგრადი განვითარებისთვის საშუალებებისა და მიმართულებების უზრუნველყოფა. მართვის გეგმა ასევე ითვალისწინებს საიტისა და მუზეუმის ყველა კატეგორიის ვიზიტორისა და ტურისტისთვის საინტერესო საშუალებებს, ინფორმაციასა და საგანმანათლებლო პროგრამებს.

მართვის მთავარი გეგმა მიმართულია საიტის მთლიანობისა და ავთენტურობის გრძელვადიან შენარჩუნებაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ საიტი მუდმივად სუფთა, კარგად შენახული და კარგად კონსერვირებული იქნება. ამგვარად და ამავდროულად, ის დამთვალიერებლებისთვის პრეზენტაბელური და მიმზიდველი გამოჩნდება.

ნებისმიერი ძეგლის მართვის გეგმის მიზანია მისი მდგრადი განვითარების, ერთიანობის ურღვევობის, ავთენტურობის შენარჩუნების, კონსერვაციის, ინტერპრეტაციის, დაცულობის და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა. ამდენად, თუ ძეგლი მუდამ სუფთა და მოვლილია, პრეზენტაბელურია, მიმზიდველია და კონტროლდება, ეს ნიშნავს, რომ მართვის გეგმა ქმედითია და ეფექტურად მუშაობს.

მიზნების მისაღწევად გარდაუცვალაა გარკვეული ჩარევები. ნებისმიერი ჩარევა უნდა განხორციელდეს მართვის გეგმის ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების შესაბამისად, განსაკუთრებით კი ძეგლის ავთენტურობისა და მისი მთლიანობის დაცვით, ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ჩარევა განხორციელდება შემდეგი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების დაცვით. კერძოდ, ნებისმიერი ჩარევა უნდა იყოს:

- შეძლებისდაგვარად მინიმალური;
- შეძლებისდაგვარად ადვილად უკუქცევადი;
- გამოყენებული უნდა იქნას ეკოლოგიურად უსაფრთხო და ორიგინალთან თავსებადი ნივთიერებები;
- ჩარევა არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს ძეგლის რომელიმე კულტურულ ღირებულებას;
- ყველა ჩარევა უნდა იყოს მკაცრად და დეტალურად დოკუმენტირებული;

ინფრასტრუქტურული განვითარების მიზანია ძეგლის პრეზენტაციისა და ინტერპრეტაციის ხელშეწყობა, ძეგლსა და დამთვალიერებელს შორის ახლო და უშუალო კონტაქტის დამყარება და დამთვალიერებლისათვის კომფორტული და სასიამოვნო გარემოს შექმნა ძეგლზე ყოფნის დროს.

განათლებისა და მარკეტინგის მიზანია ხელი შეუწყოს დამთვალიერებლის მიერ მიღებული სასიამოვნო ემოციების მაქსიმალურად გახანგრძლივებას, ძეგლზე მიღებული ინფორმაციისა და ცოდნის გაღრმავებას, იქ გატარებული დროის ხშირად გახსენებასა და ძეგლზე კვლავ მოსვლის სურვილს. ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია

კულტურული მემკვიდრეობისა და მისი განვითარების მიმარ პოზიტიური დამოკიდებულების შექმნა და გაძლიერება და იმ შესაძლებლობების აღიარება, რომლებსაც ის საკუთარ საზოგადოებაში ქმნის. კულტურული მემკვიდრეობის საიტებზე ტურიზმი სახელმწიფოს აძლევს ეკონომიკის გაძლიერებისა და სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობას.

ეროვნული და საერთაშორისო ტურიზმის მარკეტინგი მიზნად ისახავს საიტზე და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტებზე დამთვალიერებლების რაოდენობის ზრდას და ამგვარად ხდება რეგიონის ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტი. საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს რესურსებს, რომელთა სათანადო და მდგრადი გამოყენება მოსალოდნელია გახდეს ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი და მნიშვნელოვნად ხელშემწყობი ფაქტორი.

ნოქალაქევის კომპლექსის მართვის გეგმის შემუშავება პირველი პრეცედენტი იქნება საქართველოში კულტური მემკვიდრეობის კომპლექსური ობიექტებისთვის. ზოგიერთი აქტივობის განხორციელება უკვე დაიწყო 2011 წელს. მაგალითად, მომზადდა და გამოიცა ბუკლეტი და ბროშურა ნოქალაქევის შესახებ, რომელშიც წარმოდგენულია ძირითადი ძეგლები, ტურისტული მარშრუტები, განმარტებები და ა.შ. ასევე დაიგეგმა და წინასწარ მომზადდა ციტადელის ბილიკი.

ნოქალაქევისთვის მართვის რეჟიმის სხვადასხვა კომპონენტების სტრუქტურა მნიშვნელოვანი იქნება საქართველოში სხვა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების, კომპლექსებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მოქნილი და თანამედროვე მართვის სისტემების, ნებაყოფლობითი ოპერირებისა და სამომავლო განვითარებისთვის.

8.2. მართვის სამოქმედო გეგმები

ნოქალაქევის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებულია 5 მართვის სამოქმედო გეგმა, რომლებიც ძირითად გეგმასთან ერთად შეადგენს ნოქალაქევის მართვის გეგმას. სამოქმედო გეგმები მომზადებულია ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული სამსახურების მიერ, შეთანხმებულია მუზეუმ-ნაკრძალის მმართველთან და ინტეგრირებულია ეროვნული სააგენტოს პროგრამულ გეგმებში.

მართვის გეგმის საფუძველს, რომელიც ორიენტირებულია ნოქალაქევის კომპლექსის მდგრად მართვაზე, წარმოადგენს დროში გაწერილი ქმედებების ერთიანობა, რომლებიც განხორციელება დეტალური ყოველწლიური სამუშაო გეგმის საშუალებით.

სამოქმედო გეგმა 1: დოკუმენტაცია

ძირითადი მიზანია ნოქალაქევის კომპლექსისა და მისი ცალკეული ძეგლების დოკუმენტაციის მომზადება კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონთან ერთად; ასევე, ნოქალაქევის შესახებ სხვადასხვა დოკუმენტაციის შეგროვება და ციფრულ ფორმაში გარდაქმნა და კომპლექსური მონაცემთა ბაზის შექმნა.

სამოქმედო გეგმა 2: კონსერვაცია

ეს სამოქმედო გეგმა მოიცავს საკონსერვაციო სამუშაოების განხორციელებას ცალკეული ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობის შეფასებისა და შესწავლის საფუძველზე, ძირითადი მოსალოდნელი მიზანია სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო პროგრამის შემუშავება კონსერვაციის დოკუმენტაციის საფუძველზე.

სამოქმედო გეგმა 3: არქეოლოგია

ამ სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი საკითხებია არსებული არქიტექტურული კონსტრუქციების ქრონოლოგიის დასრულება, კულტურული ფენებისა და სამარხების შესწავლის გაგრძელება და ყოველ პერიოდში პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების რეკონსტრუქცია.

სამოქმედო გეგმა 4: მართვა, მონიტორინგი და მოვლა

ეს სამოქმედო გეგმა მოიცავს საკითხებს, როგორიცაა მცენარეული საფარის მართვა და მონიტორინგისა და მოვლის რეჟიმის ჩამოყალიბება (ვიზიტორთა ქცევის, ნანგრევების, მცენარეული საფარის მონიტორინგი).

კომპლექსის ფარგლებში არსებული უძრავი ძეგლების შესახებ სრულყოფილი მონაცემების საფუძველზე, შემდგომში შემუშავებულ იქნება მართვის სტრატეგია ამ ძეგლებისთვის და მინიმალური ჩარევით მოვლის გეგმა.

სამოქმედო გეგმა 5: განათლება, პრეზენტაცია და ტურიზმი

ეს გეგმა მოიცავს ტრადიციული ხის ოდა-სახლის რეაბილიტაციას და მის გარდაქმნას საინფორმაციო ცენტრად ვიზიტორებისთვის, ვიზიტორთა სავალი ბილიკების მარშრუტების განსაზღვრასა და დადგენას, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, ნოქალაქევის შესახებ სამეცნიერო-პოპულარული პუბლიკაციების, დოკუმენტური ფილმების მომზადებას და ადგილობრივი პროდუქციის შექმნისა და გაყიდვის ხელშეწყობას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნოქალაქევის მუზეუმს, რომელშიც დაცული და გამოფენილია ნოქალაქევის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა. გეგმა ასევე ითვალისწინებს მუზეუმის რეაბილიტაციას ახალი ექსპონატებით.

თითოეული სამოქმედო გეგმის შესრულებაზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი სტრუქტურები და განხორციელების ვადები. სამოქმედო გეგმების სრული ინტეგრირება მოხდება ეროვნული სააგენტოს სამუშაო ჯგუფის მიერ, რაც ასახული იქნება სააგენტოს ყოველწლიურ პროგრამულ საქმიანობაში. მართვის გეგმის ნაწილად წარმოდგენილი სამოქმედო გეგმები ამავედროულად პერიოდულად განახლებადი დოკუმენტებია და არ შემოიფარგლება მხოლოდ არსებული აქტივობების ჩამონათვალით. სააგენტოსა და თვით მუზეუმ-ნაკრძალის საქმიანობის პროცესში წარმოიქმნება მიმდინარე პრიორიტეტები, რაც პერიოდულად აისახება მართვის გეგმაში. ეს ეხება, მაგალითად, ადგილობრივი ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრას (წყალი, სან-კვანძები, ნაგებობების რეაბილიტაცია, ბილიკების მოწყობა და სხვა), ასევე, ეროვნულ მუზეუმთან და სხვა კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობას და სხვა.

თითოეული სამოქმედო გეგმის სტრუქტურა სისტემატიზირებულია და წარმოდგენილია ერთიანი სქემის სახით და შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- შესავალი (ზოგ შემთხვევაში)
- წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

- საჭიროებები და მიზნები
- რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები
- მოსალოდნელი შედეგები
- განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პასუხისმგებელი შემსრულებელი

9. ფუნქცია-მოვალეობანი

9.1 საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (2008 წ.). ეროვნული სააგენტო საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სახელმწიფო სტრატეგიის მთავარი გამტარებელი ორგანოა. მას აკისრია კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება და თითქმის სრულად ფარავს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ლოკალური, ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის ყველა კომპლექსურ ძეგლს. ამასთან, სააგენტო თავად აერთიანებს კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსებს და მოიცავს ქვეყნის მასშტაბით არსებულ თითქმის ყველა მუზეუმ-ნაკრძალს და რამდენიმე მუზეუმს.

მუზეუმ-ნაკრძალები, თავის მხრივ, აერთიანებენ უძრავი და მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის მრავალფეროვან სპექტრს: არქეოლოგიურ საიტებს, ისტორიულ ძეგლებს, არქიტექტურულ ძეგლებსა და კომპლექსებს, მუზეუმებსა და სამუზეუმო კოლექციებს. მუზეუმ-ნაკრძალების ფუნქციებია: უძრავი და მოძრავი ძეგლებისა და ობიექტების აღრიცხვა, დოკუმენტირება, შესწავლა, დაცვა, მონიტორინგი, მდგომარეობის შეფასება და საერთო მართვა. მათი მოვალეობების არეალი ასევე ვრცელდება სამუზეუმო კოლექციებზე, გამოფენებზე, ინფორმირებასა და პრეზენტაციაზე. მუზეუმ-ნაკრძალები ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილს მოიცავენ, შესაბამისად, მართვის მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება, მათი გამართული ფუნქციონირების გრძელვადიანი პერსპექტივით, უაღრესად აქტუალურია.

მუზეუმ-ნაკრძალები კომპლექსური საიტებია. შესაბამისად, მათი მართვისა და დაცვის ღონისძიებები თანმიმდევრულ, უწყვეტ პროცესს საჭიროებენ, რომელსაც, მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაციასთან ერთად, სააგენტო განსაზღვრავს. თუმცა გადაწყვეტილების მიღების მთავარი პრეროგატივა თბილისშია ცენტრალიზებული. სააგენტოს ხელმძღვანელობა სააგენტოს სხვა სამსახურებთან ერთად კურირებს მუზეუმ-ნაკრძალებში შემავალი ტიპოლოგიურად განსხვავებული ძეგლების (უძრავი, მოძრავი) დაცვა-კონსერვაციას, მათ ექსპონირება-პრეზენტირებას, მონიტორინგს, ატრიბუცია-დოკუმენტირებას, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, ინფრასტრუქტურის შექმნას, პოპულარიზაციასა და სხვ.

მუზეუმ-ნაკრძალები კომპლექსური საიტებია. შესაბამისად, მათი მართვისა და დაცვის ღონისძიებები თანმიმდევრულ, უწყვეტ პროცესს საჭიროებენ, რომელსაც, ადგილობრივი მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაციასთან ერთად, სააგენტო განსაზღვრავს. გადაწყვეტილების მიღების მთავარი ორგანო თბილისშია ცენტრალიზებული. სააგენტოს სათაო ოფისი, თავისი სამსახურების კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინაციას უწევს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მართვას.

სააგენტოს დაფინანსების წყაროებია:

- ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- ბ) გრანტებით მიღებული შემოსავლები;

- გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
- დ) შემოწირულობები;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

9.2. ეროვნული სააგენტოს სათაო ოფისის სტრუქტურა

ეროვნული სააგენტო შემდეგი ერთეულებისგან შედგება (დანართი 2.1):

- ხელმძღვანელობა (გენერალური დირექტორი და ორი მოადგილე);
- ადმინისტრაციული სამსახური;
- იურიდიული სამსახური;
- საგანმანათლებლო და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახური;
- ძეგლთა ატრიბუციის სამსახური;
- მუზეუმ-ნაკრძალებისა და სამუზეუმო-კოლექციების მართვის სამსახური;
- ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების კოორდინაციის სამსახური;
 - ხარისხის კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის მიმართულება,
 - ნებართვების კოორდინაციის მიმართულება,
 - მიმდინარე პროექტების მართვის მიმართულება,
 - ინფრასტრუქტურული პროექტებისა და დიზაინის მიმართულება,
 - არქეოლოგიური მიმართულება.
- საინფორმაციო სისტემების სამსახური;
- მარკეტინგის სამსახური;
- იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
 - _ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მიმართულება.
- არქეოლოგიური მემკვიდრეობის მართვის ცენტრი;
- ადმინისტრაციული სამსახური.

2012 წლის 1 თებერვლიდან ცვლილებები განხორციელდა სააგენტოს დაქვემდებარებაში არსებულ მუზეუმ-ნაკრძალების საშტატო განრიგებში და მათ შორის, ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალში. სიახლეა მონიტორინგის სპეციალისტის, საიტ-მენეჯერისა და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციალისტთა პოზიციების შემოღება. აღნიშნული ცვლილებების მიზანი - სააგენტოს ხელმძღვანელობით მუზეუმ-ნაკრძალების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება, საფუძველი უნდა გახდეს მუზეუმ-ნაკრძალების მმართველობის ავტონომიურობის თანდათანობით გადასვლისა ერთიანი სტრუქტურის ფარგლებში.

შედეგად, მუზეუმ-ნაკრძალი მოიაზრება, როგორც კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების (საგანმანათლებლო სეგმენტით) ძლიერი ადგილობრივი კერა, დეცენტრალიზაციის პროცესის ეტაპობრივი განხორციელებით.

9.3 პარმენ ზაქარაიას სახ. ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მართვა

პარმენ ზაქარაიას სახ. ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი (ივ. დანართი 2.2), რომლის ცენტრიც ნოქალაქევის კომპლექსში მდებარეობს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეულია. ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი ორ რეგიონს მოიცავს: სამეგრელოსა და ზემო სვანეთს. მართალია, გადაწყვეტილების მიმღები ორგანო ცენტრალიზებულია თბილისში, მაგრამ მიმდინარეობს დეცენტრალიზაციის პროცესი ლოკალური და რეგიონალური მოვალეობებისა და შესაძლებლობების გაძლიერების საშუალებით.

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის მიმდინარე მართვის სტრუქტურა შემდეგი სახისაა:

1. მმართველი;
2. მუზეუმის კურატორი;
3. ფონდების მცველი;
4. მონიტორინგის სპეციალისტი;
5. საიტ-მენეჯერი;
6. საგანმანათლებლო პროგრამის მენეჯერი;
7. ექსკურსია-მძღოლი;
8. ექსპოზიციის მეთვალყურე;
9. ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი;
10. დამლაგებელი;
11. მეზაღე.

მუზეუმ-ნაკრძალის დაცვას უზრუნველყოფს დაცვის პოლიცია.

მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლების ფუნქციები და მოვალეობები იხ. დანართში 2.

9.4 საკუთრების ფორმა, ძირითადი პარტნიორები და დაინტერესებული მხარეები

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის კომპლექსის ტერიტორიის მესაკუთრეები არიან:

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და საქართველოს ეროვნული მუზეუმი (ტერიტორიის 83,6 %);
- საქართველოს საპატრიარქო (ტერიტორიის 15 %)
- მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე (ტერიტორიის 1,4 %)

პირები, რომლებიც ფუნქციონირებენ კომპლექსის ტერიტორიაზე:

- ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი;
- ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია (არქეოლოგიური გათხრები და კვლევა);
- ეპარქია (ტერიტორიაზე მოქმედ ორ ეკლესიაში მსახურება);
- მოქალაქე (დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო და სხვა ყოფითი საქიანობით).

მუზეუმ-ნაკრძალის სრულყოფილი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალში მესაკუთრეებისა და მათ შორის ურთიერთობების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა და ნოქალაქევის კომპლექსის ტერიტორიის შეუსაბამო ნაგებობებისა და საქმიანობისგან განთავისუფლება.

გამოყენებული ლიტერატურა

ანგარიში 1: Anne-Sophie Hygen. Management of Nokalakevi Archaeological-Architectural Complex, Senaki District, the Republic of Georgia. Mission to Nokalakevi, October-November 2009.

ანგარიში 2: Anne-Sophie Hygen & Knut Helskog: Second mission to Nokalakevi November 2010. *Conservation of the Royal Bath*, Nokalakevi Archaeological-Architectural Complex, Senaki district, Georgia, Report from first meeting in Nokalakevi 14 – 17 April 2011

დანართები

1. რუქები
2. ორგანიზაციული სტრუქტურა.
3. დოკუმენტაცია და საარქივო სურათები.
4. ობიექტის ფოტოილუსტრაცია
5. არქეოლოგია
6. ნოქალაქევის მუზეუმი
7. პუბლიკაციები

დანართი 1 რუკები




1.1 საქართველოს რუკა



1.2 რეგიონის ფიზიკური რუკა

NOKALAKEVI-ARCHAEOPOLIS, GEORGIA

ნოქალაქევი-არქეოპოლისი საქართველო



1.3 საიტის რუკა






საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის მერეფნული სააგენტო
საქაღასტრო გეგმა

8000-ის ნაკვეთის საკადასტრო კოდი:	44 06 22 003
განცხადების რეგისტრაციის ნომერი:	882010492611
8000-ის ნაკვეთის ფართობი:	524146 კვ.მ.
დანერგულობა:	პლასტფილა-სამშენებლო

მომზადების თარიღი: 24.02.10



საქართველოს ეროვნული სააქტობო ბიბლიოთეკა 0102 წმ. ნიკოლოზისმ. მხედის ქ. 2 ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 48
საქართველოს საარქივო სამსახური, ქ. სანჯიკი 4300 რეზიდენციის ქ. № 235 ტელ: (7 83 23)


WWW.BPCL.COM.PK

1.4 საკადასტრო რუკა



1.5 საიტის სატელიტური გამოსახულება


2.1 სააგენტოს სტრუქტურა



ნოქალაქევის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

2.2 ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის მართვის სტრუქტურა



ნოქალაქევის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

დანართი 3

ნოქალაქევის კომპლექსის საარქივო დოკუმენტაცია და ფოტოები

1.1. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული დოკუმენტაცია:

1. ნოქალაქევი. სამეფო აბანოს კონსერვაციის პროექტი – XX ს. 80-იანი წწ. (3 კალკა);
2. კოშკი სამრეკლო – გეგმა, დეტალები, განაკვეთები. 80-იანი წწ.
3. კოშკი სამრეკლო – კონსერვაცია-რესტავრაციის პროექტი;
4. ნოქალაქევის გენგეგმა – დაუზუსტებელი;
5. მეორე აბანო – 1981 წ.
6. მეფეთა სასახლე, I და II სართულის გეგმა;
7. მეფეთა მეორე სასახლე – აქსონომეტრია 1983 წ.
8. მეორე აბანო – 1978 წ.
9. მეფეთა სასახლე – აღმოსავლეთის განაკვეთები, ჩრდილოეთის ფასადი.;
10. სამოქალაქო აბანო, დეტალები.;
11. სამოქალაქო აბანო 1984 – 85 წწ.;
12. სასახლე – 1974 წ.
13. სასახლე – 1975 წ.
14. დადიანის სასახლე – 1981 წ.
15. აბანო – 1974 წ.
16. ორმოცმოწამეთა ეკლესია. გეგმა (5) 1985 წ.
17. ორმოცმოწამეთა ეკლესია. ჭრილი;
18. ჯიხა, მისარონი 1974 წ.
19. მისარონი – გენგეგმა, 2 ფურცელი. 1974 წ.
20. ორმოცმოწამეთა. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. 1974 წ. აკვარელი;
21. მისარონი. აკვარელი, ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. 1974 წ.
22. ნოქალაქევი. VI ს-ის ეკლესია. გეგმა და განაკვეთები. 1980 წ.
23. ნოქალაქევი. ორმაგი გალავანი. დასავლეთის ფასადი. 1975 წ.
24. ნოქალაქევი. კოშკი სამრეკლო 1973 წ. სამხრეთ-აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის ფასადები.;
25. ნოქალაქევი. სამეფო აბანო. განაკვეთები. ანაზომი. 1973 წ.
26. ნოქალაქევი. კვადროვანი გალავანი. ჭიშკრის მიდამოები. 1980 წ.
27. ნოქალაქევი. პალატები. აღმოსავლეთის მონაკვეთი. 1979 წ.
28. ნოქალაქევი. ციტადელის სამხრეთ-დასავლეთის შესასვლელი. 1981 წ.
29. ნოქალაქევი. მისარონის ეკლესია (კროკი) 1973 წ.
30. ნოქალაქევი. მისარონის ეკლესია. დასავლეთის ფასადი.;
31. ნოქალაქევი. მისარონის ეკლესია. სამხრეთის და აღმოსავლეთის ფასადები.;
32. ნოქალაქევი. მისარონის ეკლესია. სამხრეთ-დასავლეთის განაკვეთები. 1973 წ.
33. ნოქალაქევი. კოშკი სამრეკლო განაკვეთი ჩრდილოეთით 1973 წ.
34. ნოქალაქევი. ორმაგი გალავანი. აღმოსავლეთის ფასადი. 1975 წ.
35. ნოქალაქევი. სასახლე. განაკვეთი 1-1; 2-2; 3-3. 1977 წ.
36. ნოქალაქევი. კოშკი სამრეკლო. გეგმა 1973 წ.
37. ნოქალაქევი. სასახლე. განაკვეთი. 1975 წ.
38. ნოქალაქევი. სასახლე. აღმოსავლეთი- ჩრდილოეთი. 1977 წ.
39. ნოქალაქევი. ქვედა მონაკვეთის გეგმა 1976 წ.
40. ნოქალაქევი. გალავნის დეტალი აღმოსავლეთ ჭიშკართან. 1974 წ.
41. ნოქალაქევი. ჯიხა. გეგმა. 1974 წ.
42. ნოქალაქევი. კვადროვანი გალავნის დეტალი. 1975 წ.
43. ნოქალაქევი. ჯიხა. არმოსავლეთის ფასადი. 1974 წ.
44. ნოქალაქევი. კოშკი სამრეკლო 1974 წ.
45. ნოქალაქევი. პირველი გალავანი. II კოშკი. 1975 წ.

46. ნოქალაქევი კოშკი სამრეკლო. 1974 წ. (აკვარელი).

3000-მდე შავ-თეთრი ფოტო - 1973 წლიდან.

1000-ზე მეტი სლაიდი 1976 – 2003 წწ.

1.2. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში დაცული მასალები:

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კანონით განსაზღვრული ძეგლის სააღრიცხვო დოკუმენტაცია (სააღრიცხვო ბარათები) და სარეკომენდაციო დამცავი ზონები.

დოკუმენტაცია შედგენილია 2007 - 2008 წლებში შემდეგ ობიექტებზე:

- ნოქალაქევის, როგორც კომპლექსური ძეგლის, სააღრიცხვო ბარათი.
- ნოქალაქევის საიტის ფარგლებში განლაგებული ობიექტების სააღრიცხვო ბარათები:
 1. ორმოცმოწამეთა ეკლესია;
 2. მისარონი;
 3. IV ს-ის I ნახ. დარბაზული ეკლესია
 4. V ს-ის ბაზილიკა
 5. VI ს-ის ქვედა ტერასაზე დარბაზული ეკლესია
 6. VI ს-ის ეკლესია ფერდობზე;
 7. მეფეთა I სასახლე;
 8. მეფეთა II სასახლე;
 9. სამოქალაქო აბანო;
 10. სამეფო აბანო;
 11. გვირაბი;
 12. წყალსაცავი;
 13. კოშკი სამრეკლო
 14. წმ. ელენეს სახელობის ეკლესია
 15. ბეთლემის აბანო
 16. კოტიანეთის ციხე
 17. ნოსირის ეკლესია
 18. სორტა

პასპორტები სენაკის მუნიციპალიტეტში მდებარე შემდეგ ძეგლებზე:

1. კვაუტის ციხე
2. ლემდამის I ეკლესია
3. ლემდამის II ეკლესია
4. საკალანდარიშვილოს ციხე
5. მენჯის ციხე
6. შხეფის ციხე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს

დოკუმენტთა საცავში არსებული საარქივო მასალები:

მდებარეობა: სამეგრელოს რეგიონი, რაიონი სენაკი, სოფელი ნოქალაქევი

- **აბანო** _____ *ნოქალაქევის კომპლექსი*

დათარიღება IV-VI სს.

არსებული მასალა : ანაზომი კროკი, პროექტი

ავტორი:კასრაძე, ჩოდრიშვილი

გამოხაზვის წელი 1974წ.

- **კოშკი** _____ *ნოქალაქევის კომპლექსი*

დათარიღება IV საუკუნე

არსებული მასალა ანაზომი კროკი

ავტორი: ანდრიაძე

გამოხაზვის წელი 1974 წ.

- **სამნავიანი ბაზილიკა** _____ *ნოქალაქევის კომპლექსი*

დათარიღებამითითებული არ არის

არსებული მასალა ანაზომი

ავტორი ანდრიაძე

გამოხაზვის წელი ანდრიაძე 1976

- **ნოქალაქევის სასახლის კომპლექსი** _____ *ნოქალაქევის კომპლექსი*

დათარიღებამითითებული არ არის

არსებული მასალა ანაზომი

ავტორი ანდრიაძე

გამოხაზვის წელი 1976 წ.

- **ორმოც მოწამეთა ეკლესია** _____ *ნოქალაქევის კომპლექსი*

დათარიღებამითითებული არ არის

არსებული მასალა ანაზომი, კროკი

ავტორი ანდრიაძე

გამოხაზვის წელი ანდრიაძე 1977წ.

- **ეკლესია მისარიონი**

დათარიღება მითითებული არ არის

არსებული მასალა ანაზომი,პროექტი, ფოტო

ავტორი ანდრიაძე

ფოტოგრაფი ბარტიშევსკი 1950 წ.

გამოხაზვის წელი ანდრიაძე 1977 წ.

- **ეკლესიის ნაშთი**

დათარიღება შუასაუკუნეები

არსებული მასალა სააღრიცხვო ბარათი
ავტორი ლ.გიორგაძე
შედგენის თარიღი 1991 წ.

- *ეკლესია ჩე-ოხვამე (თეთრი სალოცავი)*


დათარიღება XIX ს.
არსებული მასალა ფოტო, პასპორტი
ფოტოგრაფი გილგენდორფი 1952 წ.
პასპორტის შემდგენელი ლ.გიორგაძე 1992 წ.

საცავის მონაცემთა ბაზაში შესული მასალების რაოდენობა:

ანაზომი - 34


ფოტო - 212

საარქივო ფოტოები



ნოქალაქევის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო



ნოქალაქის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

დანართი 4 საიტის ფოტო-ილუსტრაცია



ნოქალაქის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

დანართი 5
არქეოლოგია
ბრიტანულ-ქართული არქეოლოგიური ექსპედიცია





ნოქალაქევის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

დანართი 6 ნოქალაქევის მუზეუმი



ნოქალაქევის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო



ნოქალაქევის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

ნაწილი II:

ნოქალაქევი

მართვის სამოქმედო გეგმები

სარჩევი

1. დოკუმენტაცია
2. კონსერვაცია
3. არქეოლოგია
4. მართვა, მონიტორინგი და მოვლა
5. პრეზენტირება, ინფორმირაცია და ტურიზმი

ნოქალაქევი მართვის სამოქმედო გეგმა 1: დოკუმენტაცია

სარჩევი

1. წანამძღვრები და არსებული სიტუაცია
2. საჭიროებები და მიზნები
3. რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები
4. მოსალოდნელი შედეგები
5. განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პასუხისმგებელი შემსრულებელი

1. წანამძღვრები და არსებული სიტუაცია

მიუხედავად იმისა, რომ ნოქალაქევის კომპლექსი - ძეგლები და ასევე არქეოლოგიური გათხრების შედეგები, კარგადაა დოკუმენტირებული, დოკუმენტაციის ფორმატი არ აკმაყოფილებს დღევანდელ სტანდარტებს უსაფლთხოებისა და კვლევისა და მართვისთვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. ის არსებობს მხოლოდ ამობეჭდილი სახით და გარდა ამისა, არ აკმაყოფილებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონით (2007) მიერ დადგენილ სტანდარტებს.

ძეგლები და კომპლექსის ფარგლებში მათი მდებარეობა რუკაზეა დატანილი, მაგრამ საჭიროა ყველა ძეგლისა და ნაგებობის ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრა GPS სისტემის გამოყენებით.

2. საჭიროებები და მიზნები

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სააღრიცხვო და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა კვლევის და გეგმარების, ასევე საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების, საიტის მართვის, მონიტორინგის, დაცვის და პრეზენტირების მიზნით.

- ნოქალაქევის კომპლექსის შემადგენელი ყველა ძეგლის, ნაგებობისა და ლანდშაფტის აღრიცხვა და დოკუმენტირება არის საფუძველი მისი კვლევის, კონსერვაციის, პრეზენტირების, ინტერპრეტაციისა და ზოგადი მართვისთვის.
- დაგეგმარებისთვის და საკონსერვაციო და დაცვითი ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაცია.
- მონიტორინგისა და ანგარიშგებისთვის საჭირო საბაზისო დოკუმენტაცია.
- მაღალი ხარისხის დოკუმენტაცია ვიზიტორებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის დაგეგმარებისთვის, ინფორმაციისა და საგანმანათლებლო მასალების მომზადებისთვის და ა.შ.

3. რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

სტრატეგია

ნოქალაქევის კომპლექსის შემადგენელი ყველა ძეგლის, საიტის, ნაგებობისა და ლანდშაფტის დოკუმენტაციის სრული აღრიცხვა კვლევის, კონსერვაციის, მართვისა და პრეზენტირების მიზნით.

ქმედებები

1. არსებული დოკუმენტაციის ანალიზი
 - ნოქალაქევის კომპლექსზე არსებული დოკუმენტაციის (უძრავი და მოძრავი ობიექტების სააღრიცხვო ბარათები; არქეოლოგიური გათხრების ანგარიშები; ცალკეული ობიექტების ანაზომები და პროექტები; არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მოძრავი ობიექტების დოკუმენტაცია და ა.შ.) თავმოყრა და კომპლექსური მონაცემთა ბაზის შექმნა;

2. სააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა
 - კომპლექსის ტერიტორიის საზღვრებში მოქცეული უძრავი ობიექტების/ძეგლების სააღრიცხვო ბარათების განახლება და პასპორტების შედგენა;
 - მოძრავი ობიექტების სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოების გაგრძელება;
3. ძეგლთა ნუსხები
 - კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთა (უძრავი, მოძრავი) გაძეგლებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების წარმოება;
4. დამცავი ზონები
 - კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების ინდივიდუალური დამცავი ზონების დადგენა;
 - კომპლექსის ზოგადი დამცავი ზონების დადგენა;
5. რუკები
 - რუკის შედგენა და მასზე GPS კოორდინატებით ყველა უძრავი ობიექტის დატანა;
 - თემატური რუკის შედგენა GIS ტექნოლოგიების გამოყენებით, რომელზეც დატანილი იქნება ყველა ობიექტი/ძეგლი, საკადასტრო ნაკვეთები, ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ტერიტორიები (ქრონოლოგიურად);
6. გეგმები
 - ნოქალაქევის კომპლექსის დამცავი ზონის ფარგლებში (ამ ზონის ფარგლებში სავარაუდოდ სოფლის განაშენიანების ფრაგმენტები შევა) ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შედგენა (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კანონი. მუხლი 42;);
 - ნოქალაქევის კომპლექსის კონსერვაციის გეგმის შედგენა (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კანონი. 2007 წ. მუხლი 27;);
 - კომპლექსის საზღვრებში მოქცეული ტერიტორიის და მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული ხის ოდა სახლის ტერიტორიის ფუნქციონალური ზონირების გეგმის შედგენა;
7. საპროექტო დოკუმენტაცია
 - გადაუდებელი საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო პროექტების შედგენა;
 - ცალკეული ობიექტების/ძეგლების საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო პროექტების შედგენა;
 - კომპლექსის ტერიტორიის ინფრასტრუქტურის, მათ შორის საინჟინრო ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტის შედგენა;
8. ვიზიტორთა ბილიკების და საინტერპრეტაციო დაფების დაგეგმვა
 - დოკუმენტაციის შედგენა და შესაბამისი რუკების მომზადება ბილიკებისა და ვიზიტორთათვის ინფრასტრუქტურის დასაგეგმად (ბილიკები, დაფები, მანიშნებლები, სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა) (იხ. სამოქმედო გეგმა 5).
9. მცენარეული საფარის დოკუმენტირება
 - მცენარეული საფარის (ხე, ბუჩქი და ა.შ) ინვენტარიზაცია;

- მცენარეული საფარის მოვლის და მართვის გეგმის შემუშავება (იხ. სამოქმედო გეგმა 4);

4. მოსალოდნელი შედეგები

- ნოქალაქევის კომპლექსის სააღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის დასრულება;
- სხვადასხვა ორგანიზაციებში (საქართველოს ეროვნული მუზეუმი; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; ნოქალაქევის მუზეუმი) დაცული დოკუმენტაციის სისტემატიზაცია და ერთიან მონაცემთა ბაზაში თავმოყრა (ელექტრონულ ფორმატში დაცული იქნება ეროვნული სააგენტოს არქივში);
- კონსერვაციის, მართვის, მონიტორინგის, დაცვის და პრეზერტირების აქტივობების უზრუნველყოფა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით.

ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი									
დოკუმენტაცია									
5. განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პასუხისმგებელი შემსრულებელი									
#	რეკომენდირებული ქმედებები	გეგმა-გრაფიკი						პასუხისმგებელი შემსრულებელი	შენიშვნა
		მოკლევადიანი		საშუალოვადიანი		გრძელვადიანი			
		2012	2013	2014	2015	2016	2017		
1	არსებული ინფორმაციის ანალიზი და კომპლექსური მონაცემთა ბაზის შექმნა								
1.1	სხვადასხვა ორგანიზაციებში შენახული დოკუმენტების შეგროვება							სააგენტოს დოკუმენტების საცავი; საქართველოს ეროვნული მუზეუმი; ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი	
1.2	დოკუმენტაციის კომპლექსური მონაცემთა ბაზის შექმნა (სააგენტოს საარქივო მონაცემთა ბაზის ნიმუშის მიხედვით)							სააგენტო, ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი	
1.3	მონაცემთა ბაზის განახლება							ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი; უძრავი ძეგლების ატრიბუციის სამსახური;	
2	საადრიცხო დოკუმენტების შევსება								
2.1	უძრავი ქონების საადრიცხო ბარათების განახლება							ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი	
2.2	უძრავი ქონების პასპორტების შედგენა							უძრავი ძეგლების ატრიბუციის სამსახური	

2.3	უძრავი ქონების სააღრიცხვო დოკუმენტაციის შევსება							ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი	
3	ძეგლების ჩამონათვალი								
3.1	კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისა და ძეგლებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება							სააგენტო - უძრავი ძეგლების ატრიბუციის სამსახური; კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	
4	დაცვის ზონები								
4.1	კომპლექსის ტერიტორიაზე საკუთრების ინდივიდუალური დაცვის ზონების დადგენა							სააგენტო; ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანია	
4.2	კომპლექსის ზოგადი დაცვის ზონების დადგენა							სააგენტო; ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანია	
5	რუკები								
5.1	კომპლექსისა და მიმდებარე ტერიტორიის ელექტრონული რუკის მომზადება							სააგენტო - ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი; ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანია	
5.2	თემატური რუკების შედგება GIS ტექნოლოგიების გამოყენებით (საკუთრების ფორმები; საკადასტრო მიწის ნაკვეთები; არქეოლოგიური გათხრების ტერიტორიები; ქრონოლოგია და ა.შ.)							სააგენტო - ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი; ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანია	
6	გეგმები								
6.1	კომპლექსის ზოგადი დაცვის ზონების ფარგლებში ისტორიულ-კულტურული მხარდაჭერის გეგმის შედგენა							სააგენტო; ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანია	

6.2	კომპლექსის კონსერვაციის გეგმის შედგენა							სააგენტო; ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანია	
6.3	კომპლექსისა და მიმდებარე ტერიტორიისთვის ფუნქციური ზონირების გეგმის შედგენა (ოდა- სახლის ჩათვლით)							სააგენტო; ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანია	
7	საპროექტო დოკუმენტაცია								
7.1	გადაუდებელი სარეაბილიტაციო პროექტების შედგენა							სააგენტო - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების ჯგუფი; ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანია	
7.2	ცალკეული ძეგლების /ობიექტების სარეაბილიტაციო პროექტების შედგენა							სააგენტო - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების ჯგუფი; ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანია	
7.3	ტერიტორიული ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტის შედგენა (საინჟინრო ინფრასტრუქტურის ჩათვლით)							სააგენტო - ნებართვებისა და მიმდინარე პროექტების ჯგუფი; ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანია	
8	სავალი ბილიკები და ვიზიტის ღონისძიებები								
8.1	ვიზიტისთვის სავალი ბილიკებისა და სხვა მოწყობილობებისა და ზომების უზრუნველყოფისთვის დოკუმენტირება და რუკების მომზადება							სააგენტო; ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანია	
9	მცენარეული საფარის დოკუმენტირება								

9.1	მცენარეული საფარის აღრიცხვა							სააგენტო; ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანია	
9.2	მცენარეული საფარის მოვლისა და მართვის გეგმვის შემუშავება							სააგენტო; ტენდერის საფუძველზე შერჩეული კომპანია	
10	ბუნებრივი სამეცნიერო კვლევები და ანგარიშები								
10.1	ანგარიშებისა და მასალების შეგროვება გეოლოგიასთან, მეოთხეული პერიოდის გეოლოგიასთან, ბოტანიკასთან, ზოოლოგიასა და ეკოლოგიასთან დაკავშირებით და შეუსაბამობების მოძიება								
10.2	გეოლოგიური, მეოთხეული პერიოდის გეოლოგიური, ბოტანიკური, ზოოლოგიური და ეკოლოგიური თავისებურებების დოკუმენტირება და დაფიქსირება								
10.3	შეფასება, შედეგების კვლევა და პუბლიკაციები								

მართვის სამოქმედო გეგმა 2: კონსერვაცია

სარჩევი

1. წანამძღვრები და არსებული სიტუაცია
2. რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები
3. მოსალოდნელი შედეგები
4. განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პასუხისმგებელი შემსრულებელი

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი, რომელიც რამდენიმე ჰექტარზეა გადაჭიმული, ორ დიდ მონაკვეთად იყოფა, ესაა ე.წ. აგორა და ციტადელის ტერიტორია. აგორა ვაკე ადგილზეა და მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირი უჭირავს, ეს ტერიტორია მუზეუმთან ერთად ტურისტულად ნაქალაქარის ყველაზე დატვირთული ადგილია, ამდენად, საკონსერვაციო სამუშაო უახლოეს მომავალში პირველად სწორედ აგორაზე უნდა დაიგეგმოს. ციტადელი თავისი დამრეცი ფერდობებით და ძნელად სავალი ბილიკებით განსაკუთრებულად დაინტერესებული ტურისტებისთვისაა განკუთვნილი.

ნოქალაქევის ტერიტორიაზე მდებარე ძეგლთა მდგომარეობა მეტ-ნაკლებად მსგავსია. ის ძეგლები, რომელთაც XX ს. 70-იან, 80-იან წლებში ჩაუტარდათ საკონსერვაციო სამუშაო, უმეტესად ნაქალაქარის ქვედა ზონაში ე.წ. აგორას ტერიტორიაზე მდებარეობენ. კონსერვაცია ცემენტის ხსნარითაა ჩატარებული, კონსერვირებული ნანგრევების ზედაპირი ყველა ძეგლზე დაზიანებულია.²

² გენერალური გეგმა და ძეგლის კოორდინატების ბაღე შედგენილია არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელების: პ. ზაქარაიასა და დ. ლომიტაშვილის მითითებით (ბაღე ასმეტრიან კვადრატებადაა დაყოფილი, ყოველი ასმეტრიანი კვადრატი ოცმეტრიან კვადრატებად იყოფა). წინამდებარე ნაშრომში ძეგლთა კოორდინატები ამ ბადის მიხედვითაა მოტანილი.

ობიექტების ჩამონათვალი:

ობიექტების ჩამონათვალი:

1. ჯეგემისარონის დარბაზული ეკლესია (VI ს.) (კვ. V 1, 2.) ციტადელში

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა:

ეკლესიამ 1980-იან წლებამდე დაკმაოდ დაზიანებულ მდგომარეობაში მოაღწია. მისი თალი და კედლების ნაწილი ჩამოქცეული იყო. 1980-იან წლებში ეკლესიის კედლები აღდგენილ იქნა, თალი გადანაცვლებულ იქნა და სახურავი კრამიტით იქნა გადახურული. სამუშაოები შესრულდა კირის ხსნარითა და ცემენტით. სახურავი ხელახლა გადაიხურა 2010 წელს, რადგან ძველი სახურავი დაზიანებული იყო და ჟონავდა. ამჟამად, ნაგებობის მდგომარეობა სტაბილურია.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები:

რესტავრაციის შედეგად ცემენტის გამოყენება მომავალში რიგ პრობლემებს გამოიწვევს, რომლებიც უნდა გათვალისწინებულ იქნას სამომავლო გეგმებში. უნდა შემუშავებულ იქნას ეკლესიის ახალი სარესტავრაციო პროექტი, რის შემდეგაც ცემენტი იქნება მოცილებული და ეკლესია აღდგენილ იქნება ტრადიციული მეთოდით. საეკლესიო მსახურება განახლდა 1990-იანი წლებიდან. საჭიროა იატაკზე ქვის ფილების დაგება. საჭიროა ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა მცენარეებისგან და მისი სისტემატიური მოვლა.

მოსალოდნელი შედეგები:

ეკლესიის ინტერიერი მოწესრიგდება;

შეიქმნება სათანადო პირობები ეკლესიის ფუნქციონირებისა და დამთვალეირებლებისთვის.

ეკლესიის ვიზუალური აღქმა გაუმჯობესდება ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის მცენარეებისგან გაწმენდის შედეგად.

2. აღმოსავლეთი კოშკი (IV ს.). (კვ. Z 3,8,9.) ციტადელში A

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

არქეოლოგიურადაა შესასწავლი; მას ადრე კონსერვაცია არ ჩატარებია. კედლების ზედა ნაწილები დანგრეულია. კოშკის კედლები დარჩა 5-6 მ სიმაღლეზე, ხოლო მის ჩრდილოეთ მონაკვეთს გარს არტყამს 2 მ სიმაღლის კედელი. კოშკის სამხრეთ კედლის ქვედა მონაკვეთი დანგრეულია.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

უნდა მომზადდეს ძეგლის კონსერვაციის პროექტი. ძეგლი უნდა შევინარჩუნოთ არსებულ დონეზე, ე.ი. კედლები უნდა დაიფაროს ერთი საკონსერვაციო ფენით (კონსერვაცია კირის გამოყენებით უნდა შესრულდეს), დაუშვებელია კედლების ამაღლება. საჭირო იქნება

სრულყოფილი კონსტრუქციული პროექტის მომზადება კონსერვაციის პროექტის ფარგლებში. ძეგლი და მიმდებარე ტერიტორია გასაწმენდია მცენარეული საფარისგან.

მოსალოდნელი შედეგები

ძეგლი სრულად გაჯანსაღდება, გამაგრდება, გაიწმინდება და უფრო ადვილად აღქმადი გახდება დამთვალიერებლებისთვის.

3. დასავლეთი კოშკი - დონჟონი (IV ს.). (კვ. T 7,8,13,14.) ციტადელში;

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

ძეგლის მცირე ნაწილი არქეოლოგიურად შესწავლილია მხოლოდ სამხრეთ ნაწილში, შესასწავლია ჩრდილოეთი მონაკვეთი. XX ს. 80-იანი წლების II ნახევარში ნაწილობრივი საკონსერვაციო სამუშაოები ჩატარებულია მე-3 და მე-4 სართულებზე. სამუშაო ცემენტის ხსნარითაა ჩატარებული, მაგრამ კონსტრუქციული მდგრადობის შესანარჩუნებლად ამ ეტაპზე ცემენტის ფენის მოხსნა დაუშვებლად მიგვაჩნია, რადგან ძეგლის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, კედლის მთელ სიგრძეზე შეინიშნება კონსტრუქციული ბზარები, ხოლო ჩრდილო-დასავლეთი კუთხე გათხრილია. ძეგლზე ამოსულია მცენარეები.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

აუცილებელია საკონსერვაციო სამუშაოს დასრულება; უპირველეს ყოვლისა საჭიროა ნაგებობის კონსტრუქციული გამაგრების პროექტის მომზადება. ამისთვის საჭიროა კონსერვაციის პროექტი (კონსერვაცია კირ-ხსნარით უნდა ჩატარდეს). ცემენტით შესრულებული საკონსერვაციო ფენა უნდა მოიხსნას. უნდა ჩატარდეს არქეოლოგიური სამუშაოები. ძეგლი უნდა გაიწმინდოს მცენარეებისგან.

მოსალოდნელი შედეგები

ძეგლი გამაგრდება. ძეგლის გადახურული მონაკვეთების გადახურვა მოიხსნება ძეგლზე არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად და ძეგლის უფრო ადვილად აღქმადი გახდება დამთვალიერებლებისთვის მცენარეული საფარისგან მისი გაწმენდის შემდეგ.

4. სამხრეთ-დასავლეთი კოშკი (IV ს.) (კვ. Q 7.) ციტადელში.

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

ძეგლის ინტერიერში იატაკის დონემდეა მიწა მოსახსნელი. საკონსერვაციო და არქეოლოგიური სამუშაო აქ არასდროს ჩატარებულა. კედლები სხვადასხვა სიმაღლეზეა შენარჩუნებული.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

მოსამზადებელია კონსერვაციის პროექტი. საკონსერვაციო სამუშაო კირ-ხსნარის გამოყენებით უნდა შერულდეს. კედლები არსებულ დონეზე უნდა შევინარჩუნოთ და მათი ზედაპირი უნდა დაიფაროს საკონსერვაციო ფენით. ნაგებობა გასაწმენდია მცენარეული საფარისა და მიწისგან.

მოსალოდნელი შედეგები

ძეგლი გამაგრდება, სრულად გამოვლინდება, გაჯანსაღდება და პრეზერვაციისთვის გამზადდება.

5. ციტადელის გალავნის (IV ს.) მთელი პერიმეტრი

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

გალავნის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთის შიდა პერიმეტრი გაითხარა 1980-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც გამოვლენი იქნა საბრძოლო ბილიკების საყრდენები. ამჟამად, გალავნის უმეტესი ნაწილი მიწითაა დაფარული და გალავნის ამაღლებულ ადგილას, ის მთლიანად მცენარეებითაა დაფარული.

გალავნის მთელი პერიმეტრი არქეოლოგიურადაა შესასწავლი და შემდგომ საკონსერვაციო სამუშაოა ჩასატარებელი.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

გალავნის მთელი პერიმეტრი უნდა გაიწმინდოს მიწისა და მცენარეული საფარისგან, გალავანი უნდა გამაგრდეს და მისი ზედაპირი დამცავი საკონსერვაციო ფენით დაიფაროს (კონსერვაცია კირის გამოყენებით), კედლის არსებული სიმაღლე უნდა შევინარჩუნოთ;

მოსალოდნელი შედეგები

გალავანი გამაგრდება და სრულად გამოვლინდება.

6. ფერდობის ეკლესიის (VI ს.) (კვ. M 4,5.)

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

კედლები 1,5 მ. სიმაღლეზეა შემორჩენილი. ძეგლის ინტერიერი მიწითა და მცენარეებითაა დაფარული. არქეოლოგიური გათხრები დაიწყო 1980 წელს, მაგრამ ჯერ არ დასრულებულა. გათხრილია მხოლოდ მცირე მონაკვეთი.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

ძეგლი უპირველეს ყოვლისა არქეოლოგიურადაა დეტალურად შესასწავლი, გასაწმენდია მცენარეებისგან. მოსამზადებელია კონსერვაციის პროექტი. კედლები კირ-ხსნარის ერთი ფენით უნდა დაიფაროს.

მოსალოდნელი შედეგები

ნანგრევი გამოვლინდება, გამაგრდება, და მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი გახდება.

7. ციხე არქეოლოგიური ბაზის ზევით (XV-XVII სს.) (კვ. H 14, 15, 19, 20; i 11, 12, 16, 17.).

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

ციხის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მიწითაა დაფარული, კედლების ზედაპირი დაზიანებულია. შესწავლილია ძეგლის მხოლოდ ორი მცირე მონაკვეთი. ციხე მთლიანად მცენარეებითაა დაფარული.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

ამ ციხეზე დასასრულებელია არქეოლოგიური გათხრები, შემდგომ საჭიროა მისი კონსერვაცია. ციხის კედლები უნდა დავიცვათ არსებული სიმაღლით, მათ ზედაპირზე ერთი საკონსერვაციო ფენით; ნაგებობის მთელი პერიმეტრი მცენარეული საფარისგანაა გასაწმენდი. მოსამზადებელია კონსერვაციის პროექტი.

მოსალოდნელი შედეგები

ციხე გამოვლინდება, გამაგრდება, არქეოლოგიურად იქნება შესწავლილი და მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი გახდება.

8. წყალსაცავი აგორას ტერიტორიაზე (IV-V სს.). (კვ. H 21,22;C 2.).

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

ძეგლის ინტერიერი ნაწილობრივ მიწითა და მცენარეებითაა დაფარული. ნაწილობრივი საკონსერვაციო სამუშაო ჩატარდა 1990-იან წლებში. წყალსაცავის იატაკის ნაწილი მოილესა; კედლების ნაწილი ამაღლდა, მაგრამ ახლა მთლიანად მცენარეებითაა დაფარული.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

ძეგლის არქეოლოგიური შესწავლა დასასრულებელია, საჭიროა ინტერიერისა და ექსტერიერის სრული გაწმენდა მცენარეული საფარისგან და ჩასატარებელია საკონსერვაციო სამუშაოები, მიწისგან გასათავისუფლებელია ძეგლის სამხრეთი მონაკვეთი, რის შემდგომაც სავარაუდოდ გამოჩნდება კედლის საპირე წყობა. ნაგებობა ჰიდრავლური ხსნარით უნდა მოილესოს, კედლების ზედაპირის კონსერვაცია კირის ხსნარით უნდა შესრულდეს.

მოსალოდნელი შედეგები

წყალსაცავი სრულად გამოვლინდება, გამაგრდება, და ტურისტებს საშუალება მიეცემათ შეიყნოსონ ნოქალაქევის სამეფო აბანოს წყალმომარაგების სისტემა.

9. გვირაბი (IV-VI სს.).(კვ.C 6, 7, 11, 12.) აგორას ტერიტორიაზე.

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

გვირაბის კამარიდან რამდენიმე ადგილად ქვებია ჩამოცვნილი. კედლების ნაწილი ზევიდან ჩამოჟონილი წყლითაა დასველებული. კიბე ზოგ ადგილას დაზიანებულია. გვირაბს ამჟამად კარი არ აქვს.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

მოსამზადებელია პროექტი. შესაკეთებელია გვირაბის კამარა და კიბე. ადგილები, საიდანაც წყალი ჟონავს, უნდა ამოივსოს ქვემოდან. ორივე შესასვლელს უნდა შეეხება კარი უსაფრთხოების მიზნით. გვირაბის ჩასასვლელი მოწესრიგდეს. მდინარის პირა ბაქანზე გაკეთდეს დამცავი ღობე.

მოსალოდნელი შედეგები

გვირაბი ნოქალაქევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტია და ის ტურისტების დიდ ყურადღებას იქცევს. ამდენად, უსაფრთხოების მიზნითა და ძეგლის უკეთ პრეზერტირებისთვის საჭიროა მითითებული სამუშაოს ჩატარება.

10. სამეფო აბანო (IV-V სს.).(კვ. C 14, 15, 19, 20.)აგორას ტერიტორიაზე.

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

ძეგლზე საკონსერვაციო სამუშაო ჩატარებულია XX ს-ის 70-იან წლებში. დღეს სამეფო აბანო ისევ გადაუდებელ საკონსერვაციო სამუშაოს ითხოვს; ძველად სამუშაო ცემენტის ხსნარის გამოყენებითაა ჩატარებული. ცემენტის ხსნარის საკონსერვაციო ფენა არ აღმოჩნდა საკმარისად მყარი, რამაც გამოიწვია ზედა ფენის დაშლა და წყლის გაჟონვა კედლებში.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

2011 წელს ნორვეგიელების მეთოდოლოგიით ჩატარებული მცირე სამუშაოები წარუმატებელი აღმოჩნდა. ამიტომ საჭიროა სრულყოფილი კონსერვაციის პროექტის მომზადება. ძველი საკონსერვაციო ფენა სრულად უნდა მოიხსნას და ძეგლის კონსერვაცია ტრანდიციული მეთოდით უნდა განხორციელდეს. ძეგლის იატაკი და კედლები უნდა გაიწმინდოს მცენარეული საფარისგან. აბანოს გამაცხელებლები შეძლებისდაგვარად უნდა აღდგეს. აუცილებელია ძეგლი მსუბუქი კონსტრუქციით გადაიხუროს და მოეწყოს დასათვალიერებელი ბილიკები, რათა გადარჩეს ძეგლის იატაკი.

მოსალოდნელი შედეგები

აბანო გამაგრდება და მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი გახდება.

11. რკინის ხიდი მდ. ტეხურზე (XIX ს.).

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

რკინის ხიდის მზიდი კონსტრუქციები და მოაჯირი დაზიანებულია და კოროზირებულია. მდინარე ტეხურის ნაპირზე ხიდის ქვედა საყრდენები განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია. საღებავი მთლიანად გადაცლილია.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

მოსამზადებელია ხიდის კონსტრუქციული გამაგრების პროექტი. მზიდი რკინის ძელები მრავალ ადგილას შესაცვლელია. განსაახლებელია რკინის ჯვარედინი კონსტრუქცია. საჭიროა ხიდის დაფარვა ანტიკოროზიული ხსნარით და შეღებვა.

მოსალოდნელი შედეგები

ხიდი ნოქალაქევაში სამხრეთიდან მომსვლელთათვისაა განკუთვნილი, აქედან შესანიშნავად მოჩანს ძეგლი და მდინარე ტეხური.

12. დადიანების სასახლე (XVI-XVII სს.). (კვ. D 12, 12, 16.) აგორაზე.

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

კვადრატური დიზაინის ნაგებობის კედლები (საკონსერვაციო ფენით) შენარჩუნებულია 1 მ-დან 3 მ სიმაღლეზე. საკონსერვაციო ფენის ზედაპირი, სადაც გამოყენებულია ცემენტი, დაზიანებულია და იშლება.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

მოსამზადებელია შენობის კონსერვაციის პროექტი. საჭიროა შენობის კონსერვაცია კირხსნარის გამოყენებით.

მოსალოდნელი შედეგები

გამაგრდება, და მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი გახდება.

13. სამოქალაქო აზანო (IV-V სს.). აგორაზე.

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

ძეგლის კედლები დაზიანებულია და მცენარეებითაა დაფარული. მიწის ჩამოშლის გამო ნაგებობა ნაწილობრივ ჰაერშია, მდ. ტეხურის ხევის მიმართულებით. ამ ტერიტორიაზე 1980-იან წლებში გაკეთდა კრინა-ბეტონის საყრდენები და განხორციელდა სრულყოფილი არქეოლოგიური შესწავლა. ნაგებობაში არ შეინიშნება ბზარები. კედლები სხვადასხვა სიმაღლეზეა შენარჩუნებული. ნაგებობაზე ამოსულია მცენარეები.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

უნდა მომზადდეს კონსერვაციის პროექტი და ძეგლის საყრდენების ამჟამინდელი მდგომარეობა უნდა შეფასდეს მშენებლების მიერ. ძეგლი მცენარეებისგან უნდა გაიწმინდოს; აზანოს კედლების გამაგრების შემდგომ მათი ზედაპირი ერთი საკონსერვაციო ფენით უნდა დაიფაროს. სამუშაო კირხსნარის გამოყენებით უნდა შესრულდეს; უნდა მოწესრიგდეს საცეცხლე განყოფილება.

მოსალოდნელი შედეგები

აზანო გამაგრდება, და მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი გახდება.

14. ეკლესია (VI ს.). (კვ. D 9.) აგორა.

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

ეკლესია აღმოჩენილ იქნა 1970-იან წლებში და მისი კონსერვაცია ჩატარდა 1980-იან წლებში. ეკლესიის კედლების ზედაპირი ცემენტის ხსნარის გამოყენებითაა შეკეთებული. კედლების ზედაპირი დღეს დაზიანებულია. ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილი განსაკუთრებით ძლიერადაა დაზიანებული.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

უნდა მომზადდეს კონსერვაციის პროექტი. საჭიროა კედლების კონსერვაცია კირხსნარის გამოყენებით. კედლები უნდა გამაგრდეს და დაიფაროს ერთი ფენა საკონსერვაციო შრით.

მოსალოდნელი შედეგები

ეკლესია გამაგრდება, და მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი გახდება.

15. ეგრისის მეფეთა სასახლე (V-VI სს. XIX ს.) (კვ. E 12, 17.) აგორაზე.

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

არქეოლოგიური სამუშაოები და პირველი საკონსერვაციო სამუშაოები შესრულდა 1970-80-იან წლებში. ძეგლი გამაგრებული და კონსერვირებულია მსოფლიო ბანკის დახმარებით (2001 წ.). საკონსერვაციო ფენა დაზიანებულია. აგურის წყობას შორის კირ-ხსნარი ჩამოშლილია. ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე დაქანებულია. ნაგებობა შიგნიდან მთლიანად მცენარეებითაა დაფარული.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

მოსამზადებელია კონსერვაციისა და სტრუქტურული გამაგრების პროექტი. ცემენტის ძველი ფენა მოსახსნელია, ჩამოშლილი აგურის წყობა ამოივსება და მიწის დონე დაიწევს ნაგებობის მთელ პერიმეტრზე საყრდენი ფილის დონემდე. ვფიქრობ, რომ XIX-XX სს-ის კიბის ფრაგმენტი, რომელიც V ს-ის ბაზილიკის სამხრეთ კედელზეა დაშენებული, მოსახსნელია.

მოსალოდნელი შედეგები

სასახლის კონსერვაცია ტრადიციული მეთოდით შესრულდება, დაზიანებული მონაკვეთები გამაგრდება და ის მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი გახდება.

16. ბაზილიკები (კვ. D 10, 15; E 6,7,11, 12.) (IV ს., V ს.). აგორაზე.

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

ეკლესიები აღმოჩენილ იქნა 1970-იან წლებში და მათი კონსერვაცია ჩატარდა 1980-იან წლებში. კედლები კირ-ხსნარის გამოყენებით იქნა ამაღლებული. ამჟამად, კედლების საკონსერვაციო ფენა დაზიანებულია. ამის გამო წყალი ჟონავს კედლებში, რაც მათ ჩამოშლას იწვევს.

ეკლესიის კედლების ზედაპირი ცემენტის ხსნარის გამოყენებითაა შეკეთებული. კედლების ზედაპირი დღეს დაზიანებულია. ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილი განსაკუთრებით ძლიერადაა დაზიანებული.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

მოსამზადებელია საკონსერვაციო პროექტი. უნდა მოიხსნას ცემენტის ხსნარი და კედლების კონსერვაცია კირ-ხსნარით შესრულდეს. დამთვალეირებლებზე უნდა განხორციელდეს ზედამხედველობა, რათა მათ არ იარონ კედლებზე.

მოსალოდნელი შედეგები

ეკლესია გამაგრდება და მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი გახდება.

17. ორმოცმოწამეთას გუმბათიანი ტაძარი (VI ს., XVI-XVII სს.) (კვ. E 1, 2, 6, 7) აგორაზე.

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

ძველი ამ რამდენიმე წლის წინ გადაიხურა კრამიტის სახურავით, მაგრამ მის ჩრდილოეთ მკლავსა და სამხრეთ კარიბჭეში წვიმის წყალი ჩამოდის. დაზიანებულია ფრესკებიც.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

ამჟამინდელი მდგომარეობა სტაბილურია, თუმცა საჭიროა ნაგებობის რესტავრაცია და ფრესკების კონსერვაციის პროექტი. საჭიროა სახურავის შეკეთება (ჩრდილო მკლავი, სამხრეთი პორტიკი) და ფრესკების გამაგრება.

მოსალოდნელი შედეგები

ეკლესია და ფრესკები დაცული იქნება.

18. კოშკი-კარიბჭე (VI ს.). (კვ. E 3,8,9.) აგორაზე.

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

სარესტავრაციო სამუშაოები 1980-იანი წლების დასაწყისში ჩატარდა. კამარის ქვა დამუშავდა და კამარები სრულად იქნა აღდგენილი ცემენტისა და კირის შერეული ხსნარით. ის მოპირკეთდა მეორე სართულზე ქვის წყობის დონეზე. მასზე დასხმულ იქნა საკონსერვაციო ხსნარი. გადახურვის მთლიანი პერიმეტრის კონსერვაცია ხელახლა განხორციელდა ცემენტისა და კირის ხსნარით 2005 წელს. ამჟამად, კედლის საპირე წყობის უმეტესი ნაწილი ჩამოშლილია.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

მოსამზადებელია სარესტავრაციო პროექტი. ზედა ბაქანზე უნდა მოიხსნას ცემენტი და შეიცვალოს კირხსნარით. კიბე უნდა შეკეთდეს და ბაქანზე უნდა გაკეთდეს მოაჯირი.

მოსალოდნელი შედეგები

კოშკი-კარიბჭე ნაქალაქარის მნიშვნელოვანი ობიექტია, მისი ბაქნიდან კარგად ჩანს აგორა, ამდენად მოაჯირების გაკეთებით ტურისტები უსაფრთხოდ შეძლებენ მასზე ასვლას და ნაქალაქარის დათვალიერებას.

19. ეგრისის მეფეთა მეორე სასახლე (IV-V სს.).F 16, 17, 21, 22. აგორაზე.

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

ეგრისის მეფეთა მეორე სასახლე არქეოლოგიურად იქნა შესწავლილი 1970-1980-იან წლებში. ჩატარდა მარნის კონსერვაცია. კონსერვაცია ჩატარდა სასახლის მთელ პერიმეტრზე მსოფლიო ბანკის დახმარებით 2001 წელს, ნაწილობრივ ძველი, ავთენტური და ნაწილობრივ ახალი ქვით, ცემენტის ხსნარით.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

მოსამზადებელია კონსერვაციის პროექტი. კედლების ზედაპირიდან უნდა მოიხსნას ცემენტით შესრულებული საკონსერვაციო ფენა და იგი შეიცვალოს კირხსნარის ფენით.

მოსალოდნელი შედეგები

ძველი გამაგრდება და მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი გახდება.

20. ქვედა ტერასის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე (კვ.F 23, 24, 25;F 2, 3, 4, 5.) აგორაზე (IV-V-VI სს.).

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

მონაკვეთი სრულადაა შესასწავლი არქეოლოგიურად, გეოლოგიურად, ჩასატარებელია ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა. კოშკის ფრაგმენტი კრიტიკულადაა გადახრილი სამხრეთისკენ. კოშკის კედელი ნაწილობრივ იქნა გამაგრებული ცემენტის ხსნარით 1970-იანი წლების ბოლოს. ამჟამად, გალავნის ეს ნაწილი მძიმე მდგომარეობაშია და საფრთხეს უქმნის დამთვალიერებლებს.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

მოსამზადებელია სრული რესტავრაციის, კვლევისა და კონსტრუქციული გამაგრების პროექტი. საჭიროა საძირკვლის გამაგრება და შემდეგ საკონსერვაციო სამუშაოს ჩატარება. ეს საქმე გადაუდებელია.

მოსალოდნელი შედეგები

დაგეგმილი სამუშაოს შემდგომ ძეგლი გამაგრდება და მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი გახდება.

21. გალავანი (V ს.).

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

ე.წ. „კვადროვანი გალავანი“ ნაწილობრივ იქნა აღდგენილი 1970-1980-იან წლებში ქვედა ტერასის აღმოსავლეთ მონაკვეთში, ორი ჰორიზონტის სიმაღლეზე. გალავანში დამონტაჟებული კარიბჭე ასევე ნაწილობრივ იქნა კონსერვირებული. სამშენებლო მასალად გამოყენებულ იქნა ავთენტური ქვა კირისა და ცემენტის ხსნარით.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

სასურველია ქონგურების გამაგრება, უკეთესი იქნება თუ ქონგურები დაიშლება და კირხსნარით აშენდება.

მოსალოდნელი შედეგები

დაგეგმილი სამუშაოს შემდგომ ძეგლი გამაგრდება და მნიშვნელოვანი ტურისტული ობიექტი გახდება.

22. ცენტრალური კარიბჭე F 3. აგორაზე.

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

კარიბჭის კონსერვაცია-რესტავრაციის პირველი ეტაპი განხორციელდა 1970-იანი წლების მეორე ნახევარში, როდესაც კამარის დარჩენილი ფრაგმენტების ორივე მხარეს ცემენტის ხსნარით აშენდა საყრდენები. სრული რესტავრაცია ჩატარდა 1980-იანი წლების მეორე ნახევარში მეორე ეტაპად, როდესაც კამარა სრულად შესრულდა ახალი, თანამედროვე ქვით (ავთენტური ქვის წყობის ნაწილი შენარჩუნებულ იქნა ზღურბლიდან 130 სმ სიმაღლეზე). არქიტრავის სახით გამოყენებულ იქნა აკადიის სქელი ფურცლები. ქვის კედლის წყობაში ჩამოშლილი ქვის მოპირკეთება სრულადაა ამოვსებული. კირ-ხსნარი აქაც ცემენტისა და კირის ნარევის წარმოადგენს.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

მთავარი კარიბჭის სიახლოვეს არსებული ნაგებობები საჭიროებს კონსერვაციის პროექტის მომზადებას. ისინი უნდა გაიწმინდოს ნაგვისა და მიწისგან.

მოსალოდნელი შედეგები

ნაგებობა გაჯანსაღდება და ტურისტებისთვის საინტერესო ობიექტი გახდება.

23. კვადროვანი გალავანი ფერდობზე (VI ს.).

წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

გალავნის კედელი ნაწილობრივ მიწით და მცენარეებითაა დაფარული და გარკვევით არ ჩანს. გალავნის მთლიანი პერიმეტრი არქეოლოგიურ შესწავლას საჭიროებს.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

კედლის გასწვრივ, მთელს პერიმეტრზე ჩასატარებელია არქეოლოგიური გათხრები. კედლის ზედა ფენას სამი მეტრის გაყოლებით უნდა მოშორდეს მცენარეული საფარი, რის

შემდგომაც გალავანი შორიდანაც კარგად გამოჩნდება. ამის შემდეგ საჭირო იქნება კონსერვაციის პროექტის მომზადება. აუცილებელია განათების სისტემის მოწყობა.

მოსალოდნელი შედეგები

გალავანი დაცული იქნება, გაუმჯობესდება ძეგლის ვიზუალური სახე.

24. ხის (მუხის) სახლი (XIX-XX სს-ის მიჯნა) გალავანთან.

წინამძღვრები და არსებული მდგომარეობა

სახლი აღებული იქნა მარტვილის რაიონის სოფელ კიწიდან და აწყობილ იქნა 1980-იანი წლების ბოლოს. ამ სახლში რამდენიმე ავთენტური ნაწილია. სახლს თუნუქის სახურავი აქვს, რაც უცვლის მას იერსახეს. დაზიანებულია მისი კოჭები, კარ-სარკმელი, კედლის ფიცრები.

რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

ჩასატარებელია საპროექტო სამუშაო. არსებული თუნუქის სახურავი უნდა შეიცვალოს კრამიტის გადახურვით. გამოსაცვლეელია დაზიანებული კოჭები, კედლის ფიცრები, იატაკის ნაწილი, კარ-სარკმელი. სასურველია სარესტავრაციოდ მუხის მასალის გამოყენება. შესაცვლეელია ელექტროგაყვანილობა.

მოსალოდნელი შედეგები

ხის სახლი გამაგრდება, გაუმჯობესდება მისი ვიზუალური სახე.

ნოქალაქევი

მართვის სამოქმედო გეგმა 3:

არქეოლოგია

სარჩევი

1. შესავალი
2. წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა
3. საჭიროებები და მიზნები
4. რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები
5. მოსალოდნელი შედეგები
6. განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პასუხისმგებელი შემსრულებელი

1 შესავალი

კვლევა და დოკუმენტაცია ნოქალაქევის კომპლექსის მართვის ყველა ასპექტის (მონიტორინგი, კონსერვაცია, დაცვა, განათლება, ინფორმირება და პრეზენტაცია) ხერხემალს წარმოადგენს. კვლევის გარეშე არ მოხდება ცოდნის მიღება, არ იქნება ახალი ინფორმაცია ან კავკასიის ამ ნაწილისა და ქართველი ერის ისტორიის ამ ცენტრალური კომპლექსის ხანგრძლივი და რთული კულტურული ისტორიის უკეთესი გააზრება. ნოქალაქევის კომპლექსის ისტორიის კვლევა ახლად დაწყებულად უნდა ჩაითვალოს.

2 წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

გათხრები კონცენტრირებულია საფორტიფიკაციო კედლების შიგნით ქვედა ნაწილზე. აკროპოლისის ზედა ნაწილში უზარმაზარ დასახლებაში და მდინარის გასწვრივ საფორტიფიკაციო კედლების გარეთა მხარეს ჩატარებულია მხოლოდ რამდენიმე საცდელი გათხრა.

3. საჭიროებები და მიზნები

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში არ ჩატარებულა ფართომასშტაბიანი მულტიდისციპლინარული არქეოლოგიური ტრენინგი, აუცილებელია პილოტური პროგრამის შემუშავება არქეოლოგიური კვლევის მეთოდების გასაუმჯობესებლად საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია, მაგრამ ეს პერმანენტულ ხასიათს უნდა ატარებდეს, რადგან მეთოდოლოგიები მუდმივად განიცდის ცვლილებას ახალი ტექნოლოგიების, ტექნიკის შემუშავებისა და ათვისების შედეგად. შესაბამისად, აუცილებელია პროგრამის შემუშავება მონაცემთა მოძიების მეთოდების შემუშავებისა და გაუმჯობესებისთვის გათხრებისა და კვლევების საშუალებით, ხუთი წლის განმავლობაში.

- მიმდინარე არქეოლოგიური კვლევის გაგრძელება და ახალი კვლევითი პროექტების ხელშეწყობა;
- არქეოლოგიური პერსონალის შენახვა კვლევისთვის, არქივის მართვისთვის, მონაცემთა ბაზებისა და შენახვისთვის;
- პერსონალისთვის, მკვლევარებისთვის და დამთვალიერებელი მეცნერებისთვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შემუშავება/უზრუნველყოფა;
- კვლევის შედეგების გავრცელება

4. რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

4.1 კვლევა

არქეოლოგიური გათხრები კონცენტრირებულია აკროპოლისის შიდა ტერიტორიაზე. ამჟამად ასევე საჭიროა ნანგრევების ამოღება ნაქალაქარის ნაწილიდან, რომელიც

არქეოპოლისის გარეთ მდებარეობდა. ეს საშუალებას მოგვცემს უკეთ გავიგოთ ნაქალაქარის მთლიანობა - მმართველი კლასი, ვაჭრები, ხელოსნები და გლეხები.

- მოკლე- და გრძელვადიანი არქეოლოგიური პროექტების ჩამოყალიბება;
- არქეოლოგიის შემსწავლელი სტუდენტებისთვის არქეოლოგიური გათხრების მართვა და განხორციელება;
- ეროვნული მუზეუმისა და სხვა წყაროებისთვის მიმართვა არქეოლოგიური თანამშრომლობის გაგრძელებაში და სავსე სკოლების სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამებით შემდგომი 5 წლიანი პერიოდით უზრუნველყოფაში მხარდაჭერისთვის;
- ნოქალაქევი კვლევითი/სავსე სადგურის ლაბორატორიის მატერიალური-ტექნიკური ბაზის ტექნიკური მომსახურება და განახლება (მაგ. ინტერნეტ-კავშირი, ახალი საჭირო მოწყობილობის შეძენა, წყლისა და სანიტარული სისტემის მონტაჟი).

კვლევისთვის აუცილებელია ყველა არტეფაქტისთვის ციფრული მონაცემთა ბაზის შემუშავება და ამ ბაზაში 2001 წლამდე არსებული ძველი არქივების, ფოტოების, რუკებისა და წერილობითი ანგარიშების შეყვანა. ამავე მიზეზით, აუცილებელია თანამედროვე საარქივო სისტემის შემუშავება და მონტაჟი და ნოქალაქევის მუზეუმის საცავების თანამედროვე მუზეუმის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

- საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივთან თანამშრომლობა.

4.2 კვლევის შესახებ ინფორმაციის გავრცელება

ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის შესახებ ცოდნის, კვლევისა და ინფორმაციის განვითარება. მთელი მონაცემები ხელმოსაწვდომი უნდა იყოს როგორც მკვლევარებისთვის, ასევე ფართო საზოგადოებისთვის, ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია:

- სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციების ხელშეწყობა;
- ნოქალაქევის მუზეუმსა და საინფორმაციო ცენტრში, ასევე ადგილობრივი კომპიუტერული ქსელისა და ინტერნეტის საშუალებით მონაცემთა ხელმოსაწვდომობის უზრუნველყოფა;
- არქეოლოგიური ლექციების, კურსებისა და ექსლურსიების ჩატარება მუზეუმ-ნაკრძალის პერსონალისთვის;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მუზეუმ-ნაკრძალებისა და კულტურული ძეგლების მმართველების ინფორმირება ნოქალაქევი არქეოლოგიური კვლევის შედეგების შესახებ.

5. მოსალოდნელი შედეგები

- მუდმივმა პერსონალმა განაგრძოს კვლევა და ცოდნის გავრცელება და ეფექტურად მართოს გათხრებისა და კვლევის შედეგად შეგროვებული ინფორმაციის ყველა ასპექტი;
- მთელი მონაცემები ხელმისაწვდომი გახდება სამომავლო კვლევისა და მართვისთვის;
- სტუდენტებისთვის ტრენინგის ჩატარება სამომავლო არქეოლოგიური კვლევისა და მართვისთვის;
- ეროვნული მეთოდოლოგიის შემუშავებისთვის 5-წლიანი კვლევის პროგრამის შემუშავება;
- კვლევისთვის ფიზიკური პირობების გაუმჯობესება საველე სკოლასთან, ეროვნულ და საერთაშორისო თანამშრომლობასთან მიმართებაში, ასევე ნოქალაქევის კომპლექსის მართვის საფუძველზე;
- გაგრძელდება ნოქალაქევის საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიცია;
- გაგრძელდება არქეოლოგიური საველე სკოლის განვითარება;
- ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის კვლევისა და მართვისთვის ასე მნიშვნელოვანი ძეგლების შესახებ ცოდნის უწყვეტი გაღრმავება;
- კულტურული მემკვიდრეობის მართვისთვის კვლევის მნიშვნელობის გააზრების გაღრმავება. როგორც კვლევაზე, ასევე მართვაზე შესაძლებელია გავლენის მოხდენა და მათი შეცვლა ახალი ინფორმაციის საშუალებით;
- ნოქალაქევის მუზეუმში არსებული არქივები და საცავები, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც ხელს უწყობს კვლევასა და ცოდნის გავრცელებას.

	ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი									
	არქეოლოგია									
	6. განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პასუხისმგებელი შემსრულებელი									
#	რეკომენდირებული ქმედებები	გეგმა-გრაფიკი						პასუხისმგებელი შემსრულებელი	შენიშვნა	
		მოკლევადიანი		საშუალოვადიანი		გრძელვადიანი				
		2012	2013	2014	2015	2016	2017			
1	მოკლე- და გრძელვადიანი არქეოლოგიური პროექტების ჩამოყალიბება							საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმი, დიდი ბრიტანეთის ვინჩესტერის უნივერსიტეტი		
2	არქეოლოგიის შემსწავლელი სტუდენტებისთვის არქეოლოგიური გათხრების მართვა და განხორციელება;							საქართველოს ეროვნული მუზეუმი, დიდი ბრიტანეთის ვინჩესტერის უნივერსიტეტი		
3	ეროვნული მუზეუმისა და სხვა წყაროებისთვის მიმართვა არქეოლოგიური თანამშრომლობის გაგრძელებაში და სავსე სკოლების სასწავლო და საგანმანათლებლო პროგრამებით შემდგომი 5 წლიანი პერიოდით უზრუნველყოფაში მხარდაჭერისთვის							ეროვნული სააგენტო და ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო		

4	ნოქალაქევეში ან/და რეაბილიტირებულ მუზეუმში კვლევითი/საველე სადგურის ლაბორატორიის მატერიალური-ტექნიკური ბაზის ტექნიკური მომსახურება და განახლება							ეროვნული სააგენტო და ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	
5	საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივთან თანამშრომლობა.							ეროვნული სააგენტო და ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტები	
6	სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციების ხელშეწყობა;							ეროვნული სააგენტო და ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, დიდი ბრიტანეთის ვინჩესტერის უნივერსიტეტი	
7	ნოქალაქევის მუზეუმსა და საინფორმაციო ცენტრში, ასევე ადგილობრივი კომპიუტერული ქსელისა და ინტერნეტის საშუალებით მონაცემთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;							საქართველოს ეროვნული მუზეუმი (ნოქალაქევის საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა), ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმი	
8	არქეოლოგიური ლექციების, კურსებისა და ექსკურსიების ჩატარება მუზეუმ-ნაკრძალის პერსონალისთვის;							საქართველოს ეროვნული მუზეუმი (ნოქალაქევის საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზა), ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმი	
9	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მუზეუმ-							ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველოს	

	ნაკრძალებისა და კულტურული ძეგლების მმართველების ინფორმირება ნოქალაქევი არქეოლოგიური კვლევის შედეგების შესახებ*							კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	
--	---	--	--	--	--	--	--	---	--

* ამჟამად, ნოქალაქევის კომპლექსი არ მოიცავს ზემო სვანეთს, თუმცა მომავალში მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს

ნოქალაქევი

მართვის სამოქმედო გეგმა 4:

მართვა, მონიტორინგი და მოვლა

სარჩევი

1. შესავალი
2. საჭიროებები და მიზნები
3. რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები
 - 3.1. ინფრასტრუქტურა
 - 3.2. მცენარეთა საფარის კონტროლი
 - 3.3. ნაგვის კონტროლი
4. მოსალოდნელი შედეგები
5. განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პასუხისმგებელი შემსრულებელი

1. წანამძღვრები და არსებული სიტუაცია

მესაკუთრეები და თანამესაკუთრეები

ნოქალაქევის კომპლექსის ტერიტორიას რამდენიმე მესაკუთრე და თანამესაკუთრე ჰყავს, რაც ართულებს მართვის საქმიანობას:

- სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს კულტურული მემკვირეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ (ტერიტორიის 83,6 %)
- საქართველოს საპატრიარქო (ტერიტორიის 15 %)
- მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე (ტერიტორიის 1.4 %)
- პირები, რომლებიც ფუნქციონირებენ მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე:
 - ✓ მუზეუმ-ნაკრძალი (სამუზეუმო საქმიანობა);
 - ✓ ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია;
 - ✓ ეპარქია (ტერიტორიაზე არსებულ ეკლესიებში საეკლესიო რიტუალები);
 - ✓ კერძო პირი (დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო და სხვა ყოფითი საქმიანობით).

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, პარმენ ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ- ნაკრძალს 2012 წლიდან დაემატა ორი მნიშვნელოვანი სამშენებლო-ეროვნული საიტ-მენეჯერისა და მონიტორის სახით. მათი სამუშაო პერმანენტულ ხასიათს ატარებს ეროვნული სააგენტოს შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით.

ძეგლები

1970-იან წლებში და შემდგომ პერიოდში არქეოლოგიური გათხრების ჩატარებასთან ერთად განხორციელდა ნანგრევების კონსერვაცია იმ დროისთვის გავრცელებული მეთოდით - ცემენტით. მართვის სამოქმედო გეგმაში 2 (კონსერვაცია) განხილულია მიმდინარე დაშლისა და ხელახალი კონსერვაციის საკითხები. არსებული სიტუაციის მონიტორინგი აწესებს წინაპირობებს ცალკეულ ქვის ძეგლებზე კონსერვაციის ჩატარების პრიორიტეტულობის განსაზღვრისთვის.

მცენარეული საფარი

ძეგლის მთლიანობის დაცვისა და შენარჩუნების მთავარ სირთულეს უხვი მცენარეული საფარი წარმოადგენს. ბუნებრივი კლიმატური პირობებისა და წინათ მცენარეული საფარის რეგულარული მოვლის ნაკლებობის გამო ინტენსიურად მიმდინარეობს მცენარეული საფარის ზრდა. ფესვები ღრმად იჭრება ცალკეული ძეგლების კორპუსში, რაც ქვისა და კონსტრუქციის დაშლას იწვევს.

მცენარეული საფარის არასაკმარისმა კონტროლმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა ნაქალაქარის ძეგლებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. 1970-იან და 1980-იან წლებში, ნანგრევების რეაბილიტაციასთან ერთად, განხორციელდა მცენარეული საფარის მართვის რამდენიმე ქმედება. 1980-იან წლებში განხორციელდა მცდელობა ციტადელის ერთი მონაკვეთის ხავსისა და სხვა მცენარეული საფარისგან გაწმენდისა ქიმიური

ნივთიერებების გამოყენები (ექსპერიმენტალურად). თუმცა, პირვანდელი მდგომარეობა 4-5 წლის შემდეგ აღდგა.

ნოქალაქევის მუზეუმის ფუნქცია ბოლო წლებამდე მინიმალურ დონეზე იყო ცალკეული ძეგლების მონიტორინგის კუთხით. ბუჩქნარისგან გაწმენდა კამპანიის ხასიათს ატარებდა. არ არსებობდა ერთიანი ან კომპლექსური მიდგომა პრობლემებისადმი.

ნაგავი

პრობლემა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ვერ იქნა გადაჭრილი, იმაში მდგომარეობს, რომ მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 16 კმ მანძილზე არსებული ნაქალაქარი ყოველთვის რჩებოდა დასუფთავების სამსახურის ყურადღების მიღმა. ამის შედეგად, მდინარე ტეხურის ლამაზი ნაპირები გამოიყენებოდა ნაგავსაყრელად დამთვალეირებლებისა და ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის, რაც სერიოზულ სანიტარულ და გარემო სიტუაციას ქმნიდა.

კერძო სამოსახლოები

კომპლექსის ფარგლებში არსებული კერძო სამოსახლოები უკანონოდ იქნა აშენებული არქეოლოგიურ ფენებზე მე-20 საუკუნის შუა წლებში. ნოქალაქევის კომპლექსის მთლიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით, კერძო სამოსახლო საყოფაცხოვრებო საქმიანობით მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს.

საველე სადგური

საველე სადგურის ფუნქციონირება აუცილებელია ყოველწლიურ არქეოლოგიურ გათხრებთან დაკავშირებით. ის მოიცავს საველე ლაბორატორიას გათხრების შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტების პირველადი იდენტიფიცირებისა და დამუშავებისთვის. შენობა შეიძლება ჩაითვალოს დროებით ნაგებობად. მომავალში შესამუშავებელია ახალი საველე სადგურის კონცეფცია.

2. საჭიროებები და მიზნები

მესაკუთრეები, თანამესაკუთრეები და ინფრასტრუქტურა

ნოქალაქევის კომპლექსის ოპტიმალური და უწყვეტი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ნოქალაქევის კომპლექსის მესაკუთრეებისა და მათ შორის ურთიერთობების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა და ტერიტორიის შეუსაბამო ნაგებობებისაგან განთავისუფლება.

არსებული სიტუაცია იწვევს შემდეგ ფაქტებს:

- არსებობს გარკვეული პრობლემები მუზეუმ-ნაკრძალსა და ნოქალაქეს შორის, რომელიც ხშირად ასრულებს უნებართვო მიწის სამუშაოებს;
- გარკვეული პრობლემებია წამოჭრილი პატრიარქატსა და მუზეუმ-ნაკრძალს შორის, ტერიტორიაზე დამთვალეირებლების შემოსვლასთან დაკავშირებით.

აუცილებელია არქეოლოგიური საველე სადგური და დღესდღეობით არ არსებობს ფუნქციური ალტერნატივა. თუმცა, საბოლოო მიზანია საველე სადგურის დანგრევა და რელოკაცია.

ძეგლები

თითოეული ნანგრევის თანმიმდევრული კონსერვაციის ჩატარებამდე უნდა განხორციელდეს სიტუაციის დეტალური მონიტორინგი. კონსერვაციის შემდეგ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება რეგულარულ მონიტორინგსა და ტექნიკურ მომსახურებას.

მცენარეული საფარი

მცენარეულ საფართან დაკავშირებით ორი ძირითადი პრობლემა არსებობს:

- სურო, ხავსი, ბალახი და სხვა ხვიაწეები
- ხე-მცენარეები და სხვა ბუჩქნარები (მათი თესლის გადატანა ხშირად ფრინველთა საშუალებით ხდება: ლეღვი, ბროწეული და სხვა).

თუკი ნაქალაქარის ფერდობზე გავრცელებული ფოთლოვანი მცენარეები უძრავი კულტურული მემკვიდრეობისთვის განსაკუთრებულ საშიშროებას არ ქმნის, ციტადელში და ქვედა ტერასაზე სურათი განსხვავებულია. უკონტროლო მცენარეული საფარის ფესვები ქვის კედლებისა და ზოგადად ნაგებობის დაზიანების ძირითადი მიზეზი ხდება. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანია მცენარეული საფარის კონტროლისა და მოვლის დაგეგმვა და გეგმაზომიერი განხორციელება.

ნაგავი

აუცილებელია ნაგავთან დაკავშირებული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და სენაკის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურს შორის თანამშრომლობით.

გათხრების შედეგად დარჩენილი თხრილები და მიწაყრილები

არქეოპოლისის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად დარჩენილია მრავალი, დიდი ზომის, ღია თხრილი და ტერიტორიაზე მიმოხეული მიწაყრილები. ეს ვიზუალურად აკნინებს ძეგლის იერსახეს.

3. რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

3.1. ინფრასტრუქტურა

- კერძო საკუთრებასთან დაკავშირებით სამართლებრივი ქმედების განხორციელება და მისთვის შეუსაბამო ნაგებობის სტატუსის მინიჭება;
- ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ბაზისათვის კერძო ნაგებობის სტატუსის მინიჭება ან შენობის დემონტაჟი;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ეკლესიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მომზადება (ტერიტორიაზე ვიზიტორებისა და მრევლის შეუფერხებლად დაშვების ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ);
- საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მომზადება (ძეგლის სამეცნიერო კვლევისა ხელშეწყობის შესახებ);
- საერთო სარგებლობის ტერიტორიების განსაზღვრა (სერვიტუტის) და შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება (საკადასტრო გამიჯვნა და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია);
- სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებით მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე ქცევის წესების დადგენა.

3.2. მცენარეული საფარის კონტროლი

ნოქალაქევის მთელ პერიმეტრზე მცენარეული საფარის მართვის სტრატეგია დაუყონებლივ დასაწყები და ის რეგიონის გეოგრაფიულ მახასიათებლებზე უნდა იყოს დაფუძნებული. მცენარეული საფარის მართვა და მოვლა პერმანენტული პროცესი უნდა გახდეს. პროცესის თანამონაწილე ორგანიზაციები სავარაუდოდ გახდებიან:

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო;
- ბოტანიკის ინსტიტუტი;
- რეინჯერთა ადგილობრივი ორგანიზაცია და სხვ.

დამატებითი პარტნიორები შეიძლება იყვნენ:

- საგანმანათლებლო სისტემა
- საჯარისო ერთეულები
- სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები

3.3. ნაგვის კონტროლი

აუცილებელია ნაგავთან დაკავშირებული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და სენაკის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურს შორის თანამშრომლობით.

საჭიროა სანაგვე ბუნკერების დამზადება (იხ. მართვის სამოქმედო გეგმა 5), რომლებსაც შეთანხმების საფუძველზე და მითითებულ ვადებში მოემსახურება პარტნიორი ორგანიზაცია. მომსახურებამ მუდმივი თანამშრომლობის ხასიათი უნდა მიიღოს. პროცესზე მონიტორინგს განახორციელებს ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის საიტმენეჯერი.

3.4. გათხრების შედეგად დარჩენილი თხრილები და მიწაყრილები

თხრილები უნდა ამოივსოს, ზედაპირი მოსწორდეს და ზედმეტი მასალები მოცილებულ იქნას (გარდა იმ თხრილებისა, სადაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს არქეოლოგიური კვლევები).

4. მოსალოდნელი შედეგები

ნოქალაქევის კომპლექსის ოპტიმალური და შეუფერხებელი ფუნქციონირება, რაც მიიღწევა შემდეგით:

- ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალში მესაკუთრეებისა და მათ შორის ურთიერთობების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა;
- მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიის შეუსაბამო ნაგებობებისაგან განთავისუფლება.
- მცენარეული საფარის კარგად გააზრებულ მართვის კონცეფციას შედეგად მოყვება ლანდშაფტის მოწესრიგება საიტის მთელ პერიმეტრზე. კედლები განთავისუფლდება, დაცული იქნება მცენარეთა ფესვთა სისტემების დამანგრეველი ზემოქმედებისაგან.

- პროცესი ითვალისწინებს ხე-მცენარეთა არა მარტო მოშორებას მაღალი რისკის ზონებიდან, არამედ რიგ ადგილებში შესაძლოა გარკვეულ კონსულტაციებსა და ხის ჯიშთა შერჩევის შემდეგ, განაშენიანებაც კი გახდეს საჭირო.
- ნაგვის პრობლემის სწორად მართვა საიტს ეკოლოგიურ სტაბილურობას შეძენს და მას გაცილებით მიმზიდველს გახდის პოტენციური ვიზიტორისათვის. მდინარე ტეხურის ულამაზეს ხეობას დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია და ამ ადგილას მრავალი საინტერესო პროექტის განხორციელებაა შესაძლებელი სამომავლოდ.
- საიტმენეჯერის და საიტის მონიტორის პოზიციების გაჩენა მუზეუმ-ნაკრძალს სხვა მეტად აუცილებელ ფუნქციებს შეძენს. საიტმენეჯერისა და მონიტორინგის სამსახურის გაერთიანებული მიდგომით მართვადი გახდება არსებული უარყოფითი პროცესები და მისი პოზიტიურისკენ შემობრუნება გახდება შესაძლებელი.
- ტერიტორია ვიზუალურად უფრო მიმზიდველი გახდება გათხრების შედეგად დარჩენილი თხრილებისა და მიწაყრილების მოცილების შემდეგ.

ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი მართვა, მონიტორინგი და დაცვა									
5. განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პასუხისმგებელი შემსრულებელი									
#	რეკომენდირებული ქმედებები	გეგმა-გრაფიკი						პასუხისმგებელი შემსრულებელი	შენიშვნა
		მოკლევადიანი		საშუალოვადიანი		გრძელვადიანი			
		2012	2013	2014	2015	2016	2017		
1	კერძო საკუთრებასთან დაკავშირებით სამართლებრივი ქმედების განხორციელება და მისთვის შეუსაბამო ნაგებობის სტატუსის მინიჭება							სააგენტოს იურიდიული სამსახური	
2	ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ბაზისათვის კერძო ნაგებობის სტატუსის მინიჭება;							სააგენტოს იურიდიული სამსახური	
3	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ეკლესიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მომზადება							სააგენტოს იურიდიული სამსახური	

4	საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის მომზადება							სააგენტოს იურიდიული სამსახური	
5	ახალი საკადასტრო აზომვების განხორციელება, საერთო სარგებლობის ტერიტორიების გათვალისწინებით (სერვიტუტი)							სააგენტოს იურიდიული სამსახური	
6	მცენარეული საფარის მართვის სპეციალური სტრატეგიისა და მცენარეული საფარის მართვის გეგმის შემუშავება.							საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; ბოტანიკის ინსტიტუტი, რეინჯერების ადგილობრივი ორგანიზაცია და ა.შ.	
7	ხელშეკრულება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და სენაკის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურს შორის თანამშრომლობის შესახებ							საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; სენაკის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური	
8	გათხრებისას დარჩენილი თხრილების ამოვსება და ზედმეტი ამოთხრილი მასალის მოცილება							საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტო; ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმი	

ნოქალაქევი

მართვის სამოქმედო გეგმა 5:

პრეზენტირება, ინფორმაცია და ტურიზმი

სარჩევი

1. ზოგადი შესავალი
2. განათლება და სწავლება
 - 2.1. წანამძღვრები და არსებული სიტუაცია
 - 2.2. საჭიროებები და მიზნები
 - 2.3. რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები
 - 2.4. მოსალოდნელი შედეგები
 - 2.5. განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პასუხისმგებელი შემსრულებელი
3. ინფორმირება, პოპულარიზაცია და მარკეტინგი
 - 3.1. წანამძღვრები და არსებული სიტუაცია
 - 3.2. საჭიროებები და მიზნები
 - 3.3. რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები
 - 3.4. მოსალოდნელი შედეგები
 - 3.5. განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პასუხისმგებელი შემსრულებელი
4. ვიზიტორები და ინფრასტრუქტურა
 - 4.1. წანამძღვრები
 - 4.2. საჭიროებები და მიზნები
 - 4.3. რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები
 - 4.4. მოსალოდნელი შედეგები
 - 4.5. განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პასუხისმგებელი შემსრულებელი
5. მუზეუმი
 - 5.1. შესავალი
 - 5.2. წანამძღვრები და არსებული სიტუაცია
 - 5.3. საჭიროებები და მიზნები
 - 5.4. რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები
 - 5.5. მოსალოდნელი შედეგები
 - 5.6. განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პასუხისმგებელი შემსრულებელი

1. ზოგადი შესავალი

მართვის გეგმის ერთ-ერთი მიზანია ნოქალაქევის კომპლექსის გარდაქმნა ტურისტებისთვის მიმზიდველ ადგილად და რეგიონის წამყვან საგანმანათლებლო ცენტრად. მიზანი მიღწეულ იქნება დეტალურად დაგეგმილი საგანმანათლებლო, საინფორმაციო და მარკეტინგული პოლიტიკის საშუალებით, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით. ნოქალაქევი შეიძლება აღიარებულ იქნას განსაკუთრებით მიმზიდველ სამიზნედ დამთვალიერებლებისთვის მისი უნიკალური კულტურული და ვიზუალური მახასიათებლების გამო.

საიტის პრეზენტირება და მასზე ვიზიტი დაიგეგმება და მომზადდება უკიდურესი სიფრთხილითა და დელიკატურობით უსაფრთხოების მიზნებისა და საიტის მდგრადობის თვალსაზრისით.

ნოქალაქევი პრეზენტირებასთან, განათლებასთან, ინფორმირებასა და ტურიზმთან დაკავშირებული ყველა აქტივობა შერჩეულია და განხორციელდება *მდგრადობის, საიტის მთლიანობის დაცვისა და მინიმალური ჩარევის* პრინციპების შესაბამისად.

პრეზენტირებასთან, განათლებასთან, ინფორმირებასა და ტურიზმთან დაკავშირებული საერთო მიზნები ითვალისწინებს შემდეგის ხელშეწყობას:

- ნოქალაქევის კომპლექსისა და მისი ღირებულების გააზრებას, ცოდნასა და დაფასებას;
- ნოქალაქევისა და მემკვიდრეობის სხვა საიტების დაცვისა და მდგრადი გამოყენების საკითხების გააზრებასა და პატივისცემას; და
- არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის საიტებისა და ძეგლების სუსტი დაცულობისა და სათანადო ქცევის მოთხოვნებისა და წესების გააზრებას;
- სამუზეუმო ექსპოზიციის განახლებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და მათი მიმზიდველობის უზრუნველყოფას როგორც საგანმანათლებლო მიზნებისთვის, ასევე ტურისტებისთვის. ექსპოზიცია რეგულარულად უნდა ექვემდებარებოდეს განახლებას.
- ნოქალაქევი და მემკვიდრეობის სხვა საიტებზე ვიზიტისა და ხელახალი ვიზიტის მოტივაციას სწავლის, გართობისა და დასვენების მიზნით და ინფორმაციის გავრცელება.

დღეის მდგომარეობით, ნოქალაქევის კომპლექსი არაა მზად დამთვალიერებელთა რაოდენობის სწრაფი ზრდისთვის. შესაბამისად, შერჩეული ზომები განკუთვნილია საიტის ინფრასტრუქტურის კონტროლისა და ფრთხილი განვითარებისთვის დამთვალიერებელთა რაოდენობისა და საიტის „ტევადობის“ შესაბამისად.

2. განათლება და სწავლება

2.1 წანამძღვრები და არსებული მდგომარეობა

ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალი შეიქმნა ნოქალაქევის კომპლექსის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევის ბაზაზე. დღეს აქ ქართულ-ბრიტანული არქეოლოგიური კვლევის პროექტის ფარგლებში ფუნქციონირებს საველე სკოლა, რომლის მუშაობაში ჩართულნი არიან მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებიც. მათ სამუზეუმო საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ; საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ მომსახურება გასწიონ ინგლისურ და/ან რუსულ ენებზე.

მუზეუმ-ნაკრძალი თავის საქმიანობაში ყურადღებას უთმობს მოზარდ თაობასთან მუშაობას:

- (ა) თანამშრომლობს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის განყოფილებასთან, რომელიც, ლიმიტის ფარგლებში, აფინანსებს საშუალო სკოლის მოსწავლეების ვიზიტს მუზეუმში;
- (ბ) ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციების ბრიტანელი მონაწილეები ბავშვებს უტარებენ ინგლისური ენის ერთთვიან კურსებს;
- (გ) არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობაში ჩართულნი არიან უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებიც.

ნოქალაქე-არქეოპოლისის შესახებ არსებული საგანმანათლებლო-საინფორმაციო რესურსები:

- საექსკურსიო ტურები ნაქალაქარის ტერიტორიაზე;
- სამუზეუმო გამოფენა;
- ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) გზამკვლევი;
- ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) პლაკატი;
- სამეცნიერო გამოცემათა სერია “ნოქალაქევი” (3 ტომი);
- მონოგრაფია ნოქალაქევის არქიტექტურულ ძეგლებზე;
- სტატია *Nokalakevi-Archaeopolis: ten years of Anglo-Georgian collaboration*, in e-journal **Antiquity, a quarterly review of World Archaeology**, volume 084, issue 326, December 2010.
- სააგენტოს ვებ-გვერდი www.heritagesites.ge, რომელზეც მითითებულია მუზეუმის მდებარეობა, ტრანსპორტირების საშუალებები, სამუშაო საათები და სხვა აუცილებელი ინფორმაცია;
- ინგლისელი პარტნიორების მიერ შექმნილი ვებ-გვერდი www.nokalakevi.org;
- ინფორმაცია Wikipedia-ს ქართულ, ინგლისურ, რუსულ, უკრაინულ, პოლანდიურ და კატალონიურ ვებ-გვერდებზე;
- საბჭოთა პერიოდში შექმნილი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი;
- საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოცემული პოპულარული ბუკლეტები;
- საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებში ჩადებული მწირი ინფორმაცია.

2.2 საჭიროებები და მიზნები

- ინტერესის გაღვივება ნოქალაქევი-არქეოპოლისის კულტურულ-ისტორიული ფასეულობებისადმი;
- ნოქალაქევი-არქეოპოლისზე დაგროვილი სამეცნიერო ცოდნის გავრცელება და პოპულარიზაცია;
- სამეცნიერო-პოპულარული და საგანმანათლებლო მასალის მომზადება;

- ამ პროცესში ადგილობრივი კადრების მაქსიმალური და გადამწყვეტი მონაწილეობა.

2.3 რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

ინფრასტრუქტურა

- ოდა სახლის რეაბილიტაცია და მის ბაზაზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო ცენტრის ჩამოყალიბება.

თანამშრომლები

- მუზეუმის პერსონალის განათლება და მოტივაცია;
- ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების მუდმივი განახლება, პერსონალის ინფორმირებულობის მიზნით;
- მოტივაცია;
- საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი შესაბამისი კადრების მოზიდვა.

საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები

- ლექცია-სემინარების ჩატარება საშუალო სკოლის მასწავლებლებისათვის;
- საშუალო სკოლის პროგრამის შესაბამისად ღია გაკვეთილების ჩატარება ნოქალაქევის კომპლექსის ტერიტორიაზე;
- სპეციალური საბავშვო-საგანმანათლებლო პროგრამების ამუშავება;
- საბავშვო ლაშქრობების მოწყობა;
- პრაქტიკების ჩატარება შესაბამისი სპეციალობის (არქეოლოგიის, ტურიზმის, ისტორიის და ა.შ.) სტუდენტებისათვის (ზუგდიდის უნივერსიტეტის და სხვა სასწავლებლის ბაზაზე).

სპეციალური ჯგუფები

- სპეციალური ტურებისა და ლექციების მოწყობა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისათვის, ინვალიდებისათვის, სენაკის სამხედრო ნაწილისათვის და სხვ.

2.4 მოსალოდნელი შედეგები

- მუზეუმის მაღალკვალიფიციური და მოტივირებული თანამშრომლები, რომლებსაც ნათლად აქვთ გააზრებული მათ წინაშე მდგარი ამოცანები და მოვალეობები;
- სხვადასხვა თაობებს, განსაკუთრებით, მოზარდებსა და ახალგაზრდებს, ჩამოყალიბებული აქვთ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-პატრონობის აუცილებლობის შეგნება;
- მუზეუმ-ნაკრძალში იზრდება დაინტერესულ პირთა და მნახველთა ნაკადი.

ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალიe განათლება და სწავლება 2.5. განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პასუხისმგებელი შემსრულებელი									
#	რეკომენდირებული ქმედებები	გეგმა-გრაფიკი						პასუხისმგებელი შემსრულებელი	შენიშვნა
		მოკლევადიანი		საშუალოვადიანი		გრძელვადიანი			
		2012	2013	2014	2015	2016	2017		
	განათლება და სწავლება							სააგენტო, თვითმმართველი ორგანოები, დონორები	
1	საბავშვო პროგრამების/პროექტების მომზადება და განხორციელება							სააგენტო: საგანმანათლებლო სამსახური, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, მუზეუმი, თვითმმართველი ორგანოები, დონორები, არასამთავრობო ორგანიზაციები.	
2	მუშაობა საშუალო და უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან							სააგენტო: საგანმანათლებლო სამსახური, მარკეტინგის სამსახური, მუზეუმი, თვითმმართველი ორგანოები, არასამთავრობო ორგანიზაციები.	
3	შესაბამისი თანამშრომლების განათლება და მოტივაცია							საგანმანათლებლო სამსახური, მარკეტინგის სამსახური, დონორები	
4	ოდა-სახლში საგანმანათლებლო-საინფორმაციო ცენტრის მოწყობა							საგანმანათლებლო სამსახური, საინფორმაციო სისტემების სამსახური, მარკეტინგის სამსახური,	

5	სპეციალური ტურების და ლექციების მოწყობა							საგანმანათლებლო სამსახური, მუზეუმი	
6	მუზეუმის ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების მუდმივი განახლება							საგანმანათლებლო სამსახური, მუზეუმი	

3. ინფორმირება, პოპულარიზაცია და მარკეტინგი

3.1. წანამძღვრები და არსებული სიტუაცია

ნოქალაქევის შესახებ არსებული საგანმანათლებლო-საინფორმაციო წყაროები რამდენიმე ათეული წლის წინათაა შექმნილი, რის გამოც ისინი ნაკლებადაა ხელმისაწვდომი. ბრიტანული მხარის ჩართვამ ნოქალაქევის ექსპედიციაში ხელი შეუწყო ძეგლის პოპულარიზაციას საქართველოს ფარგლებს გარეთაც, მაგალითად, ვებ-გვერდების საშუალებით.

სამენოვანი (ქართულ-ინგლისურ-რუსული) საინფორმაციო დაფა დამონტაჟებულ იქნა ნოქალაქევის მუზეუმის წინ 2011 წელს. გარდა ამისა, დამთვალეირებლები ინფორმაციას გიდებისგან მიიღებენ და გარკვეული ინფორმაცია წარმოდგენილია მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზშიც. 2011 წელს გამოიცა ორენოვანი (ქართულ-ინგლისური) გზამკვლევი და პლაკატი.

3.2. საჭიროებები და მიზნები

საინფორმაციო სტრატეგიის მიზანია ძეგლის პოპულარიზაციის საშუალებით ტურისტების მოზიდვა და მათი ინტერესის სრული დაკმაყოფილება, აქედან გამომდინარე:

- ინფორმაციის გავრცელების გზების განსაზღვრა და განვითარება;
- მაღალი ხარისხის საინფორმაციო პროდუქტის შექმნა;
- საინფორმაციო სივრცის (ნაქალაქარი, მუზეუმი, ოდა სახლი) მოწყობა.

მარკეტინგული გეგმის მიზანია დამთვალეირებლების მიერ მიღებული სასიამოვნო ემოციების მაქსიმალური გახანგრძლივების ხელშეწყობა, კომპლექსის შესახებ მიღებული ინფორმაციისა და ცოდნის გაღრმავება, იქ გატარებული დროის ხშირი გახსენება და იქ დაბრუნების სურვილი.

3.3. რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

საინფორმაციო-საგანმანათლებლო პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული ქმედებებთან, როგორცაა: არსებული ექსპოზიციის განახლება, ძეგლის გაწმენდა მცენარეული საფარისგან მისი უკეთესი ხილვადობისა და ინტერპრეტაციისთვის და საბოლოოდ, ციტადელის ჩართვა ტურისტულ მარშრუტში. ეს ამოცანები გათვალისწინებულია შესაბამისი მართვის სამსახურების სამოქმედო სტრატეგიებში. ასევე, სხვა სამსახურების მოვალეობაა საგანმანათლებლო სამსახურის მიერ შექმნილი პროდუქტების გავრცელება და რეკლამირება.

ახალი ექსპოზიცია მუზეუმში

ახალი ექსპოზიცია მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება წინა არსებული ექსპოზიციისგან. თემატური თემების შესაბამისად, რეექსპოზიცია ახალ სიცოცხლეს შესძენს კომპლექსს. არტეფაქტები გამოფენილი იქნება მათ ისტორიულ და კულტურულ კონტექსტში, ყოველდღიური ცხოვრების, ტრადიციებისა და ა.შ. რეკონსტრუქციით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორცაა, ანიმაციის საშუალებით უძველესი ქალაქის მშენებლობის ქრონოლოგიის დემონსტრირება. საგამოფენო დარბაზებში საჩვენებელი მოკლემეტრაჟიანი ფილმები შექმნილი უნდა იყოს ცენტრალური თემების შესახებ, ხოლო ეროვნულ მუზეუმში დაცული არტეფაქტები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნოქალაქევის მუზეუმში ექსპოზიციისთვის.

ინფორმაცია და ინფორმაციის გავრცელება

- არსებული ვებ-გვერდის განვითარება და მიზმა სხვა დაწესებულებების ვებ-გვერდებთან;
- შემეცნებით-პოპულარული ნარკვევების მომზადება (მაგ. სერია “ნოქალაქევის ისტორიები”)
- შემეცნებითი ფილმების მომზადება;
- სარეკლამო კლიპის მომზადება;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების (ე.წ. ივენთების) მოწყობა ნაქალაქარის ტერიტორიაზე;
- ნაბეჭდი და ციფრული პროდუქციის გავრცელება ტურისტული სააგენტოების საშუალებით;
- ნოქალაქევის კომპლექსის პოპულარიზაცია ადგილობრივი და უცხოური მედია-საშუალებებით;
- სამუზეუმო კატალოგის შექმნა ნოქალაქევის კოლექციების პოპულარიზაციის მიზნით და მათი გაცნობა ფართო საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეებისთვის. კატალოგი უნდა გამოქვეყნდეს რამდენიმე ენაზე. ასევე შესაძლებელია მისი გავრცელება ელექტრონული სახით, DVD-ის ფორმით.

ადგილზე მისაღები ინფორმაცია

- გიდების ტექსტების დახვეწა ტურისტთა ასაკისა და პროფესიული ინტერესების გათვალისწინებით;
- სპეციალური/თემატური ტურების დაგეგმვა;
- კოსტიუმირებული/თეატრალიზებული ტურების ჩატარება;
- ორენოვანი თაჩ-სქრინის განთავსება მუზეუმში;
- ინფორმაცია და რუკა ტურისტული მარშრუტების ჩვენებით.

პოსტ-სავიზიტო ინფორმაცია

- გზამკვლევი
- სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევი
- საბავშვო მოთხრობების წიგნი
- ბუკლეტები
- სუვენირები, ღია ბარათები, პაზლები და სხვ.

საქართველოს ფარგლებს გარეთ საიტის პოპულარიზაციისა და ტურისტების მოზიდვის მიზნით უნდა განხორციელდეს შემდეგი ზომები:

- ტერიტორიაზე არქეოლოგიური/კულტურული ტურიზმის განვითარება;
- საიტის ბაზაზე რეგულარული მედიევისტური/ბიზანტინისტური ვორქშოპებისა და კონფერენციების მოწყობა უცხოელ სპეციალისტთა მონაწილეობით;
- სპეციალური ტურების მოწყობა ექსპერტებისთვის (ბიზანტია-სპარსეთის ომებთან დაკავშირებულ ადგილებზე ვიზიტი და ა.შ.)

პროდუქტებისა და აქტივობების განვითარება

- სარეკლამო ბუკლეტების და ბროშურების განთავსება ტურისტული სააგენტოების ოფისებში, კურორტებზე, სასტუმროებში, აეროპორტებში, საზღვაო პორტებში, ავტო და რკინიგზის სადგურებში;
- ღია ბარათების როგორც საცალო, ისე კომპლექტების გაყიდვა სუვენირების (და სხვა) მაღაზიებში;

ტურისტული სერვისები

ნოქალაქევის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

- მოკლევადიანი (შაბათ-კვირას ან უქმეების დროს) ტურისტულ-ეკოლოგიური პროგრამების შემუშავება;
- უფრო ფართო ტერიტორიაზე სხვა კულტურულ საიტებზე ვიზიტის ხელშეწყობა;

ადგილობრივი ტურიზმი

- ორგანიზებული ექსკურსიები სხვადასხვა ჯგუფებისთვის (პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, კომპანიები და ა.შ.);
- ორგანიზებული ფესტივალები და კონცერტები ქართველი ცნობილი სახეების მონაწილეობით

სკოლები, უნივერსიტეტები და მათთან ურთიერთობა

უნდა ჩამოყალიბდეს საგანმანათლებლო სექტორთან ურთიერთობის სქემა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება:

- სკოლებისა და უნივერსიტეტებისთვის ტურების ორგანიზება;
- სხვადასხვა ასაკობრივი და დაინტერესებული ჯგუფებისთვის საგანმანათლებლო ინსტრუმენტების შექმნა;
- სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა სკოლისა და უნივერსიტეტის მასწავლებლებისთვის.

ტურისტულ სააგენტოებთან თანამშრომლობა

- კომპანიებთან თანამშრომლობა რეგულარულ ხასიათს უნდა ატარებდეს;
- მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, უნდა მოხდეს არსებული შტატის (გიდების) გადამზადება. ახალ პროგრამასთან ერთად, მათ უნდა ჩაუტარდეთ ტრეინინგი სერვის პლიუსში.

3.4. მოსალოდნელი შედეგები

- ინფორმაცია მოიზიდავს ტურისტებს;
- საინფორმაციო პროდუქტები დამთვალიერებლებს გაუადვილებს საიტის გაცნობას და მისი კულტურულ-ისტორიული ღირებულების გააზრებას;
- დამთვალიერებლების, როგორც ქვეყნის ისტორიის ნაწილის, შეგნებისა და აღქმის ამაღლება;
- კმაყოფილ ტურისტს კიდევ გაუჩნდება ნოქალაქევი დაბრუნების სურვილი.

ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი ინფორმირება, პოპულარიზაცია და მარკეტინგი									
3.5. განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პასუხისმგებელი შემსრულებელი									
#	რეკომენდირებული ქმედებები	გეგმა-გრაფიკი						პასუხისმგებელი შემსრულებელი	შენიშვნა
		მოკლევადია წი		საშუალოვადია წი		გრძელვადია წი			
		2012	2013	2014	2015	2016	2017		
	ინფორმირება, პოპულარიზაცია და მარკეტინგი							სააგენტო	
1	არსებული ვებგვერდის განვითარება							საგანმანათლებლო სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, მუზეუმი	
2	პოპულარული ისტორიების, ნარკვევების მომზადება და გავრცელება							საგანმანათლებლო სამსახური, მარკეტინგის სამსახური, მუზეუმი	
3	სამუზეუმო კატალოგის შექმნა							სააგენტოს მუზეუმ-ნაკრძალებისა და სამუზეუმო კოლექციების მართვის სამსახური, მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, მუზეუმი	
4	სარეკლამო ვიდეოკლიპების მომზადება და გავრცელება							საგანმანათლებლო სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, თვითმმართველობის ორგანოები, დონორი	

ნოქალაქევის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

5	პოპულარული ფილმის მომზადება და გავრცელება							საგანმანათლებლო სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, თვითმმართველობის ორგანოები, დონორი	
6	ძეგლის ტერიტორიაზე საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება							საგანმანათლებლო სამსახური, მარკეტინგის სამსახური, თვითმმართველობის ორგანოები	
7	ნოქალაქევის კომპლექსის პოპულარიზაცია ადგილობრივი და უცხოური მედია საშუალებებით							საგანმანათლებლო სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, მარკეტინგის სამსახური	
8	ორენოვანი „თაჩ-სქერინის“ მონტაჟი მუზეუმში							საგანმანათლებლო სამსახური, მარკეტინგის სამსახური	
9	არქეოლოგიური ტურიზმი							საგანმანათლებლო სამსახური, ატრიბუციის სამსახური, ეროვნული მუზეუმი	
10	სპეციალური ტურების მოწყობა ექსპერტებისთვის							საგანმანათლებლო სამსახური	
11	ღია ბარათების როგორც საცალო, ისე კომპლექტების გაყიდვა სუვენირების (და სხვა) მაღაზიებში							მარკეტინგის სამსახური, მუზეუმი	
12	მოკლევადიანი ტურისტულ-ეკოლოგიური პროგრამების შემუშავება. ტურისტული სერვისები							საგანმანათლებლო სამსახური, მუზეუმი	

13	ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის სხვა ძეგლებზე ვიზიტის ხელშეწყობა						საგანმანათლებლო სამსახური, მარკეტინგის სამსახური	
----	--	--	--	--	--	--	---	--

4. ვიზიტორები და ინფრასტრუქტურა

4.1 წანამდგომები

ნოქალაქევის კომპლექსის მდგრადი განვითარებისთვის საჭირო კომპონენტები კომბინირებული უნდა იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად. მართვის გეგმის ძირითადი მიზანია ეფექტური მართვა, რაც გულისხმობს მაქსიმალურ მიღწევებს მინიმალური ფიზიკური და ვიზუალური ჩარევებით.

4.2 საჭიროებები და მიზნები

- ინფრასტრუქტურული ნაწილის მიზანია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ძეგლის პრეზენტაციას და ინტერპრეტაციას, ძეგლსა და დამთვალიერებელს შორის მაქსიმალური, ახლო და უშუალო კონტაქტის დამყარებას და დამთვალიერებლისათვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნას ძეგლზე ყოფნის დროს.
- მარკეტინგული ნაწილის მიზანია ბედნიერი დამთვალიერებლების შექმნა, რომლებსაც ძეგლზე დაბრუნების სურვილი ექნებათ.
- ინფრასტრუქტურული ნაწილის მიზანია დამთვალიერებლებისთვის სათანადო პირობების შექმნა, რომლებიც აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

4.3 რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

ნოქალაქევამდე მისასვლელი გზა

საინფორმაციო აზრები ნოქალაქევის შესახებ უნდა განთავსდეს სოფელ ნოქალაქევში, მის გარშემო და ქალაქ სენაკში, კომპლექსამდე მანძილის მითითებით (მაგ: ნოქალაქევი 2 კმ), ასევე, უნდა შეიქმნას და ყველა ტურისტულ კომპანიას დაეგზავნოს სპეციალური რუკა, რომელზეც მითითებული იქნება, თუ როგორ უნდა მოხდეს ძეგლამდე მისვლა. ეს ქმედება უნდა განხორციელდეს ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასრულების შემდგომ.

საიტის ინფრასტრუქტურა

მცენარეთა საფარის კონტროლი და სუფთა და ნაგვისგან გაწმენდილი გარემოს უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია როგორც უშუალოდ კომპლექსის ტერიტორიაზე, ასევე მიმდებარე ტერიტორიებზე.

კომპლექსის ფარგლებს გარეთ და მიმდებარე ტერიტორიაზე


- სპეციალური საგზაო ნიშნების განთავსება კომპლექსის დასახელებისა (ქართულად, ინგლისურად და რუსულად) და მუზეუმამდე მანძილის მითითებით;
- დაცული ავტოსადგომის შექმნა.

მოსამზადებელია ავტოსადგომის პროექტი. საგზაო ნიშნების გზებზე განთავსებისა და დაცული ავტოსადგომის მოსაწყობად, ეროვნული სააგენტოს იურიდიულმა სამსახურმა უნდა ითანამშრომლოს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, საგზაო დეპარტამენტთან და საჭიროების შემთხვევაში რეგიონალური განვითარების სამინისტროსთან.

- არსებული საღაროს გაუმჯობესება;
- გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კუთხის მოწყობა;
- ახალი დიზაინის უსაფრთხოების/დაცვის პოსტი;

სამედიცინო დახმარების კუთხე და დაცვის პოსტი შესაძლებელია განთავსდეს ერთ ნაგებობაში და მოხდეს არსებული ნაგებობის მისით ჩანაცვლება.

- საინფორმაციო აბრები კომპლექსის მოკლე ანოტაციით სამ ენაზე: ქართულად, რუსულად და ინგლისურად ორ ძირითად შესასვლელთან (აღმოსავლეთით და დასავლეთით) და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს კულტურის სამინისტროსა და საქართველოს პატრიარქატის ლოგოები.



- განათების სისტემა

ციხის კედლის მცირე ნაწილი ფრთხილად უნდა იყოს განათებული გარედან. ეს კომპლექსს უფრო თვალსაჩინოს, მიმზიდველსა და საინტერესოს გახდის.

კომპლექსის ტერიტორიაზე

- კომპლექსში შესასვლელი ყველა პუნქტის უსაფრთხოების კონტროლი.
- ძეგლზე დაცვის თანამშრომლის მუდმივი ყოფნა სამუშაო საათებში.

შესასვლელთან, ხიდის მხრიდან უნდა მოეწყოს დაცვის ბლოკ-პოსტი სამხრეთ-დასავლეთიდან შემოსული ტურისტების გასაკონტროლებლად.

- ახალი ტუალეტის შენობა (პროექტი მომზადებულია)
- საინფორმაციო დაფების მოწყობა.

საინფორმაციო აბრები უნდა განთავსდეს მხოლოდ ციხის ტერიტორიის გარეთ, მუზეუმში, ოდა-სახლში და მთავარი გალავნის გარეთა (აღმოსავლეთ მხარეს). უფრო დიდი ზომის საინფორმაციო აბრა შეიძლება განთავსებულ იქნას მთავარი გალავნის მახლობლად.

სავალი ბილიკები

ნოქალაქის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

- ტურისტული მარშრუტი ყურადღებით უნდა დაიგეგმოს და უნდა მოეწყოს ყველა პრეზენტირებად ძეგლებსა და საიტებამდე მისასვლელი ბილიკები დამთვალიერებლებისთვის.

პირველი გაჩერება უნდა იყოს ნოქალაქევის მუზეუმი და სალარო. კომპლექსში შესვლისას, სავალი ბილიკი გრძელდება და მისი ერთ-ერთი განშტოება პირდაპირ ოდა-სახლამდე მიგიყვანთ. ეს სავალი ბილიკი საკმარისად ფართო უნდა იყოს, რათა შესაძლებელი იყოს ორმხრივი მოძრაობა. ციხე-ქალაქის მთავარი კარიბჭის შემდეგ, სავალი ბილიკი მარცხნივ უხვევს და მეფის სასახლის ნანგრევებთან მიდის, შემდეგ აბანოებამდე; ხოლო შემდეგ ისევ მთავარ ბილიკს უერთდება და გარნიზონის ყაზარმებს ჩაუვლის; სამეფო აბანოდან დასავლეთისკენ აიღებს გეზს, გვირაბამდე; აქედან ის ბრუნდება აღმოსავლეთისკენ, ერთნავიანი ეკლესიისკენ ორმოცმოწამეთა ეკლესიის სამხრეთით. ამ ნანგრევებზე ტურისტების დაშვება უპრობლემოდაა მიჩნეული. ამის შემდეგ სავალი ბილიკი გადის ორმოცმოწამეთა ეკლესიის უკან, შემდეგ სამრეკლოსკენ და მთავრდება გალავნის კარიბჭესთან.

დამთვალიერებლები არ უნდა იქნან დაშვებული სამეფო აბანოში. ნანგრევები უნდა ჩაიკეტოს მცირე ჯაჭვით. გარდა ამისა, მარტივი ქვისა და ნიადაგის პლატფორმა შეიძლება აშენდეს ნანგრევების ჩრდილოეთით ინტერიერის ვიზუალური დათვალიერებისთვის. დაბალი და მოკრძალებული საინფორმაციო აბრა შეიძლება განთავსდეს პლატფორმის სამხრეთ კიდეზე გასწვრივ.

გვირაბისკენ მიმავალ საფეხმავლო ბილიკს უნდა დაუყვეს სპეციალურად დაპროექტებული რკინის მოაჯირი, მდინარის მხარეს ძალზე ციცაბო ფერდის გამო. გვირაბში შესასვლელი უნდა ჩაიკეტოს სპეციალურად დაპროექტებული ხის კარით, ორიგინალის ინტერპრეტაციით. დამთვალიერებლები გვირაბში შესვლას შეძლებენ მხოლოდ გიდის თანხლებით, მდინარის დინების საშიშროების გამო. ბნელ გვირაბში მუდმივი განათების თავიდან ასაცილებლად, გიდი ატარებს ჯიბის ფარას.

დამთვალიერებლებს არ მიეცემათ მთავარი გალავნის თავზე შესვლის ნებართვა. კიბე და კედლის ნანგრევები უნდა ჩაიკეტოს.

სავალი ბილიკის ზედაპირი დაფარული უნდა იყოს მაღალი ხარისხის ხრეშით, მოკრძალებული ფერისა და ოპტიმალური სიმტკიცის თვალსაზრისით.



თითოეულ ძეგლამდე უნდა მიდიოდეს მოხრეშილი ბილიკი, რომელთა სიგანეც უნდა იყოს 110 სმ, რათა შესაძლებელი გახდეს ინვალიდების სავარძლით მოძრაობა.

- სხვადასხვა პლატფორმებისთვის

ნომრების მინიჭება რუკისა და ინფორმაციის შემცველი ბროშურის შესაბამისად.

ტურისტული მარშრუტის გასწვრივ განთავსებულ ყველა საიტსა და ძეგლს უნდა მიენიჭოს ინდივიდუალური ნომერი აღქმის გაადვილებისთვის, მაგრამ ვიზუალური ჩარევის გარეშე. ინფორმაცია ყოველი დანომრილი ადგილის შესახებ უნდა შეესაბამებოდეს რუკასა და ბროშურაში მოყვანილ ინფორმაციას. ეს ბროშურა ბილეთთან ერთად გაიყიდება. გიდეებმა სწორედ ამ მარშრუტით უნდა ატარონ ტურისტები ძეგლზე.

- მოსასვენებელი ადგილების (სკამების) და ნაგვის ურნების მოწყობა ბილიკების გასწვრივ (მოსამზადებელია პროექტი);

აუცილებელია სკამებისა და ნაგვის ურნების სპეციალური დიზაინის მომზადება ლანდშაფტისა და ძეგლების ხასიათიდან გამომდინარე. 6 სკამი განთავსდება ბილიკის გასწვრივ, ხოლო ნაგვის ურნები დაიდგმება სკამებთან ახლოს.

- გადასახედი მოედნების მოწყობა და ჭოგრიტების დამონტაჟება;

გრძელვადიან პერსპექტივაში, და როდესაც ციტადელის ძეგლები შეტანილი იქნება ტურისტულ მარშრუტში, გორაკზე შესაძლებელია დამონტაჟდეს ჭოგრიტები, მთელი კომპლექსის ნათელი აღქმისთვის.

ნოქალაქევის ხის ოდა-სახლი

სასურველია კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრის განთავსება ხის შენობაში, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ამ მიზნებისთვის აუცილებელია სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულება, არქიტექტურული და მშენებლობის ტრადიციების დაცვით.

საინფორმაციო ცენტრს უნდა გააჩნდეს შემდეგი განყოფილებები: ადმინისტრაცია, მონაცემთა ბაზის ოპერირება, ვორქშოპები, მუზეუმის სახელოსნო და საგანმანათლებლო სივრცე.

საინფორმაციო ცენტრს უნდა გააჩნდეს სათანადოდ დაპროექტებული იზოლურებული ტუალეტი და სრული ტექნიკური აღჭურვილობა.

საჭირო იქნება დამატებითი თანამშრომლები მომავალში ამ საინფორმაციო პროგრამის განსახორციელებლად.

4.5 მოსალოდნელი შედეგები

- ნოქალაქევის კომპლექსის პრეზენტაციისა და ინტერპრეტაციის მაქსიმალურად ხელშეწყობა;
- ძეგლსა და დამთვალიერებელს შორის ახლო და უშუალო კონტაქტის დამყარება;
- დამთვალიერებლისათვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შექმნა ძეგლზე ყოფნის დროს.
- დამთვალიერებლის მიერ მიღებული სასიამოვნო ემოციების მაქსიმალურად გახანგრძლივება;
- ძეგლზე მიღებული ინფორმაციისა და ცოდნის გაღრმავება;
- ძეგლზე გატარებული დროის ხშირი გახსენება და ძეგლზე კვლავ მოსვლის სურვილის გაღვივება;
- დამთვალიერებელთა რაოდენობისა და შესაბამისად ძეგლის შემოსავლების ზრდა და ძეგლისა და ზოგადად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.

	ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი								
	ვიზიტორები და ტურიზმი								
	4.6 განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პასუხისმგებელი შემსრულებელი								
#	რეკომენდირებული ქმედებები	გეგმა-გრაფიკი						პასუხისმგებელი შემსრულებელი	
		მოკლევადიანი		საშუალოვადიანი		გრძელვადიანი			
		2012	2013	2014	2015	2016	2017		
1	ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის მომზადება							მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური	
2	სპეციალური საგზაო ნიშნების განთავსება კომპლექსის დასახელებისა (ქართულად, ინგლისურად და რუსულად) და მუზეუმამდე მანძილის მითითებით							მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, მუზეუმის მარკეტინგის სამსახური, დონორები	

ნოქალაქევის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

3	დაცული ავტოსადგომი						მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, მუზეუმი, თვითმმართველობა.	
4	არსებული სალაროს გაუმჯობესება						მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, მუზეუმი	
5	გადაუდებელი სამედიცინო დახმარების კუთხე;						მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, მუზეუმი	
6	უსაფრთხოების/დ აცვის პოსტი						შინაგან საქმეთა სამინისტრო, სააგენტოს მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური	
8	საინფორმაციო აბრა ძეგლის მოკლე ანოტაციით (ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე)						მუზეუმი, მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, საგანმანათლებლო სამსახური	
9	განათების სისტემა						მუზეუმი, სააგენტოს მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, საგანმანათლებლო სამსახური, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი	

2	საიტზე შესასვლელი ყველა პუნქტის კონტროლი (საჭიროებისამებრ, გაუქმება)							მუზეუმი, სააგენტოს მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური	
3	ტუალეტის მოწყობა							მუზეუმი, სააგენტოს მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი (დასაზუსტებელია)	
4	ტურისტული მარშრუტის დაგეგმვა და ყველა პრეზენტირებად ძეგლებსა და საიტებამდე მისასვლელი ბილიკების მოწყობა							სააგენტოს მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, მარკეტინგის სამსახური, მუზეუმი	
6	მოსასვენებელი ადგილების (სკამების) და ნაგვის ურნების მოწყობა ბილიკების გასწვრივ							სააგენტოს მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, მუზეუმი	
7	გადასახედი მოედნების მოწყობა და ჭოგრიტების დამონტაჟება;							სააგენტოს მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, მუზეუმი	

ნოქალაქის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

8	მოაჯირების მოწყობა საფეხურებთან და სახიფათო ადგილებში							სააგენტოს მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, მუზეუმი	
9	მიმართულების მაჩვენებელი, შემზღუდველი ან გამაფრთხილებე ლი ნიშნების განთავსება							სააგენტოს მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, მუზეუმი	
10	სამეფო აბანოსთან ბილიკის პლატფორმის მოწყობა							სააგენტოს მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, მუზეუმი	
11	სპეციალურად დაპროექტებული რკინის ღობისა და ხის კარის დამზადება გვირაბისთვის							სააგენტოს მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, მუზეუმი	
12	ოდა-სახლის რეკონსტრუქცია							სააგენტოს მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, მუზეუმ- ნაკრძალებისა და სამუზეუმო კოლექციების მართვის სამსახური, საინფორმაციო სისტემების სამსახური	

ნოქალაქის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

5 მუზეუმი

5.1. შესავალი

მუზეუმის შენობა ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსისა და ხის ოდა-სახლის აღმოსავლეთით, მთავარ გზაზე მდებარეობს. მუზეუმსა და ოდა-სახლს შორის, ციხე-სიმაგრის კედლის აღმოსავლეთით მდებარეობს კერძო მოსახლის სახლი და ეზო. მუზეუმში დაცული და ექსპონირებულია წლების განმავლობაში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი არტეფაქტები.

5.2. წანამძღვრები და არსებული სიტუაცია

ნაგებობა თავიდან სოფლის საბჭოს შენობა იყო, რომელიც რეკონსტრუქციის შედეგად გადააკეთეს მუზეუმად 1979 წელს. ექსპოზიცია, რომელიც მეორე სართულზე, სამ დარბაზში 140 კვ. მ. ფართობზე მდებარეობს, არ შეცვლილა მისი გახსნიდან, 1988 წლიდან. ოთახების მოწყობა და თავად ექსპოზიცია საკმაოდ მოძველებულია. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია მუზეუმ-ნაკრძალის ადმინისტრაცია და მცირე ზომის, 25 კვ.მ ფართობის ექსპონატების საცავი.

სარემონტო სამუშაოები მუზეუმში ჩატარდა 2005 წელს (გამოიცვალა სახურავი, დამონტაჟდა განათების სისტემა).

წლების განმავლობაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი დაახლოებით 40.000 არტეფაქტი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ნოქალაქევის მუზეუმში. ეს ნივთები საინვენტარო წიგნებში გატარებულია 5,563 ნომრით (ეს ციფრი არ აღნიშნავს ექსპონატების მთლიან რაოდენობას, ვინაიდან ერთი ნომრით ხშირად ტარდება იდენტური სახის ნივთები). ეროვნულ მუზეუმში ნოქალაქევის უმეტესი მასალის განთავსება განპირობებულია ადგილობრივ მუზეუმში შენახვის სათანადო პირობების უქონლობით. ნოქალაქევის მუზეუმი ორჯერ გაიძარცვა (1991 წელს, 1996 წელს), რის შედეგადაც გატაცებული ნივთების რაოდენობა აღემატება 945 ერთეულს.

ნოქალაქევის მუზეუმში დაცულია 1,549 ნომრით გატარებული 3,500 ექსპონატი. მათი ქრონოლოგია მოიცავს პერიოდს ძვ.წ. II ათასწლეულიდან ახ. წ. XVIII საუკუნემდე. ამჟამად, ექსპოზიციაში წარმოდგენილია 533 ექსპონატი.

დღევანდელი მდგომარეობით მუზეუმი ვერ აკმაყოფილებს ექსპონატების დაცვის, შენახვისა და პრეზენტაციის პირობებს. კერძოდ, არ არის უზრუნველყოფილი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, არ არსებობს წყალ-კანალიზაციის სისტემა, ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმის რეგულაცია.

ექსპონატები ფიქსირებულია საინვენტარო წიგნებში. 2011 წლამდე არ ყოფილა გაკეთებული მათი ფოტოფიქსაცია ელექტრონული ვერსიის სახით. სწორედ ამის მიზეზია, რომ დღეისათვის 90-იან წლებში გატაცებული ექსპონატების მხოლოდ მცირე ნაწილის ფოტომასალა მოიპოვება.

მუზეუმში არ არსებობს ლაბორატორია, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა ექსპონატების, უმეტესწილად, კერამიკის და ლითონის მასალების, გაწმენდა და კონსერვაცია.

5.3. საჭიროებები და მიზნები

ნოქალაქევეში თანამედროვე ტიპის მუზეუმის შექმნა, არქეოლოგიური არტეფაქტების უსაფრთხო შენახვისა და მათი ინვენტარიზაციის, დამთვალერებლებისთვის ნოქალაქევის კომპლექსის შინაარსისა და ისტორიის კომპლექსური პრეზენტაციებისა და თანამშრომლებისთვის დამაკმაყოფილებელი სამუშაო პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად.

5.4. რეკომენდირებული სტრატეგია და ქმედებები

5.4.1. მუზეუმის რეაბილიტაცია

სიტუაციის გასაუმჯობესებლად აუცილებელია მუზეუმის განახლება და გაფართოება. მუზეუმის გარშემო არსებული ეზო (1,500 კვ.მ) უზრუნველყოფს შესაბამის სივრცეს. პროექტის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი საკითხები:

ძირითადი საჭიროებები

- საკონსერვაციო ლაბორატორია - მუზეუმში დაცული ექსპონატებისა და შემოსული მასალების მდგომარეობის მუდმივი კონტროლის საჭიროების დაკმაყოფილება.
- ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების სისტემა;
- წყალ-კანალიზაციის სისტემა;
- ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმის რეგულირება და კონტროლი;
- ბიბლიოთეკის რემონტი და რეაბილიტაცია;
- დაცვის სისტემა;
- საგამოფენო სივრცის მოდერნიზაცია – საექსპოზიციო ვიტრინები, განათების სისტემა, მონიტორი და ა.შ.
- გარდერობი, სველი წერტილები, ადმინისტრაციის ფუნქციონირებისთვის საჭირო სივრცეები და ა.შ. პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს მუზეუმის ეზოს პოტენციალი და მისი გამოყენების შესაძლებლობა – ეზო, როგორც „შესავალი“ მუზეუმში შემსვლელი დამთვალერებლისათვის.
- რეაბილიტაციის პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს შესაძლებლობები უნარშეზღუდულთა გადაადგილებისთვის, ტუალეტების და ა.შ. ჩათვლით.

გაფართოება

- დარბაზი დროებითი გამოფენებისთვის – ყოველწლიურად მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მასალის ექსპონირებისთვის, რათა ფართო საზოგადოებასა და მკვლევარებს მიეცეთ საშუალება მუდმივად იყვნენ საიტზე მიმდინარე სიახლეთა საქმის კურსში.
- საკონფერენციო დარბაზი, სავარაუდოდ 150 ადამიანზე, რომელიც ხელს შეუწყობს ნოქალაქევის კვლევასთან დაკავშირებული სემინარების, კონფერენციების, საჯარო პრეზენტაციების, ასევე დასავლეთ საქართველოს მასშტაბით ფართო საზოგადოებისთვის კურსების, ლექციების და ა.შ. ჩატარებას.

I ეტაპი - მუზეუმის რეკონსტრუქციის პროექტის მომზადება, ექსპოზიციების გეგმის ჩათვლით;

II ეტაპი – რეკონსტრუქციის პროექტის შესაბამისად ფიზიკური სამუშაოები;

III ეტაპი - შენობის ტექნიკური აღჭურვა;

ნოქალაქევის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

IV ეტაპი - ახალი ექსპოზიციები.

5.4.2. მუზეუმის კოლექციათა დოკუმენტირება და ელექტრონული ვერსიის მომზადება

- ექსპონატების ფოტოფიქსაცია;
- სრული ინფორმაციის ელექტრონული პრეზენტაცია თითოეულ ექსპონატზე.

ექსპონატთა სტანდარტული საადრიცხვო დოკუმენტაციის ელექტრონულ ფორმატში მიმდინარე დოკუმენტირების სამუშაოები უნდა დასრულდეს რამდენიმე წელიწადში. აღნიშნული საქმიანობა გულისხმობს საინვენტარო წიგნებში არსებული ინფორმაციის გადატანას, თითოეული არტეფაქტის კონსერვაციის მდგომარეობის ჩათვლით და მათი დაცვისთვის სათანადო ღონისძიებების დაგეგმვას. გარდა ამისა, აღნიშნული მასალა გამოყენებული იქნება მუზეუმის დოსიეს შესაქმნელად, რომელიც დამთვალიერებლებს საშუალებას მისცემს სრული ინფორმაცია მიიღონ არა მხოლოდ გამოფენებზე წარმოდგენილი ექსპონატების, არამედ დაცული ნივთების შესახებაც.

5.5. მოსალოდნელი შედეგები

დამთვალიერებლებისა და მკვლევარებისთვის ნოქალაქევის კომპლექსის არსებითი კომპონენტების, სხვადასხვა პერიოდის უძრავი ძეგლების (საკულტო, საერო, საფორტიფიკაციო, არქიტექტურული და სხვა.) და ექსპონირებული და დაცული არქეოლოგიური მასალის უსაფრთხო, საინტერესო და კომპლექსური პრეზენტირება, შენახვა და ინტერპრეტაცია.

	ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი მუზეუმი 5.6. განხორციელების გეგმა-გრაფიკი და პასუხისმგებელი შემსრულებელი								
#	რეკომენდირებული ქმედებები	გეგმა-გრაფიკი						პასუხისმგებელი შემსრულებელი	შენიშვნა
		მოკლევადიანი		საშუალოვადი ანი		გრძელვადია ნი			
		2012	2013	2014	2015	2016	2017		
	მუზეუმის რეაბილიტაცია								
1	მუზეუმის რეკონსტრუქციის დიზაინის მომზადება							სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერის გამარჯვებული ორგანიზაცია	
2	მუზეუმის რეკონსტრუქციის ფიზიკური სამუშაოები							სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერის გამარჯვებული ორგანიზაცია, სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახური, დონორები	
3	მუზეუმის შენობის ტექნიკური აღჭურვა							სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერის გამარჯვებული ორგანიზაცია, სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახური, დონორები	

ნოქალაქევის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

4	რეექსპოზიცია (მასალებისა და კონცეფციის მომზადება)							სააგენტოს მუზეუმ-ნაკრძალებისა და სამუზეუმო კოლექციების მართვის სამსახური, მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური	
5	რეექსპოზიცია (დამუშავებული კონცეფციის შესაბამისად პროექტის გეგმის მომზადება)							სააგენტოს მიმდინარე პროექტებისა და ნებართვების სამსახური, სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერის გამარჯვებული ორგანიზაცია	
6	რეექსპოზიცია (სამუშაოების განხორციელება პროექტის გეგმის შესაბამისად)							სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერის გამარჯვებული ორგანიზაცია	
	სამუზეუმო კოლექციების დოკუმენტირება და ელექტრონული ვერსიების მომზადება								
7	ექსპონატების ფოტოფიქსაცია							ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი	
8	თითოეული ექსპონატის შესახებ სრული ინფორმაციის მომზადება							ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი	
9	სამუზეუმო კოლექციის ელექტრონული მონაცემთა ბაზა							ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, სააგენტოს მუზეუმ-ნაკრძალებისა და სამუზეუმო კოლექციების მართვის სამსახური	

ნოქალაქევის კომპლექსის მართვის გეგმა. მაისი, 2012 წ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო